დღეს: კანონი „სტანდარტიზაციის შესახებ“ გვ. 3-4; **ხვალ:** კანონი „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“

საქართველოს საფოსტო ბანკი
GEORGIAN POST BANK

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №186 (3227) ოთხშაბათი, 14 ივლისი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

შეთანხმება

საქართველოს პრეზიდენტმა გერმანიის ფედერალური კანცლერი საქართველოში მოიწვია

13 ივლისს სატელეფონო საუბარი გაიმართა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და გერმანიის ფედერალურ კანცლერს გერჰარდ შრედერს შორის.

საუბარი შეეხო საქართველო-გერმანიის ორმხრივი ურთიერთობის დღევანდელ მდგომარეობასა და შემდგომი განვითარების პერსპექტივას. ედუარდ შევარდნაძე და გერჰარდ შრედერი შეთანხმდნენ, რომ პირადად შეხვდებიან ერთმანეთს სტამბოლში, ეუთოს სამიტზე, რომელიც შემოდგომაზეა დაგეგმილი.

საქართველოს პრეზიდენტმა გერმანიის ფედერალური კანცლერი საქართველოში და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში მოიწვია.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

გამარჯობათ!

როცა მნა იწვის, განა ულოს საცინრადა აქვს საქმე?!

ძნა ქვეყანაა, საქვეყნო საქმეა, ულო კი ჩვენა ვართ, ადამიანები. ერთის ჭირი მეორის ჭირია, თუ ერთი იწვის, მეორეც აუცილებლად დაიწვის... სწორედ ამ აზრის შემცველია პურის ყანასავით და თვითონ პურივით უძველესი ეს ბრძნული ქართული ანდაზა.

ძნა იწვოდა, ულო იცინოდაო, ასე შეუფასებია ჩვენს მრავალჭირგამოვლილ წინაპარს ის საქვეყნო მდგომარეობა, როცა საერთო გასაჭირი თავის ჭირად და თავის ცეცხლად არ მიაჩნია ზოგიერთ გალაღებულ კაცს, პირიქით, აქაოდა ჩვენს საერთო სახლს ცეცხლი წაჰკიდებიაო, ხანძრის ჩასაქრობად კი არა ბეჯითობს, ღვას და ხელს ითბობს, მერედა, არ იკითხავთ ახლა, როგორ ითბობს?! ჩანს, დიახაც ასეთი ამბის გამო უბრძანებია ყოველთა ქართველთა სულიერ მამას, დიდ ილია ჭავჭავაძეს, ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებული

იხ. მე-2 გვ.

სახელმწიფო მინისტრი

საქართველო აშშ-ის საიმედო პარტნიორია

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის მტკიცებით, საქართველო „აშშ-ის საიმედო პარტნიორი გახდა და მაგალითია მთელი რეგიონისათვის“.

„პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და საქართველო იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა იბრძოლოს ქვეყანამ თავისი დამოუკიდებლობისათვის“, – განაცხადა ბჟეზინსკიმ ვაშინგტონში ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციის „აშშ საგარეო პოლიტიკის“ საბჭოს სხდომაზე, რომელშიც აშშ-ში ვიზიტად მყოფმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ მიიღო მონაწილეობა.

გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ახალ, დამოუკიდებელ ქვეყნებთან ურთიერთობების საკითხებში აშშ პრეზიდენტის მრჩეველს იან კალიტცკის შეხვდა.

იხ. მე-2 გვ.

დეტალები

დურუჯისგან დასაცავად

კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის გია არსენიშვილის ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ფინანსთა სამინისტრომ (დავით ონოფრიშვილი) მდინარე დურუჯის სათავეებთან დაგროვილი სელური ნაკადისაგან ქალაქ ყვარლისა და მიმდებარე ტერიტორიების დაცვის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ 50 ათას ლართან ერთად უნდა უზრუნველყოს დამატებით 50 ათასი ლარით დაფინანსების წყაროს გამოძებნა და თანხის დროული გადარიცხვა შესაბამისი სამუშაოების დაწყებისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეს ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიას დაევალა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებისას თანადაფინანსების პრინციპით გაითვალისწინოს წინადადებების წარდგენა ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების თავიდან აცილების ღონისძიებათა დასაფინანსებლად საქართველოსთვის ერთი მილიონი დოლარის გამოყოფის თაობაზე.

პრეზიდენტი

„ჩვენთვის ძლიერი არმია არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და კონფლიქტების მოწესრიგების სამშვიდობო პოლიტიკის ქმედითი საშუალება“,

– განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 13 ივლისს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის 1999 წლის კურსდამთავრებულებთან საზეიმო შეხვედრაზე.

წლეულს სამხედრო შენაერთებს 118 მაღალკვალიფიციური ოფიცერი შეემატება. აქედან 48 მოტომსროლელი, 22 არტილერისტი, 25 ტანკისტი, 10 კი მესაზღვრეა, რომლებიც საქართველოს არმიის ოფიცერთა შემადგენლობისთვის მნიშვნელოვანი შევსება იქნება.

ახალგაზრდა ოფიცრებმა ქვეყნის პრეზიდენტის – სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე საზეიმოდ დადეს ფიცი, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მტკიცედ დაიცავენ საქართველოს ღირსებას, მის უსაფრთხოებასა და მთლიანობას. ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესები თითოეული მათგანისათვის მუდამ იქნება უმაღლესი ღირებულება, ხოლო ჩვენი ხალხისა და მის მიერ არჩეული პრეზიდენტის ნება კი – უზენაესი კანონი. „ჩვენ, სამხედრო აკადემიის კურსანტები, დღენიადაგ ვგრძნობდით თქვენს დიდ ყურადღებასა და თანადგომას. ჩვენი ქვეყნის რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და სახელმწიფოებრივი პრობლემების მიუხედავად, თქვენ ჩვენთვის ზრუნვა და ყურადღება არ დაგიკლიათ“, ასე მიმართეს საზეიმო წუთებში ახალგაზრდა ოფიცრებმა სახელმწიფოს მეთაურს.

„მინდა თითოეულ კურსდამთავრებულს ამ საზეიმო დღეს გულწრფელი სიმართლე ვუთხრა. თქვენ გექნებათ რთული და არცთუ მცირე პრობლემებით დატვირთული სამხედრო სამსახური, იქნება

იხ. მე-2 გვ.

14 ივლისი საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული – ბასტილიის აღების დღეა

„მე ყოველთვის ვიქნები ქართული კულტურის ელჩი მსოფლიოში...“

ამბობს საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ქალბატონი მირეი მიუსო

– განსაკუთრებული დამოკიდებულება ფრანგი ხალხისა და საფრანგეთის მიმართ საქართველოში ყოველთვის იყო გამოკვეთილი. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩვენში მუშაობდა რამდენიმე ფრანგული სკოლა, სადაც ან ძალიან მაღალ დონეზე შეისწავლებოდა ფრანგული ენა ან მთლიანად ფრანგულად მიმდინარეობდა სწავლება. ხალხიც როგორღაც ყოველთვის ცდილობდა კონტაქტები ჰქონოდა საფრანგეთთან, თუმცა, ამისი შესაძლებლობა ძალზე შეზღუდული იყო. დღესაც ჩვენს ქვეყანაში დიდია სურვილი, რაც შეიძლება მეტი ვიცოდეთ საფრანგეთზე, ფრანგ ხალხზე...

– დიდი მადლობა კეთილი სიტყვებისათვის. მართლაც ძნელია ჩამოთვალო ყველა ქართველი, ვისაც ასეთი თბილი დამოკიდებულება ჰქონდა და აქვს საფრანგეთთან, ან ყველა ის ფრანგი, რომელიც აღტაცებული იყო საქართველოთი. მე დავიწყებდი ალექსანდრე დიუმათი. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში გაიხსნა, სწორედ დიუმას სახელი მიეკუთვნა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა მოვახსენო საქართველოს პარლამენტსა და ბატონ ალექსანდრე კარტოზიას, რომელიც მაშინ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი იყო. მათ და, აგრეთვე, ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ძალიან დიდი დახმარება გაგვიწიეს მაშინ. იმედია, საქართველოს ბევრი მოქალაქე ისარგებლებს ამ ცენტრის მომსახურებით.

– თქვენ დღეს იმყოფებით იმ საქართველოში, რომელიც ევროპის ნაწილი გახდა. დარწმუნებული ვართ, რომ პროცესებში, რომელიც წინ უძღოდა ჩვენს ევროსაბჭოში შესვლას, თქვენი დიდი პირადი წვლილიც იყო, ისევე, როგორც საერთოდ ჩვენთან არსებული დიპლომატიური კორპუსისა...

– ზუსტად ვერ ვიტყვი, როგორი იყო ჩვენი – იმ დიპლომატების, რომლებიც აქ ვმუშაობთ, წვლილი ამ საქმეში, მაგრამ მინდა ვთქვა, ყველა ჩვენგანი დარწმუნებული ვიყავით, რომ საქართველო უნდა დაბრუნებოდა ამ დიდ ოჯახს. ჩვენ ჩვენის მხრიდან, რა თქმა უნდა, ვმუშაობდით ამ მიმართულებით, რომ ჩვენი მთავრობები დაგვერწმუნებინა მხარი დაეჭირათ საქართველოსთვის. აქვე მინდა დავამატო, რომ ეს სამუშაო ჩვენთვის პრინციპულად ძნელი არ ყოფილა, რადგანაც ეს ბუნებრივი პროცესი იყო.

იხ. მე-5 გვ.

ინფორმაცია

საქართველო და რუსეთი კოსმოსის სფეროში თანამშრომლობენ

სატვირთო ხომალდმა „პროგრეს M-42“, რომლის სტარტი სადგურ „მირის“ მიმართულებით მიმდინარე წლის 14 ივლისისთვის იგეგმება, სადგურს უნდა მიაწოდოს პრინციპულად ახალი კონსტრუქციის მსხვილგაბარიტიანი რეფლექტორი, რომელიც ერთობლივად შეიმუშავეს ქართველმა და რუსმა მეცნიერებმა.

ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა რუსეთის სააგენტომ „რია ნოვოსტი“, სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის „ენერგიის“ თანამშრომლის, უნიკალური რეფლექტორის ერთ-ერთ კონსტრუქტორზე ალექსანდრე ჩერნიავსკიზე დაყრდნობით.

მისი თქმით, ამგვარი ალჭურვილობა კოსმოსში არასოდეს ყოფილა და მისი გამოცდა მხოლოდ დედამიწაზე ხორციელდებოდა. მომავალში მათი გამოყენება თანამგზავრებზე ანტენის სახით იქნება შესაძლებელი.

ახალი რეფლექტორი, ალნიშნა ჩერნიავსკიმ, უფრო საიმედოა, ვიდრე ამჟამად მოქმედი ანტენები. ეს ტექნოლოგია, მისი აზრით, უფრო მყარია, რაც მობილური კავშირის, ციფრული ტელე და რადიომაუწყებლობის ამოცანების გადაწყვეტაში დიდ სიზუსტეს უზრუნველყოფს.

რეფლექტორს, რომელიც შეიქმნა ერთობლივი რუსულ-ქართული საწარმოს „EGS“-ის მიერ, დაკეცილ მდგომარეობაში მიაწვდიან სადგურს.

23 ივლისს, უჰაერო სივრცეში გასვლისას, კოსმონავტები ვიქტორ აფანასიევი და სერგეი ავდეევი მას დაამაგრებენ სადგურზე არსებულ ანძაზე „სოფორა“. შემდეგ გაიცემა რეფლექტორის გახსნის ბრძანება.

ექსპერიმენტის მიზანია – შეამოწმონ რეფლექტორის მექანიკური კონსტრუქციები. გახსნილი რეფლექტორი არის ლითონის, ელიფსის ფორმისა, რომელიც შედგება მყარი ჩარჩოსაგან, დაჭიმული „თეფშისებური“ ბადით. მისი მაქსიმალური დიამეტრი 7 მეტრია.

მომავალში, ჩერნიავსკის აზრით, კოსმოსურ აპარატებზე, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ამ რეფლექტორის მაგვარი ანტენები, რომელთა მაქსიმალური ზომა იქნება 5-დან 15 მეტრამდე.

უმწეო ბავშვების დასახმარებლად

კრწანისის რაიონის 127-ე საშუალო სკოლის შენობაში გუშინ საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა გამაჯანსაღებელი ბანაკი „იმედი“, სადაც 130 მოზარდი დაისვენებს. რაიონის გამგეობისა და შპს „არტ კომპანის“ თაოსნობით მართლაც საჭირო და სასარგებლო საქმე გაკეთდა ამ დასახლებისათვის, სადაც ბევრი უმწეო და სოციალურად დაუცველი ადამიანი ცხოვრობს.

შპს „არტ კომპანის“ (პრეზიდენტი გოგი ლიპარტელიანი) ქველმოქმედებით უკვე მესამე თვეა უფასო სადილს ურიგებენ 1200 ადამიანს ფონიჭალის უსინათლოთა საზოგადოების სასადილოში. ყოველივე ამის შესახებ, ხვალინდელ ნომერში უფრო ვრცლად ჩვენი კორესპონდენტი გიორგი ლალიაშვილი გიამბობთ.

ირაკლი მენაღარიშვილი ლიტვაში

ლიტვასა და საქართველოს შორის საკონსულო კონვენციას მოაწერეს ხელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ლიტვის რესპუბლიკაში პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს, – აცნობეს პრაიმ-ნიუსს ლიტვაში საქართველოს საკონსულოდან.

მენაღარიშვილი ლიტვაში 11 ივლისს გაემგზავრა.

როგორც პრაიმ-ნიუსს ლიტვაში საქართველოს კონსულმა ზურაბ მარშანიამ უთხრა, საკონსულო კონვენცია არსებითად გააადვილებს ლიტვისა და საქართველოს მოქალაქეებს ბალტიის ქვეყნებში გადაადგილებას.

მენაღარიშვილის ვიზიტის დროს გაფორმდა კომუნიკე ლიტვასა და საქართველოს შორის ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, ჩვენმა კორესპონდენტმა.

ედუარდ შევარდნაძე:

„მინდა დავამშვიდო თანამემამულენი, კახეთის, ყვარლის მცხოვრებნი, რომ მდგომარეობა მართლაც შემაშფოთებელია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უიმედო არ არის“.

12 ივლისის რადიოინტერვიუდან.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

დ. პერტენავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული სპორტის განვითარებაში, საქართველოში სპორტული ბაზების აშენება-განახლებაში, გამაჯანსაღებელი ცენტრების შექმნაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, გერმანიის, ბულგარეთისა და რუსეთის მსოფლიო ფესტივალების დიდი ოქროს მედლების მფლობელი სპორტის ოსტატი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი **დავით პერტენავა** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში, ახალგაზრდა მუსიკოსთა აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორები:

ქეთევან თუმანიშვილი – პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; **გულბათ ტორაძე** – პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; **ოლიმპი ხელაშვილი** – პროფესორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; **ნოდარ ჯაფარიძე** – პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი.

ე. შევარდნაძე.

პროკურატურა

ვარშანიძე და გვარჯალაძე შინ უკანონოდ გამოკეტეს

და, საერთოდ, ბათუმში საქმის გამოძიება დიდი დარღვევებით დაიწყეს

მართალია აჭარის პროკურატურამ საზღვაო სანაოსნოსთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყეს, უკვე შეიდი ტომიც შეკრეს, მაგრამ, სამართალდამცავთა აზრით, ეს გამოძიება დიდი დარღვევებით მიმდინარეობს. ამის შესახებ გვესაუბრება საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე **ზურაბ ცინცაძე,** რომელიც ახლახან საგამოძიებო ჯგუფთან ერთად ბათუმში იმყოფებოდა.

– უპირველესად უნდა ითქვას, რომ აჭარის პროკურატურას გამოძიების დაწყების უფლება არა ჰქონდა. საქართველოს საზღვაო სანაოსნოში მომხდარ სამართალდარღვევათა ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე ექვემდებარება მხოლოდ საქართველოს გენერალურ პროკურატურას. ამასაც თავი დავანებოთ, საქართველოს გენერალურ პროკურორს უფლება აქვს ნებისმიერი საქმე ამოიღოს ნებისმიერი სტრუქტურიდან, თუნდაც შინაგან საქმეთა ან უშიშროების სამინისტროებიდან, და იგი გადასცეს სხვა სტრუქტურას. აჭარა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ ასრულებს გენერალური პროკურატურის მოთხოვნას საქმის თბილისში გადმოგზავნის შესახებ. ეს უპრეცედენტო მოვლენაცაა და სერიოზული დარღვევაც.

იხ. მე-2 გვ.

ინციდენტი

სვანებს დამოუკიდებლობა ნამდვილად არ სურთ

კოდორის ხეობაში 9 ივლისს მომხდარი ინციდენტი, როცა იქ საგანგებოდ ემზადებოდნენ სტუმრების მისაღებად, მეტად სამარცხვინო და სამწუხაროა. ამ ფაქტმა უპირველესად ადგილობრივი მოსახლეობა შეურაცხყო და მე ვთვლი, რომ იგი ჩემს წინააღმდეგ იყო მიმართული“, განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ივერი ჭელიძემ ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე. მან გულისტკივილი გამოთქვა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ცხელ გულზე გამოთქმული მოსაზრების გამო, თითქოს სვანეთის მოსახლეობა დამოუკიდებლობისათვის იბრძვის.

პრესკონფერენციაზე კონკრეტულად არაფერი ითქვა, მაგრამ პოლიტიკურად შენიღბული მინიშნებების ფონზე

იხ. მე-2 გვ.

კონფლიქტი

რას უჭერს მხარს საზოგადოება

რამდენიმე განმარტება „საქართველოს რესპუბლიკაში“ 3 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაზე

ტელეკომპანია „იბერიას“ ყოფილი დირექტორი კახაბერ ჯამბოლის ძე გაგლოშვილი თავისას არ იშლის და დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს წინ, ნათესავებთან ერთად გამართული საპროტესტო აქციის შემდეგ, ახლა უკვე კოლექტიური წერილების საშუალებით ცდილობს სასამართლოზე ზეწოლის მოხდენას.

გაგლოშვილმა და მისმა რამდენიმე თანამოაზრემ სიცრუით შეძლეს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა ხელმოწერების მოპოვება. „საქართველოს რესპუბლიკის“ 3 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებას, რომლის სათაურია – „გვინდა პრეზიდენტმა იცოდეს – იმედი გვაქვს კანონი აღსრულდება“, ჩვენი საზოგადოების 30 გამოჩენილი მოღვაწე აწერს ხელს.

იხ. მე-2 გვ.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა.
დაბლობში: ღამით +17+22;
დღისით +27+32.
მთაში: ღამით +15+20;
დღისით +25+30.
მაღალ მთაში: ღამით +8+13;
დღისით +18+23.

აღმოსავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა ელჭექით.
ბარში: ღამით +13+18;
დღისით +25+30.
მთაში: ღამით +11+16;
დღისით +23+28.
მაღალ მთაში:
ღამით +4+9;
დღისით +17+22.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა.
ღამით +16+18; დღისით +28+30.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

უკანასკნელ საათს

„დღევანდელმა დღემ უნდა შეძრას მთელი მსოფლიო“, – განაცხადა ირანის რადიომ გუშინ, სტუდენტური მღელვარების მეექვსე დღეს: ელიან სისხლისმღვრელ შეტაკებებს.

იუგოსლავიაში გუშინ გრძელდებოდა აქციები მოლოშევიჩის გადადგომის მოთხოვნით. დაფიქსირდა შეტაკებები პოლიციასა და მომიტინგეებს შორის. კოსოვოში კი მანიფესტანტები ანტირუსული ლოზუნგებით გამოდიან.

ყაზახეთმა კვლავ არ მოხსნა აკრძალვა ბაიკონურის კოსმოდრომიდან რაკეტების გაშვების შესახებ.

გუშინ ანატოლი სობჩაკმა განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში და არ გამორიცხა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაც.

გუშინ მოსკოვში, ქორალურ სინაგოგაში, ანტისემიტური ექსტრემისტული და ფაშისტური ორგანიზაციის წევრი თავს დაესხა და დაჭრა ებრაული თემის ცნობილი წარმომადგენელი ლეოპოლდ კაიმოვსკი. 19 წლის თავდამსხმელი დააკავეს.

პრეზიდენტი

„ჩვენთვის ძლიერი არმია არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და კონფლიქტების მოწესრიგების სამშვიდობო პოლიტიკის ქმედითი საშუალება"

(პირველი გვერდიდან)

სირთულეები, მაგრამ თქვენს წინაშეა თქვენი ქვეყანა, რომელიც ამჟამად ასეთივე მდგომარეობაშია. თქვენს წინაშეა ათიათასობით ლტოლვილი, რომელსაც თქვენი პროფესიული და პატრიოტული სულისკვეთების იმედი აქვს. თქვენს წინაშეა ქვეყნის აღორძინებისთვის გასავლელი გარდამავალი პერიოდი და, რადგან განგებამ თქვენს თაობას არგუნა ამ მძიმე ჟამის გავლა, აქ მხოლოდ მომავლის რწმენა უნდა გვაძლევდეს შრომითი და საბრძოლო გმირობის ზოგჯერ ზეადამიანურ ენერგიას", განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, არმია მუდამ იყო და არის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უპირველესი ატრიბუტი: „ყოველ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ სისტემას შესაბამისი მიზნების, ფორმის და ხასიათის არმია უნდა შეესატყვისებოდეს. არსებითად ამით განისაზღვრება შეიარაღებული ძალების დანიშნულებაც და ბრძოლისუნარიანობაც". ნათქვამის დასტურად საქართველოს პრეზიდენტმა ჩვენივე თანამედროვე ისტორიის მაგალითები დაიმოწმა: „პოსტსაბჭოურ სივრცეში შემავალი ყველა ახლად შექმნილი სახელმწიფო ზემოთ აღნიშნულის შესატყვისობის პრობლემის წინაშე დადგა. საქართველოს ამ მხრივ უფრო რთული, მაგრამ საპატიო ამოცანები აქვს გადასაჭრელი". ედუარდ შევარდნაძემ ისიც გაიხსენა, რომ ჩვენ თითქმის არაფრისგან დავიწყეთ ეროვნული არმიის მშენებლობა და, ერთდროულად, მისი ახალ პრინციპებზე ჩამოყალიბებაც. პრინციპები, რომლებიც ჩვენი არმიისა და შეიარაღებული ძალების სახეს განსაზღვრავს, მიზნად ისახავს დემოკრატიული, დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფას.

საქართველოს ხელისუფლება, ამავდროულად, ითვალისწინებს ქვეყნის გეოპოლიტიკურ სტრატეგიასაც, რომლის მთავარი არსი და დანიშნულებაა ახლომდებარე რეგიონის — კავკასიისა და შავი ზღვის სივრცის ქვეყნებთან საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი მთლიანობის მყარი გარანტიების შექმნა. ამიტომ, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს სამხედრო დოქტრინაც და არმიის ფუნქციაც ქვეყნის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკისა და დემოკრატიული საზოგადოების უსაფრთხოების სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს.

არმიის მშენებლობის მრავალმხრივ პრობლემათაგან ერთ-ერთად საქართველოს პრეზიდენტმა კადრების მომზადება დაასახელა და გამოთქვა რწმენა, რომ ამ საქმეში მნიშვნელოვანი იქნება წვლილი სამხედრო აკადემიისა, სადაც სწავლა უნდა მიიჩნიოდეს არა მარტო პირად პრესტიჟად, არამედ პატრიოტულ პასუხისმგებლობადაც.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა აკადემიის ხელმძღვანელობას გაწეული ღვაწლისათვის და შეკრებილთ შესთავაზა, მოწინავე ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, ყოველი წლის გამოშვებას ეროვნული გმირის სახელი მიენიჭოს. „მე რომ მკითხოს კაცმა, თქვენს გამოშვებას ქართველთა ეროვნული გმირის ცოტნე დადიანის სახელს ვუბოძებდი", განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და ეს მნიშვნელოვანი დღე მიულოცა თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს, სამინისტროს მთელ ხელმძღვანელობას და სრულიად საქართველოს.

კურსდამთავრებულებთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, საქართველოს მთავრობის წევრები.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

რეფორმა

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დონე ქვეყნის სტაბილურობის საწინდარია

13 ივლისს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოში მსოფლიო ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამისა და სხვა პროექტების მიმდინარეობა.

სხდომამ მოისმინა ინფორმაცია მსოფლიო ბანკის ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების რეაბილიტაციის 12-წლიანი პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. პროექტის სავარაუდო ღირებულება 128 მილიონი დოლარია, საიდანაც 27 მილიონი საქართველოს ბიუჯეტმა და ფერმერებმა უნდა გაიღონ. 98 მილიონ დოლარს განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, 3 მილიონს კი მსოფლიოს გარემოსდაცვითი ფონდი გამოყოფენ.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, ამ პროექტმა შეიძლება გარდატეხა შეიტანოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. „ჩვენ, პრაქტიკულად, პირველად ვლაპარაკობთ ირიგაციაზე და იმაზე, რომ წყალს ფასი აქვს. უნდა შეიქმნას საერთო წესი და მას ყველა უნდა დაემორჩილოს", აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ და იმედი გამოთქვა, რომ სწორი ათვისების შემთხვევაში ეს ისედაც უხვი ინვესტიცია შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

არცთუ შორეულ მომავალში ქართული მანგანუმის პროდუქცია დააკმაყოფილებს მსოფლიო საბაზრო მოთხოვნას და საერთაშორისო გარემოს დაცვის სტანდარტებს. ეს შესაძლებელი გახდება გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „ხარისხის ტოტალური მართვის სისტემის დანერგვა მანგანუმის გადამუშავების დარგში" განხორციელების შედეგად. უახლესი ტექნოლოგიის დანერგვა შექმნის კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების გარანტიას. საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, ამ პროექტის განხორციელება მოასწავებს ქართული პროდუქციით მსოფლიო მომხმარებლის დაინტერესებას, ახალ ორიენტირებს, კონტრაქტებს და, შესაბამისად, შემოსავლებს. ამიტომ ამ პროექტის განხორციელებას მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი საინვესტიციო საბჭომ, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა.

სხდომაზე დადებითად შეაფასეს საქართველოს საინვესტიციო ცენტრის მუშაობა, რომლის მიზანია საქართველოში ინვესტიციების ხელშეწყობა, საქართველოს, როგორც ინვესტირებისათვის ხელსაყრელი ქვეყნის წარმოჩენა, შესაძლო პარტნიორების მოძებნა და მათთვის რეკომენდაციების მიცემა. ცენტრი საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო — ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროსთან 1996 წელს შეიქმნა. მას ფინანსურად ეხმარებიან გაეროს განვითარების პროგრამა და მსოფლიო ბანკი.

ითქვა, რომ ცენტრის ინფორმაციული ბაზა სისტემურ შევსებას საჭიროებს, მასში უფრო სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი საქართველოს რეგიონებში ამ თვალსაზრისით მიმდინარე პროცესები. როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, იგი უნდა გახდეს საინვესტიციო საბჭოს ერთ-ერთი მექანიზმიც და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის. „ეს ინფორმაცია უნდა იყოს ბაზა საინვესტიციო განვითარებისათვის. ამავე დროს, საინვესტიციო ცენტრმა უნდა იზრუნოს გასაღების ბაზრების შესახებ ინფორმაციის მოძიებაზეც".

საქართველოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ჩამოყალიბების პროცესში კვლავინდებურად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომელმაც 1 მარტის მონაცემებით, საქართველოში 123 მილიონი ევროს საერთო მოცულობის 11 ინვესტიცია განახორციელა. მისი პირველი ოპერაცია 1994 წელს ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტი იყო. დღეისათვის ბანკს საქართველოში განსახორციელებლად დამტკიცებული აქვს პროექტები ინფრასტრუქტურის სექტორში, რომელთა შორის არის რიონჰესის, ენგურჰესისა და გარდაბნის თბოელექტროსადგურის რეაბილიტაციის, შირაქის ადრეული ნავთობის პროექტები, აეროპორტის აეროვაგზლის რეკონსტრუქციისა და სამხრეთ კავკასიის რკინიგზის პროექტები. დამტკიცებულია აგრეთვე პროექტები საბანკო-საფინანსო და კერძო სექტორის დასახმარებლად. საბჭომ დადებითად შეაფასა ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტები და მადლობა გადაუხადა საქართველოში მის მუდმივ წარმომადგენელს იურგენ შრამს.

სხდომაზე სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილეს.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

საქართველო აშშ-ის საიმედო პარტნიორია

(პირველი გვერდიდან)

აშშ ამზადებს და უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობას წარუდგენს ზამთრის პერიოდში ქართული ენერგეტიკისათვის დახმარების გაწევის სპეციალურ პროგრამას.

ლორთქიფანიძემ და კალიტცკიმ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მარშრუტით ნავთობის ტრანსპორტირებისა და ტრანსკავკასიური გაზსადენის მშენებლობის საკითხები განიხილეს.

სახელმწიფო მინისტრმა მოლაპარაკება გამართა აშშ ელექტრონული ვაჭრობის სამსახურის ხელმძღვანელთან როლანდ კოპანთან. ვაჟა ლორთქიფანიძემ წამოაყენა წინადადება, საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ინფორმაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფაში აშშ ელექტრონული ვაჭრობის სამსახურის მონაწილეობის შესახებ.

აშშ ადმინისტრაცია დიდ ინტერესს იჩენს საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი და მზადაა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ქვეყანაში აღებულ რეფორმათა კურსს, — უთხრა პრაიმ-ნიუსს ლორთქიფანიძემ.

ინციდენტი

სვანებს დამოუკიდებლობა ნამდვილად არ სურთ

(პირველი გვერდიდან)

დაკვირვებული თვალით მაინც შეინიშნებოდა ის დაპირისპირება, რომელიც, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ნამდვილად არსებობს კოდორის ხეობის მოსახლეობასა და აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის.

თავის დროზე პრეზიდენტის გადაწყვეტილება კოდორის ხეობაში სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღების შესახებ, გამოწვეული იყო იქ შექმნილი მეტად კრიტიკული მდგომარეობით.

ახლა, როცა მოსახდენი მოხდა, ემოციების აყოლას სალი გონებით განსჯა სჯობს. დანაშავე პირებმა კი პასუხი ნამდვილად უნდა აგონ!

თეიმურაზ კინწურაშვილი.

გამარჯობათ!

როცა ძნა იწვის, განა ულოს საცინრადა აქვს საქმე?!

(პირველი გვერდიდან)

კაცებისაო. ხელის მომთბობთაგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანას, საბედნიეროდ, არა ერთი და ორი ჩინებული კაცი ჰყავს, დროისა და ქვეყნის ტკივილი თავიანთ ტკივილად რომ გაუხდიათ, მაგრამ, ეტყობა, არა ერთისა და ორის ყოფნა საქმეს არა ჰყოფნის...

განა არ მოგეხსენებათ, რომ ჩვენს დღევანდელ საერთო ტკივილთაგან უწინარესად მაინც სამი დიდი მანკიერება ღრღნის ახალი ცხოვრების უძნელეს გზაზე შემდგარ, რის ვაივაგლახით თავდახსნილ ჩვენს ქვეყანას. ეს მანკიერებანი გვბორკავენ და არ გვაძლევენ წინ მოძრაობის საშუალებას. ამ ჩვენს შემაბრკოლებელ სამ მანკიერებას კი — კორუფციასაც, საქონლის ფალსიფიკაციასაც და კონტრაბანდასაც — აგერ უკვე მერამდენე წელიწადია თითქოს ვებრძვით, ვითომ ვებრძვით, მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთს ვატყუებთ. სწორედაც ერთმანეთის მოსაჩვენებლად გამართულმა დღევანდელმა „ხელჩართულმა ბრძოლამ" მიგვიყვანა „აწინდელ საბიუჯეტო კრიზისამდე, რომელიც ხვალ შეიძლება, რომ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ კრახში გადაიზარდოს". აბა, თქვენ მერე ნახეთ ეგრეთ წოდებული „გაცინებული ულოების" პარპაში და ხელის მოთბობა! „ულოებისა", რომელთაც, კარგა გვარიანად გაყვეინიზებულთ, სულაც არ ანაღვლებთ, თუ ვიღაცას შია, ხელი სამათხოვროდ აქვს გაწვდილი, თუ ვიღაცას ხუთი თვის ხელფასი ან ექვსი თვის პენსია არ მიუღია, პლუტოკრატები აბა სხვანაირად ხომ ვერ მოიქცევიან!

ერთი ხელი კი, კარგად უწყით, მეორე ხელს იმიტომ ბანს, რომ მერე ორივემ ვიღაცა უნამუსოს მოთხუპნული პირი მობანოს...

კი, ბატონო, წერითა და ლაპარაკით ვწერთ კიდეც და ვლაპარაკობთ კიდეც, მაგრამ ცარიელი წერა და ლაპარაკი, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით საქმეს ვერ წაადგა, და, რაც მთავარია, ვერ წაადგა საქმეს ვერც იმ საგანგებოდ გამოყოფილი თუ დანიშნული ადამიანების, ვერც იმ საგანგებოდ შექმნილი დაწესებულებების „ბრძოლა", რომლებსაც სახელმწიფოსაგან ევალებათ, რომ დღენიადაგ ხმალამოღებულნი კონკრეტულად ებრძოდნენ კორუფციასაც, საქონლის ფალსიფიკაციასაც და კონტრაბანდასაც. აბა, ამ „ბრძოლის" თუნდაც ერთ გახმაურებულ მაგალითს თუ ვინმე გაიხსენებთ? მე პირადად არ მაგონდება, რომ საქვეყნო საქმისთვის რომელიმე „თავგამოდებულ მებრძოლს" ხმა ნიშანდობლივ აღემაღლებინოს და მხილების კორიანტელი დაეყენებინოს. ყველა რატომღაც საეჭვოდ დუმს, ყველას რატომღაც პირში წყალი აქვს დაგუბებული... სანამ პრეზიდენტი არ ჩაერევა.

მაგალითად თუნდაც თავდაცვის სამინისტროს კორუფციისგან გაწმენდა გამოდგება.

ეს ამბავი კი ამას წინათ კახეთში გაგონილ ერთ ძველ ლათაიას მაგონებს... ათმა ალოღლეტია ამფსონმა ქეიფი გადაწყვიტა. თითოეულს თითო სალვინე ღვინო უნდა მოეტანა და საერთო ქოცოში უნდა ჩაესხა. ერთმა იფიქრა, წყალს მოვიტანო, დანარჩენი ცხრა ამფსონის მოტანილ ცხრა სალვინე ღვინოში ჩემი ერთი სალვინე წყალი მაინც არ გამოჩნდებაო, ვაი რომ დანარჩენმა ცხრა ამფსონმაც ასევე იფიქრა, და ქოცო წყლით აავსეს. დაიწყეს ნადიმი. ათივე ამფსონი წყლით გაიჭყიპა. ერთმანეთის სამხილებლად ხმა ვერც ერთმა ვერ ამოიღო. იდგნენ და წყლით ადღეგრძელებდნენ ერთმანეთს...

მორიგე რედაქტორი.

პროკურატურა

ვარშანიძე და გვარჯალაძე შინ უკანონოდ გამოკეტეს

და, საერთოდ, ბათუმში საქმის გამოძიება დიდი დარღვევებით დაიწყეს

(პირველი გვერდიდან)

სერიოზული დარღვევაა ისიც, რომ სანაოსნოს ყოფილ გენერალურ დირექტორს ბიჭიკო ვარშანიძეს შეუწყვეტეს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილება. ის კანონი დეპუტატის სტატუსის შესახებ, რომელსაც აჭარის პროკურორი როსტომ ჯაფარიძე დაეყრდნო, ეწინააღმდეგება თვით აჭარის კონსტიტუციას, პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონს. დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე საკითხის დაყენების, საერთოდ, დეპუტატის სისხლის სამართლებრივი დევნის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს გენერალურ პროკურორს. აჭარის პროკურორმა ეს ფუნქცია თავად გამოიყენა, რაც ასევე სერიოზული დარღვევაა.

და მესამე: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის სიტყვიერი გაფრთხილების საფუძველზე, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში იმყოფებიან ბიჭიკო ვარშანიძე და ანზორ გვარჯალაძე. თავისუფლების აღკვეთა კი მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა!

— რა ფორმით ხორციელდება ეს შინაპატიმრობა? თქვენ პირადად ორივე „ტყვე" შეხედით...

— ბიჭიკო ვარშანიძე საკუთარ სახლშია, ანზორ გვარჯალაძე კი — მეგობრის ბინაში. მას იმავე ქუჩაზე აქვს საკუთარი სახლი, მაგრამ იქ არ გააჩერეს, მეგობრის ბინაში გადაიყვანეს, პირველ სართულზე, რათა „ზედამხედველობა" უკეთ განახორციელონ. მათ ბინებთან 2-3 ავტომანქანა სისტემატურად მორიგეობს. არა, ხანდახან შინიდან კი გადიან, მაგრამ ბათუმიდან ფეხს ვერ მოიცვლიან.

— თქვენ თავად ნახეთ, ეს მოთვალთვალე მანქანები?

— გვითხრეს, — დაახლოებით სამი საათია, რაც მანქანები აქედან წავიდნენო. ეს ზუსტად ის დრო გახლდათ, რაც ჩვენ ბათუმში ვიმყოფებოდით. ესე იგი, მანქანები ჩვენს თვალს მოაცილეს...

— ბიჭიკო ვარშანიძე ბათუმში იყო და მისი შინ გამოკეტვა გაიოლდა, მაგრამ როგორ ჩამოიყვანეს ანზორ გვარჯალაძე ლონდონიდან?

— ანზორ გვარჯალაძე ლონდონში წარმართავდა კომერციულ მენეჯმენტს. იგი საზღვაო სანაოსნოს ახალმა გენერალურმა დირექტორმა ასლან სმირბამ მოიწვია. გვარჯალაძე 21 მარტს ტრაპიზონში ჩაფრინდა. იქ მას ასლან სმირბას ხალხი დახვდა. ჩასვეს მანქანაში და ბათუმში სმირბას კაბინეტში მიიყვანეს. იქვე იყვნენ აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრიც და აჭარის პროკურორიც. ყველას თვალწინ სმირბამ გვარჯალაძეს შეურაცხყოფა მიაყენა, გადადგომის განცხადება ძალით დააწერინა (თუ არ დაწერ, ფანჯრიდან გადაგაგდებო), პირადი პასპორტი, საკრედიტო ბარათი და სანაოსნოს დოკუმენტაცია წაართვა; ფაქტობრივად, ასლან სმირბამ მოქალაქე გაჩხრიკა, რისი პროცესიული უფლებაც არა ჰქონდა.

დაბოლოს: დღემდე გვარჯალაძე არავის დაუკითხავს, თითქმის ოთხი თვეა ასეთ გაუგებარ ვითარებაშია. გვარჯალაძის ოჯახი ლონდონიდან უკვე სხვადასხვა ინსტანციაში აგზავნის საჩივრებს. ცხადია, წუხს მეუღლის ბედზე, — ერთი დღით ჩაიტყუეს და ამდენ ხანს დააკავესო, საკრედიტო ბარათი მანდ წაართვეს, აქ კი მშივრები დაგვტოვესო, დაგვეხმარეთ, ჭეშმარიტება დროზე გაარკვიეთო...

— ხმა გავარდა, რომ სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ბათუმში ჩასვლას აპირებს საქართველოს სახალხო დამცველი დავით სალარიძე.

— როცა კაცი უკანონოდ იჩაგრება, მაშინ ხმა უნდა ამოიღოს ყველამ, ვისაც კი ადამიანის უფლებათა დაცვა და ქვეყნის სამართლებრივი პრესტიჟის განმტკიცება ევალება.

ესაუბრა
ბონდო გულიაშვილი.

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე

საქართველოს მთავრობის 1999 წლის 3 ივნისის სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საქართველოს საზღვაო სანაოსნოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საზღვაო სანაოსნოში შექმნილია კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა, არასწორად წარმოებს ფლოტის მენეჯმენტი და მიღებული კრედიტების ხარჯვა. რაც მთავარია, არ იშიფრება შემოსავლების ხარჯვითი ნაწილის მუხლები. ამასთან, გემების გაყიდვა და ადგილობრივი საწარმოების დაფუძნება ხდება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გვერდის ავლით.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ არსებული წესების დაცვით ჩაატარა წინასაგამოძიებო შემოწმება.

მოპოვებულია სრულიად ახალი და სავსებით საკმარისი მასალები სანაოსნოსთან დაკავშირებით საზღვარგარეთის შესაბამისი კომპანიების ოფისებიდან, საქართველოს კონტროლის პალატიდან და სხვა უწყებებიდან, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნოში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო სახსრების დიდი ოდენობით მითვისებას, თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებს და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა მძიმე დანაშაულებს, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენეს სახელმწიფოს ბიუჯეტს და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა მოპოვებული მასალების საფუძველზე გუშინ აღძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 96^1, 186 და სხვა მუხლებით.

საქმის გამოძიებაზე უშუალო საპროცესო ხელმძღვანელობა ჯამლეთ ბაბილაშვილის ბრძანებით დაევალა გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს რევაზ ყიფიანს.

ამჟამად გენერალური პროკურატურისა და უშიშროების სამინისტროს მუშაკებისაგან მომზადებულია სპეციალური ჯგუფი, რომელიც უახლოეს დღეებში გაემგზავრება ინგლისსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში საქმისათვის მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტების ამოსაღებად.

საქართველოს გენერალური პროკურატურის პრესცენტრი.

კონფლიქტი

რას უჭერს მხარს საზოგადოება

(პირველი გვერდიდან)

იქვე მითითებულია, რომ არსებობს სულ 80 ხელმოწერა. განცხადების ტექსტი კი ისეა შედგენილი, რომ თითქოს ეს 30 და 80 ადამიანი ითვალისწინებს გაგლოშვილის განსაკუთრებულ დამსახურებას და ითხოვს სასამართლოს ერთ-ერთი განჩინების აღსრულებას, რომლის მიხედვითაც თითქოს „იბერიის" მაუწყებლობა უნდა აღსდგეს კახაბერ გაგლოშვილის ხელმძღვანელობით. სინამდვილეში ხელმომწერები, მათივე თქმით, არც სასამართლოს რომელიმე განჩინებას იცნობენ და არც კახა გაგლოშვილის ან მისი საწინააღმდეგო მხარის პოზიციას. როგორც მათი უმეტესობა აცხადებს, ისინი ნაკლებად არიან ჩახედულნი ტელევიზიის დამფუძნებელთა კონფლიქტის არსში, განცხადებაზე ხელის მოწერას კი მხოლოდ იმის გამო დათანხმდნენ, რომ ისინი დაარწმუნეს, თითქოს ვიღაც აპირებს დახუროს ტელეკომპანია „იბერია". საზოგადოებას კი სურს ეთერში იყოს „იბერია" და ხელმოწერებიც სწორედ ამას ადასტურებს.

იმისათვის, რომ საზოგადოების სურვილი დაკმაყოფილდეს, ანუ ეთერში კვლავ გავიდეს „იბერია", საჭიროა მხოლოდ ერთი რამ — ტელეკომპანიის გადაყენებულმა დირექტორმა კახაბერ გაგლოშვილმა დაცალოს მის მიერ [illegible] ჩარაზული ტელეკომპანიის შენობა და შესაბამისად ახლადდანიშნულ კანონიერ დირექტორსა და „იბერიის" დანარჩენ 80-მდე თანამშრომელს მისცეს მუშაობის საშუალება.

„ტელეკომპანიის მაუწყებლობის საკითხი პრობლემად იქცა იმის გამო, რომ მავანთა უსაფუძვლო ამბიციები ვერ ეგუება თავისუფალი მასმედიის პრინციპებს. ტელევიზიის ხელში ჩაგდების მიზნით ისინი უხეშად უგულებელყოფენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს," — ნათქვამია გამოქვეყნებულ განცხადებებში. რეალურად კი სწორედ გაგლოშვილი უგულებელყოფს დიდუბის რ-ნის სასამართლოს დადგენილებას სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვითაც 1999 წლის 31 მაისიდან გაგლოშვილი აღარ არის „იბერიას" გენერალური დირექტორი და ამ მოვალეობის შემსრულებლად ამჟამად ითვლება კახაბერ კვინიხიძე. ეს მდგომარეობა უცვლელი დარჩება რეესტრში ახალი ცვლილებების შეტანამდე, თუ ასეთს საერთოდ ადგილი ექნება (საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" მუხლი 5.6). ასე რომ, გაგლოშვილის მიერ იმის დაჩემება, თითქოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ის აღდგენილია ტელეკომპანიის დირექტორის თანამდებობაზე, მორიგი ტყუილია. ამდენად, ყოფილი დირექტორის კახაბერ გაგლოშვილის ეთერში არასანქცირებულ უკანონო გასვლას მხარს არავინ დაუჭერდა.

„საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ განცხადებაზე ხელმომწერები იმასაც აცხადებენ, რომ მათ სხვა შინაარსის ტექსტზე დასვეს ხელმოწერა. ერთ-ერთი მათგანი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ლევან ბერძენიშვილი ჩვენთან საუბრისას ამბობს: „მე ნამდვილად არ ვუჭერ მხარს იმ მხარეს, რომელმაც თამაშის ნაწილად აქცია ჩვენი ხელმოწერები და სურვილი. ჩემთვის „იბერია" იყო „ახალი ამბები" და ლუბა ელიაშვილის „სტუდია დიალოგი". ამიტომ მე ამ კონფლიქტში იმის მხარეზე ვარ, ვინც ეთერში ჩანდა, ვინც ღია დიალოგის მომხრე იყო. მე „იბერიაში" ვგულშემატკივრობდი გამორჩეულ ჟურნალისტებს. ამდენად, მე დენონსაციას ვუკეთებ ჩემს ხელმოწერას. თუმცა ნამდვილად მოვაწერე ხელი, ოღონდ ტექსტი, რომელსაც ხელი მოვაწერე და ტექსტი, რომლის ქვეშაც იგი აღმოჩნდა, სხვადასხვაა...

ტყუილია, რომ ამ კონფლიქტის დროს საზოგადოებაში ვინმეს გაახსენდა გაგლოშვილი. ტელევიზია ასოცირდება იმ პოპულარულ ადამიანებთან, ვინც ეთერიდან გვესაუბრება. მოკლედ, ჩართავ — გამოჩნდება, კარგია; ჩართავ — არ გამოჩნდება, ცუდია და უკვე ნათელია, რომ არსებობენ ავი დირექტორები".

ის ჟურნალისტები კი, ვინც „იბერიას" სახე შექმნა მისი დაარსების დღიდან და ვისაც გაგლოშვილი ამჟამად ტელევიზიის ტერიტორიაზე არ უშვებს, ადასტურებენ, რომ სწორედ გაგლოშვილის უსაფუძვლო ამბიციებისა და ნებისმიერი საშუალებით ტელევიზიის ხელში ჩაგდების სურვილს ეწირება მაყურებლისა და ჟურნალისტთა ინტერესები — ეთერში არ არის „იბერია".

სასამართლო გადაწყვეტს, რამდენად არის დამნაშავე ტელეკომპანიის მძიმე ფინანსურ კრახამდე მიყვანაში მისი ყოფილი დირექტორი. მანამდე კი მას შეუძლია ტელემაყურებელს გაუწიოს ანგარიში, გაითვალისწინოს 40-ზე მეტი თანამშრომლის ხელმოწერით დადასტურებული ახალ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის სურვილი და მისცეს მათ მუშაობისა და თავისი შრომის ანაზღაურების მიღების საშუალება (განმარტებისთვის: „იბერიას" თანამშრომლებისთვის ყოფილ დირექტორს ზოგ შემთხვევაში 2-3 თვის, ზოგ შემთხვევაში კი — 8 თვის ხელფასიც კი არ გადაუხდია); გაითვალისწინოს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა სურვილი, **ეთერში იყოს ტელეკომპანია „იბერია". სწორედ ეს სურვილი დაადასტურეს თავისი ხელმოწერით: ანა კალანდაძემ, თამაზ წივწივაძემ, გურამ დოჩანაშვილმა, ლევან სანიკიძემ, რეზო ამაშუკელმა, ნაირა გელაშვილმა, ზურაბ კიკნაძემ, ლევან ჭილაშვილმა, დავით მუსხელიშვილმა, პარმენ მარგველაშვილმა, თეიმურაზ ხუროძემ, ლევან ბერძენიშვილმა, რობერტ სტურუამ, სოფიკო ჭიაურელმა, კოტე მახარაძემ, სანდრო მრევლიშვილმა, რეზო ჩხეიძემ, ოთარ იოსელიანმა, გურამ საღარაძემ, გიორგი მარგველაშვილმა, გოგი ქავთარაძემ, დიმიტრი ჯაიანმა, მურმან ჯინორიამ, ავთო ვარსიმაშვილმა, ვალერი ასათიანმა, ჯანო ბაგრატიონმა და სხვებმა (სულ 80-მა ადამიანმა), როგორც წერილის ბოლოსაა აღნიშნული.**

ჩვენ უმეტესობას დაუკავშირდით. ზემოაღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად არსებობს ინტერვიუები ვალერი ასათიანთან, რეზო ამაშუკელთან, ლევან ბერძენიშვილთან, რეზო ჩხეიძესთან, ავთო ვარსიმაშვილთან, სოფიკო ჭიაურელთან. ჩვენთან საუბრისას იგივე დაადასტურეს ნაირა გელაშვილმა, თამაზ წივწივაძემ და მწერალთა კავშირის სხვა წარმომადგენლებმა, ასევე გურამ საღარაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, კოტე მახარაძემ, ჯანო ბაგრატიონმა და სხვებმა. მათ ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ მხოლოდ „იბერიას" მაუწყებლობის კანონიერ აღდგენას დაუჭირეს მხარი და არა კახაბერ გაგლოშვილს ან ვინმე სხვა ადამიანის დირექტორობის ამბიციებს.

ანა კალანდაძეს კატეგორიულად არ სურს, რომ მისი სახელი რომელიმე მხარემ გამოიყენოს.

სოფიკო ჭიაურელი მიიჩნევს, რომ არხი არ უნდა დაიხუროს, თუმცა კონფლიქტში არც ერთი მხარის პოზიციას არ იცნობს და, ბუნებრივია, ვერც გაიზიარებს.

კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი აცხადებს: *„მაუწყებლობა არ უნდა შეიზღუდოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს კანონის უზენაესობის უარყოფას. აქ არის რაღაც მომენტები, დაკავშირებული სამართლებრივ და ფინანსურ საკითხებთან... ყველაფერი უნდა მოხდეს კანონის ფარგლებში".*

რეჟისორი რეზო ჩხეიძე: *„მე არავითარი დეტალები არ ვიცი. ჩემთან მოვიდნენ და მითხრეს, რომ „იბერიას" ხურავენ და თუ სხვებთან ერთად მოაწერთ ხელს, ეს იქნება გარკვეული ზემოქმედება საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელადო. გაგლოშვილს არ ვიცნობ, არც მაინტერესებს მისი პოზიციები... მე მინდა, რომ არხი მუშაობდეს".*

რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი: *„ტელეკომპანია „იბერია" ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და საინტერესო ტელეკომპანიაა, ვინაიდან იგი დაარსების პირველი დღიდან გადაცემაში „თეატრალური ორშაბათი" აქტიურად აშუქებდა თეატრალური ცხოვრების მიმდინარე მოვლენებს... განცხადებაში ნახსენებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ვიცნობ, გუშინდელ თუ ახალ ხელმძღვანელობასთან მე მხოლოდ ერთი სათხოვარი მექნება: გააშუქონ თეატრში მიმდინარე მოვლენები".*

პოეტი რეზო ამაშუკელი: *„მე ლუბა ელიაშვილი ვნახე „რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში. ამის მერე მირეკავენ და მეუბნებიან, დაგვეხმარეთ, რომ „იბერია" იყოს ეთერში. მე მექანიკურად ვიფიქრე, რომ ეს იყო გარეთ დარჩენილი ჟურნალისტების თხოვნა და დავადასტურე ჩემი თანხმობა მხოლოდ არხის კვლავ ეთერში გასვლაზე და მეტი არაფერზე... თუმცა ხელმოწერით ეს სურვილი არ დამიდასტურებია, მე მჯერა იმ ჟურნალისტების, რომლებსაც ეკრანიდან ვიცნობ და პატივს ვცემ".*

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ლევან ბერძენიშვილი: *„„იბერიას" თავისი ადგილი აქვს და ვერავინ მის ადგილს ვერ დაიკავებს. მე მომწონდა ეს არხი და მომეწონება, თუკი იქ საზოგადოებისათვის საინტერესო ის ადამიანები გამოჩნდებიან, ვისაც ვგულშემატკივრობდი. ამდენად, აქ ხელი მოსაწერია სხვა რამეზე: დავაბრუნოთ „იბერია" იმ ჟურნალისტებიანად, ვისაც ხალხმა დაარქვა „იბერია". ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ბოლო წლებში გამოჩენილი თითო-ოროლა პროფესიონალი ჟურნალისტი ქუჩაში დავტოვოთ და ვიღაც დირექტორების ჭკუაზე ვიაროთ".*

„იბერიას" ძველი კოლექტივი კი კიდევ ერთხელ მიმართავს ტელევიზიის შენობაში „გამაგრებულ" მის ყოფილ პრეზიდენტს — მისცეს „იბერიას" მუშაობის საშუალება.

ლუბა ელიაშვილი, ნიცა ჩოლოყაშვილი, ანუკა ქიქნელაძე, ზაალ უდუმაშვილი, ნინო ძიძილაშვილი, ეკა ტორიკაშვილი, ნატო კალმახელიძე, რევაზ ჭიჭინაძე, ირინე ცერცვაძე, მანანა მენთეშაშვილი, ნანა ლომიძე, მანანა ელიაშვილი, პაატა ბურჭალიანი, ხათუნა სანდროშვილი, ნინო სურგულაძე, მაია ბუხიაშვილი, ირაკლი მაისურაძე, ანი ქართველიშვილი, თენგიზ მეზურნიშვილი, ნათია ჩოლოყაშვილი და სხვები.

1999 წლის 9 ივლისი.

საქართველოს კანონი
სტანდარტიზაციის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. ეს კანონი ადგენს საქართველოში სტანდარტიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს და აწესრიგებს ურთიერთობებს სტანდარტიზაციის სფეროში.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფარმაკოპეის სტატიებზე.

მუხლი 2. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სტანდარტიზაცია – საქმიანობა, რომელიც არსებულ და პოტენციურ ამოცანებთან დაკავშირებით მოწოდებულია დაადგინოს დებულებები საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის და მიზნად ისახავს ამ გზით გარკვეულ სფეროებში ოპტიმალური მოწესრიგების მიღწევას;

ბ) ეროვნული სტანდარტიზაცია – სტანდარტიზაცია, რომელიც ხორციელდება ერთი კონკრეტული ქვეყნის დონეზე;

გ) სტანდარტი – უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს საქონლის, მასთან დაკავშირებული პროცესების და წარმოების მეთოდებისათვის, რომელთა დაცვა სავალდებულო არ არის. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს ან ექსკლუზიურად ეხებოდეს ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების ან ეტიკეტირების მოთხოვნებს საქონლის, პროცესის ან წარმოების მეთოდის მიმართ;

დ) მეწარმე სუბიექტის სტანდარტი – სტანდარტი, რომელიც მიღებული და გამოცემულია მეწარმე სუბიექტის მიერ საკუთარი გამოყენებისათვის. სტანდარტის ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს სტანდარტის მიმღები;

ე) ეროვნული სტანდარტი – სტანდარტი, რომელიც მიღებულია სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანოს მიერ და ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო წრისათვის;

ვ) საერთაშორისო სტანდარტი – სტანდარტი, რომელიც მიღებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო წრისათვის;

ზ) რეგიონული სტანდარტი – სტანდარტი, რომელიც მიღებულია სტანდარტიზაციის რეგიონული ორგანიზაციის მიერ და ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო წრისათვის;

თ) სტანდარტიზაციის ორგანო – ორგანო, რომელიც დასაქმებულია სტანდარტიზაციით, აღიარებულია ეროვნულ, რეგიონულ ან საერთაშორისო დონეზე და რომლის ძირითადი ფუნქციაც მისი სტრუქტურის მიხედვით არის სტანდარტის შემუშავება ან მიღება, რომელიც ხელმისაწვდომია მომხმარებელთა ფართო წრისათვის;

ი) სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანო – სტანდარტიზაციის ორგანო, რომელიც აღიარებულია ეროვნულ დონეზე და რომელსაც უფლება აქვს იყოს სტანდარტიზაციის სათანადო საერთაშორისო ან რეგიონული ორგანიზაციის ეროვნული წევრი;

კ) სტანდარტიზაციის პროგრამა – სტანდარტიზაციის ორგანოს მუშაობის გეგმა, რომელშიც ჩამოთვლილია სტანდარტიზაციის სამუშაოთა დასახელებანი;

ლ) სტანდარტის პროექტი – შემოთავაზებული სტანდარტი, რომელიც განკუთვნილია განხილვის, კენჭისყრისა და მიღებისათვის;

მ) ნორმატიული დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს ან მახასიათებლებს სხვადასხვა სახის საქმიანობისა და მისი შედეგებისათვის;

ნ) შესაბამისობის ნიშანი – დაცული ნიშანი, რომელიც მიუთითებს, რომ სათანადოდ იდენტიფიცირებული პროდუქცია, პროცესი ან მომსახურება შეესაბამება კონკრეტულ სტანდარტს ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტს;

ო) სავალდებულო სტანდარტი – სტანდარტი, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობის ან რეგლამენტში სავალდებულო მითითებების შესაბამისად;

პ) რეგლამენტი – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამართლებრივ ნორმებს და მიღებულია სახელმწიფო ორგანოს მიერ;

ჟ) ტექნიკური რეგლამენტი – დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია საქონლის მახასიათებლები ან მასთან დაკავშირებული გადამუშავებისა და წარმოების მეთოდები, შესაბამისი ადმინისტრაციული დებულებების ჩათვლით, რომელთა დაცვა სავალდებულოა. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს ან ექსკლუზიურად ეხებოდეს ტერმინოლოგიის, სიმბოლოების, შეფუთვის, ნიშანდების ან ეტიკეტირების მოთხოვნებს საქონლის, პროცესის ან წარმოების მეთოდის მიმართ;

რ) სტანდარტიზაციის სფერო – სტანდარტიზაციის ურთიერთდაკავშირებული ობიექტების ერთობლიობა;

ს) ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორი – დოკუმენტი, რომელიც ადგენს საკლასიფიკაციო ობიექტებისათვის ან საკლასიფიკაციო ჯგუფებისათვის დასახელებებისა და კოდების სისტემატიზებულ ნუსხას;

ტ) მეწარმე სუბიექტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად;

უ) შეთავსებადობა – პროდუქციის, პროცესების ან მომსახურების ვარგისიანობა გარკვეულ პირობებში ერთობლივი გამოყენებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს და არ იწვევენ არასასურველ ურთიერთქმედებას;

ფ) ურთიერთშენაცვლებადობა – ერთი პროდუქციის, პროცესის ან მომსახურების უნარი, გამოყენებულ იქნეს სხვა პროდუქციის, პროცესის ან მომსახურების ნაცვლად ერთი და იმავე მოთხოვნების შესასრულებლად.

მუხლი 3. სტანდარტიზაციის მიზანი

სტანდარტიზაციის მიზანია:

ა) პროდუქციის, პროცესებისა და მომსახურების უსაფრთხოების უზრუნველყოფა გარემოს, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დასაცავად;

ბ) ვაჭრობაში ტექნიკური დაბრკოლებების აღმოფხვრა, პროდუქციის ან მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

გ) პროდუქციის ტექნიკური და ინფორმაციული შეთავსებადობის, აგრეთვე ურთიერთშენაცვლებადობის უზრუნველყოფა;

დ) ბუნებრივი, მატერიალური და ეკონომიკური რესურსების დაზოგვა;

ე) პროდუქციის, პროცესებისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში მომხმარებელთა ინტერესების დაცვა;

ვ) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ზ) საქართველოს ინტერესების წარმოდგენა სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო და რეგიონულ საქმიანობაში.

მუხლი 4. სტანდარტიზაციის პრინციპები

სტანდარტიზაციის პრინციპებია:

ა) გამჭვირვალობა, ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა და კონკრეტულობა;

ბ) საზოგადოებრივი სარგებლიანობა, თანამედროვეობა და ეკონომიკური ეფექტიანობა;

გ) სტანდარტიზაციის სფეროში განხორციელებულ საქმიანობაში მონაწილეობისა და სტანდარტების გამოყენების ნებაყოფლობითი ხასიათი;

დ) სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ პრინციპებთან შესაბამისობა;

ე) სტანდარტიზაციის სფეროში განხორციელებულ საქმიანობაში ყველა დაინტერესებული მხარის თანაბარ საწყისებზე მონაწილეობა და გადაწყვეტილებების კონსენსუსის საფუძველზე მიღება.

მუხლი 5. ურთიერთობები სტანდარტიზაციის სფეროში

ურთიერთობები სტანდარტიზაციის სფეროში წესრიგდება ამ კანონის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები სტანდარტიზაციის სფეროში

თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები არ შეესაბამება სტანდარტიზაციის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ წესებს, უპირატესობა ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით დადგენილ წესებს.

მუხლი 7. სტანდარტიზაციის სამუშაოების ორგანიზება

1. საქართველოში სტანდარტიზაციის სამუშაოების ორგანიზებას, სტანდარიზაციის სფეროში სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის კოორდინირებას, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის, სტანდარტიზაციის ტექნიკურ კომიტეტებთან, მეწარმე სუბიექტებთან ურთიერთქმედების ჩათვლით, ახორციელებს საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი (შემდგომ – „საქსტანდარტი“).

2. „საქსტანდარტის“ კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) სტანდარტიზაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) სტანდარტიზაციის სისტემის შექმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

გ) სტანდარტიზაციის პროგრამების შემუშავება და მათი ექვს თვეში ერთხელ გამოქვეყნება, რომლებიც შეიცავს სტანდარტების პროექტებს და ბოლო პერიოდში მიღებულ სტანდარტებს;

დ) სტანდარტების მთავარი საინფორმაციო ცენტრის მართვა;

ე) სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების, მიღების, გამოყენებისა და გავრცელების ორგანიზება;

ვ) სტანდარტიზაციის სფეროში ინფორმაციული უზრუნველყოფის ორგანიზება;

ზ) საერთაშორისო, რეგიონული, ეროვნული და უცხო ქვეყნების სტანდარტების ფონდის, აგრეთვე საინფორმაციო ბანკის შექმნა და ამ ფონდსა და ბანკში არსებული მონაცემების კორექტირება;

თ) სავალდებულო სტანდარტების დაცვის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა;

ი) სტანდარტიზაციის სფეროში დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

კ) ეროვნული სტანდარტების განვითარება და საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების ეროვნულ სტანდარტებად გამოყენების დაშვება;

ლ) სტანდარტიზაციის სფეროში კადრების პროფესიული დონის ამაღლების უზრუნველყოფა;

მ) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

3. სტანდარტიზაციის სფეროში განხორციელებულ საქმიანობაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. სტანდარტიზაციით დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტანდარტების მომზადებაში.

მუხლი 8. საქართველოს სტანდარტიზაციის სისტემა

1. საქართველოს სტანდარტიზაციის სისტემა არის ნორმატიული დოკუმენტების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტიზაციის სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარებას, ადგენს სტანდარტიზაციის ძირითად დებულებებს და წესებს, სისტემის პრინციპებს და სტრუქტურას, მოთხოვნებს საქართველოში მოქმედი სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტებისადმი, ამ დოკუმენტების შემუშავების, შეთანხმების მიღებისა და რეგისტრაციის წესებს.

2. საქართველოს სტანდარტიზაციის სისტემა ღიაა დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის მასთან მისაერთებლად.

3. საქართველოს სტანდარტიზაციის სისტემის მონაწილეები არიან:

ა) „საქსტანდარტი“;

ბ) სტანდარტიზაციის სფეროს ტექნიკური კომიტეტები;

გ) ფიზიკური და იურიდიული პირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სამუშაოებს ახორციელებენ სტანდარტიზაციის სფეროში.

4. „საქსტანდარტი“ პასუხისმგებელია მის მიერ შემუშავებული სტანდარტიზაციის სისტემის სტანდარტიზაციის პრინციპებთან შესაბამისობაზე.

5. სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი არის დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოს სტანდარტების შემუშავება და საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტიზაციის სფეროში სამუშაოთა განხორციელება. სტანდარტიზაციის ტექნიკურ კომიტეტს არა აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

6. სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი, როგორც წესი, იქმნება გარკვეული სახის პროდუქციისა და ტექნოლოგიების და სტანდარტიზაციის სხვა ობიექტების მიხედვით სპეციალიზებული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე ორგანიზაციების ბაზაზე. სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტი პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული სტანდარტების პროექტების შემუშავებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. საერთაშორისო თანამშრომლობა სტანდარტიზაციის სფეროში

„საქსტანდარტს“, როგორც საქართველოს სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოს, უფლება აქვს საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში იყოს საქართველოს წარმომადგენელი.

თავი II
სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტები

მუხლი 10. სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტები

საქართველოში მოქმედი სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტებია:

ა) საქართველოს ეროვნული სტანდარტი (შემდგომ – საქართველოს სტანდარტი);

ბ) საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო სტანდარტი;

გ) საქართველოს სტანდარტად მიღებული რეგიონული სტანდარტი;

დ) ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის საქართველოს კლასიფიკატორი;

ე) მეწარმე სუბიექტის სტანდარტი.

მუხლი 11. საქართველოს სტანდარტები, ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორები

1. საქართველოს სტანდარტის პროექტი უნდა შემუშავდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (შემდგომ – მსო) „სტანდარტების შემუშავების, მიღებისა და გამოყენების შესახებ კეთილსინდისიერი ქმედების კოდექსით“ დადგენილი წესების შესაბამისად.

2. საქართველოს სტანდარტის შემუშავების საფუძველია საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები ან დამთავრების სტადიაზე მყოფი მათი პროექტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები ან მათი ცალკეული ნორმები არაეფექტიანია კანონიერი მიზნების მისაღწევად (ძირითადი კლიმატური და გეოგრაფიული ფაქტორების ან ტექნოლოგიური პრობლემების გამო).

3. სტანდარტის მიღებამდე დაინტერესებულ მხარეებს სტანდარტის პროექტზე შენიშვნების წარდგენისათვის ეძლევათ 60 დღის ვადა. ეს ვადა შეიძლება შემცირდეს, თუ იქმნება ან შესაძლოა შეიქმნას ეროვნული უსაფრთხოების, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემები.

4. სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტის მომზადება, მიღება და გამოყენება არ უნდა ქმნიდეს ვაჭრობაში იმაზე მეტ დაბრკოლებებს, ვიდრე ეს საჭიროა კანონიერი მიზნების მისაღწევად, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დასაცავად, აგრეთვე მცდარი პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად.

5. საქართველოს სტანდარტის დაცვა სავალდებულოა, თუ:

ა) ეს დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით ან მითითებულია ტექნიკურ რეგლამენტში;

ბ) მწარმოებელმა ან მომსახურების მიმწოდებელმა იკისრა ეს ვალდებულება შესაბამისობის შემოწმებით.

6. საქართველოს სტანდარტთან პროდუქციის ან მომსახურების შესაბამისობა შეიძლება დადასტურდეს პროდუქციისა და მომსახურების შესაბამისობის ნიშნით ნიშანდების გზით. მეწარმე სუბიექტები, აგრეთვე პროდუქცია და მომსახურება, რომლებიც ნიშანდებულია შესაბამისობის ნიშნით, შეიტანება საქართველოს სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშნით ნიშანდებული პროდუქციისა და მომსახურების სახელმწიფო რეესტრში. საქართველოს სტანდარტებთან პროდუქციისა და მომსახურების შესაბამისობის ნიშნის ფორმისა და ნიშანდების, აგრეთვე სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და გამოყენების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

7. საქართველოს სტანდარტებს იღებს „საქსტანდარტი“ ამ კანონის შესაბამისად.

8. საქართველოს სტანდარტი სამოქმედოდ შემოიღება „საქსტანდარტში“ მისი სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ.

9. ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების შემუშავების, დამტკიცების, ამოქმედების და გამოყენების წესებს ადგენს „საქსტანდარტი“.

მუხლი 12. მეწარმე სუბიექტის სტანდარტი

მეწარმე სუბიექტის სტანდარტი შეიძლება შეიმუშაოს და მიიღოს ამ სუბიექტმა. მეწარმე სუბიექტი სტანდარტს შეიმუშავებს, თუ არ არსებობს პროდუქციის ან მომსახურების საქართველოს სტანდარტები ან საქართველოს სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნები საჭიროებს დამატებებს. მეწარმე სუბიექტი პასუხისმგებელია თავისი სტანდარტის სავალდებულო სტანდარტებთან შესაბამისობაზე. მეწარმე სუბიექტის სტანდარტი ამოქმედდება მისი სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ.

თავი III
ტექნიკური რეგლამენტი

მუხლი 13. ტექნიკური რეგლამენტი

1. ტექნიკური რეგლამენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს ტექნიკურ მოთხოვნებს პროდუქციის ან მომსახურებისათვის.

2. ტექნიკური რეგლამენტი პროდუქციის ან მომსახურებისათვის ტექნიკურ მოთხოვნებს განსაზღვრავს პირდაპირ ან საქართველოს სტანდარტებზე მითითებით და მათი სავალდებულო გამოყენების დადგენით.

3. ტექნიკური რეგლამენტის შემუშავების, მიღებისა და გამოქვეყნების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. ტექნიკური რეგლამენტი არ უნდა ზღუდავდეს ვაჭრობას იმაზე მეტად, ვიდრე ეს საჭიროა კანონიერი მიზნების მისაღწევად, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დასაცავად, აგრეთვე მცდარი პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად. ეს რეგლამენტი, აგრეთვე უნდა ითვალისწინებდეს ამ მიზნების შეუსრულებლობის შედეგად მოსალოდნელ რისკს. ამ რისკის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ხელმისაწვდომი სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაცია, გადამუშავების შესაბამისი ტექნოლოგია ან საქონლის დანიშნულებისამებრ გამოყენება.

5. შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების არსებობისას, ეს სტანდარტები ან მათი ცალკეული ნორმები გამოიყენება ტექნიკური რეგლამენტის საფუძვლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საერთაშორისო სტანდარტები ან მათი ცალკეული ნორმები არაეფექტიანია კანონიერი მიზნების მისაღწევად (ძირითადი კლიმატური და გეოგრაფიული ფაქტორების ან ტექნოლოგიური პრობლემების გამო).

6. საქონლის ან მომსახურების ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დამოწმება სავალდებულოა. სავალდებულო დამოწმების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

7. ტექნიკური რეგლამენტი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მსო-ს ნებისმიერი წევრი ქვეყნის ტერიტორიიდან საქართველოში იმპორტირებული საქონლის მიმართ არ უნდა გამოიყენებოდეს იმ რეჟიმზე ნაკლებად ხელსაყრელი რეჟიმი, რომელიც გამოიყენება საქართველოში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში წარმოებული იმავე ტიპის საქონლისათვის.

8. ტექნიკური რეგლამენტი აღარ გამოიყენება, თუ მისი მიღების განმსაზღვრელი პირობები და მიზნები აღარ არსებობს ან შეცვლილი გარემოებები და მიზნები შეიძლება ვაჭრობის ნაკლებად შემზღუდველად ჩაითვალოს.

9. მსო-ს წევრი ქვეყნის ტექნიკური რეგლამენტი საქართველოში ითვლება ეკვივალენტურად მისაღებად იმ შემთხვევაშიც, თუ ეს რეგლამენტი განსხვავდება საქართველოს ტექნიკური რეგლამენტისაგან, მაგრამ ადეკვატურად ახორციელებს საქართველოს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ ამოცანებს.

თავი IV
შესაბამისობის დადასტურება

მუხლი 14. შესაბამისობის დადასტურება

1. შესაბამისობის დადასტურება არის პროდუქციის, მომსახურების ან წარმოების პროცესის სტანდარტთან შესაბამისობის ნებაყოფლობითი ან სავალდებულო შემოწმება.

2. შესაბამისობის დადასტურების პროცედურის შემუშავება, დამტკიცება და გამოყენება არ უნდა ქმნიდეს ვაჭრობაში ტექნიკურ დაბრკოლებებს. მსო-ს წევრ ქვეყანაში გამოყენებული შესაბამისობის დადასტურების პროცედურა საქართველოში მიღებული უნდა იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ ეს პროცედურა განსხვავდება საქართველოში გამოყენებული პროცედურებისაგან, მაგრამ მათი ეკვივალენტურია და უზრუნველყოფს ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტებთან შესაბამისობას.

3. შესაბამისობის დადასტურების პროცედურის შემუშავების, დამტკიცებისა და გამოყენების წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი V
ინფორმაცია სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და შესაბამისობის დადგენის პროცედურების შესახებ

მუხლი 15. სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტების გამოქვეყნება

1. საქართველოს სტანდარტების პროექტების და მიღებული სტანდარტების, ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს სტანდარტები და კლასიფიკატორები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისათვის, თუ ეს ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას.

2. „საქსტანდარტი“ უზრუნველყოფს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების, საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების, სტანდარტიზაციის წესებისა და რეკომენდაციების, უცხო ქვეყნების ეროვნული სტანდარტების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გამოყენებას; სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების და მათი გამოყენების წესების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას; ქმნის საქართველოს სტანდარტების, ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების, აგრეთვე საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების, სტანდარტიზაციის წესებისა და რეკომენდაციების, უცხო ქვეყნების ეროვნული სტანდარტების ფონდს და საინფორმაციო ბანკს, აგრეთვე ახორციელებს ამ ფონდსა და ბანკში არსებული მონაცემების კორექტირებას. ამ ფონდის შექმნისა და გამოყენების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

3. „საქსტანდარტს“ აქვს საქართველოს სტანდარტების და ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების დადგენილი წესით ოფიციალური გამოქვეყნების განსაკუთრებული უფლება.

4. საქართველოს სტანდარტების და ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების გამოქვეყნების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.

5. „საქსტანდარტს“ აქვს საქარეველოს სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშნით ნიშანდებული პროდუქციისა და მომსახურების კატალოგში შეტანილი მონაცემების ოფიციალური გამოქვეყნების განსაკუთრებული უფლება.

6. სტანდარტიზაციის ნორმატიული დოკუმენტების ოფიციალურ გამოცემად ითვლება მათი გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ და „საქსტანდარტის“ მიერ გამოცემულ სტანდარტების საინფორმაციო კრებულში „საქართველოს სტანდარტები, მაჩვენებელი“.

7. „საქსტანდარტთან“ ფუნქციონირებს სტანდარტების მთავარი საინფორმაციო ცენტრი, რომელიც:

ა) ორგანიზებას უწევს საქართველოს სტანდარტების, ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების, ტექნიკური რეგლამენტის, საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების, სტანდარტიზაციის წესებისა და რეკომენდაციების, აგრეთვე სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გამოქვეყნებას;

ბ) პასუხობს დაინტერესებული მხარეების და მსო-ს წევრი ქვეყნების შეკითხვებს და აწვდის მათ შესაბამის დოკუმენტაციას:

ბ.ა) მიღებული და მისაღებ ტექნიკურ რეგლამენტებზე;

ბ.ბ) მიღებული და მისაღებ სტანდარტებზე;

ბ.გ) დამტკიცებულ და მისაღებ შესაბამისობის დადასტურების პროცედურებზე;

გ) მომხმარებელს წარუდგენს ინფორმაციას ტექნიკური რეგლამენტის, სტანდარტების, სხვა ნორმატიული დოკუმენტების და სტანდარტებთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ;

დ) მომხმარებელს წარუდგენს ინფორმაციას უცხო ქვეყნებიდან მიღებული სტანდარტების თარგმნის შესახებ;

ე) თანამშრომლობს საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან სტანდარტიზაციისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროში;

ვ) თანამშრომლობს მსო-ს სამდივნოსთან და მსო-ს წევრ ქვეყნებთან სტანდარტიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე „ვაჭრობაში ტექნიკური დაბრკოლებების შესახებ“ მსო-ს წევრი ქვეყნების შეთანხმებით დადგენილი წესების შესაბამისად.

8. საინფორმაციო ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების ნებისმიერი გადასახადი, მიწოდების რეალური ხარჯების გარდა, უნდა იყოს თანაბარი საქართველოსა და უცხო ქვეყნების წარმომადგენლებისათვის.

9. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ქმნიან საინფორმაციო ცენტრებს, რომლებიც „საქსტანდარტის“ მთავარ საინფორმაციო ცენტრს უზრუნველყოფენ შესამუშავებელი და მიღებული ნორმატიული აქტებისა და დოკუმენტების შესახებ ინფორმაციით.

მუხლი 16. შეტყობინება ტექნიკური რეგლამენტისა და შესაბამისობის პროცედურის შესახებ

1. თუ არ არსებობს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტი ან მისაღები ტექნიკური რეგლამენტის ტექნიკური შინაარსი არ შეესაბამება შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის ტექნიკურ შინაარსს და ტექნიკურმა რეგლამენტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს ვაჭრობაზე:

ა) ქვეყნდება შეტყობინება „საქართველოს სტანდარტებში“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტის განხილვის ადრეულ სტადიაზე, რათა მსო-ს წევრ ქვეყნებს მიეცეთ ამ რეგლამენტის პროექტის გაცნობისა და მის შესახებ წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა;

ბ) მსო-ს წევრ ქვეყნებს მსო-ს სამდივნოს მეშვეობით ეცნობებათ იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც მოიცავს მისაღები ტექნიკური რეგლამენტი. ეს შეტყობინება იგზავნება ტექნიკური რეგლამენტის განხილვის ადრეულ სტადიაზე, სანამ შესაძლებელია პროექტში შესწორებების შეტანა და შენიშვნების გათვალისწინება;

გ) მსო-ს წევრ ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, წარადგინონ წერილობითი შენიშვნები, განიხილონ ისინი მოთხოვნისამებრ და მხედველობაში მიიღონ ეს შენიშვნები და მათი განხილვის შედეგები.

2. ეროვნული უსაფრთხოების, ადამიანის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემების წარმოქმნის ან წარმოქმნის საშიშროების შემთხვევაში ტექნიკური რეგლამენტის მიღების შემდეგ:

ა) მსო-ს ქვეყნებს მსო-ს სამდივნოს მეშვეობით ეცნობებათ მიღებული ტექნიკური რეგლამენტის და იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც მოიცავს ეს რეგლამენტი;

ბ) მსო-ს წევრ ქვეყნებს ეგზავნებათ ტექნიკური რეგლამენტის ასლები მოთხოვნისამებრ;

გ) მსო-ს წევრ ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, წარადგინონ წერილობითი შენიშვნები, განიხილონ ისინი მოთხოვნისამებრ და მხედველობაში მიიღონ ეს შენიშვნები და მათი განხილვის შედეგები.

3. ყველა მიღებული ტექნიკური რეგლამენტი უნდა გამოქვეყნდეს დროულად და გახდეს ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისათვის.

4. ტექნიკური რეგლამენტის გამოქვეყნებასა და ამოქმედებას შორის უნდა დაწესდეს რეალური ვადა, რათა მწარმოებლებს მიეცეთ საკმარისი დრო თავიანთი პროდუქციის ან წარმოების მეთოდების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

5. თუ არ არსებობს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოს შესაბამისი რეკომენდაცია ან შესამუშავებელი შესაბამისობის დადასტურების პროცედურის ტექნიკური შინაარსი სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოების რეკომენდაციებს არ შეესაბამება და ამ პროცედურას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ვაჭრობაზე:

ა) ქვეყნდება შეტყობინება ამ პროცედურის შესახებ მისი განხილვის ადრეულ სტადიაზე „საქართველოს სტანდარტებში“, რათა მსო-ს წევრ ქვეყნებს მიეცეთ მისი გაცნობისა და შესაბამისობის დადასტურების პროცედურის შემუშავების შესახებ წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა;

ბ) მსო-ს წევრ ქვეყნებს მსო-ს სამდივნოს მეშვეობით ეცნობებათ იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც მოიცავს მისაღები შესაბამისობის დადასტურების პროცედურა;

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს კანონი

სტანდარტიზაციის შესახებ

(მესამე გვერდიდან)

გ) მსო-ს წევრ ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, წარადგინონ წერილობითი შენიშვნები, განიხილონ ისინი მოთხოვნისამებრ და მხედველობაში მიიღონ ეს შენიშვნები და მათი განხილვის შედეგები.

6. ეროვნული უსაფრთხოების, ადამიანის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემების წარმოქმნის ან წარმოქმნის საშიშროების შემთხვევაში შესაბამისობის დადასტურების პროცედურების მიღების შემდეგ:

ა) მსო-ს სამდივნოს მეშვეობით მსო-ს წევრ ქვეყნებს ეცნობებათ მიღებული შესაბამისობის დადასტურების პროცედურისა და იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც მოიცავს ეს პროცედურა;

ბ) მსო-ს წევრ ქვეყნებს ეგზავნებათ შესაბამისობის დადასტურების პროცედურის ასლები მოთხოვნისამებრ;

გ) მსო-ს წევრ ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, წარადგინონ წერილობითი შენიშვნები, განიხილონ ისინი მოთხოვნისამებრ და მხედველობაში მიიღონ ეს შენიშვნები და მათი განხილვის შედეგები.

7. მიღებული შესაბამისობის დადასტურების პროცედურა უნდა გამოქვეყნდეს დროულად, აგრეთვე მსო-ს წევრ ქვეყნებს უნდა მიეცეთ მათი გაცნობის შესაძლებლობა.

8. შესაბამისობის დადასტურების პროცედურის გამოქვეყნებასა და ამოქმედებას შორის უნდა დაწესდეს რეალური ვადა, რათა მწარმოებლებს მიეცეთ საკმარისი დრო თავიანთი პროდუქციისა და წარმოების მეთოდების შესაბამისობის დადასტურების პროცედურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

თავი VI
საქართველოს სავალდებულო სტანდარტების დაცვის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

მუხლი 17. საქართველოს სავალდებულო სტანდარტების დაცვის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

1. საქართველოს სავალდებულო სტანდარტების დაცვის სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდება პროდუქციის შემუშავების, წარმოებისათვის მომზადების, დამზადების, რეალიზაციის (მიწოდების, გაყიდვის), გამოყენების (ექსპლუატაციის), შენახვის, ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე მომსახურების გაწევისას.

2. საქართველოს სავალდებულო სტანდარტების დაცვის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის წესს ადგენს „საქსტანდარტი“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. საქართველოს სავალდებულო სტანდარტების დაცვის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოები

1. საქართველოს სავალდებულო სტანდარტების დაცვის სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებენ „საქსტანდარტი“ და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ენიჭებათ სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება.

2. შესამოწმებელი ობიექტების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან შექმნან ყველა აუცილებელი პირობა სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის გასახორციელებლად.

მუხლი 19. სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი უფლებამოსილი თანამდებობის პირები, მათი უფლებები და პასუხისმგებლობა

1. საქართველოს სავალდებულო სტანდარტების დაცვის სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილი თანამდებობის პირები, რომელთაც უფლება აქვთ:

ა) სტანდარტიზაციის სფეროს ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად აიღონ პროდუქციისა და მომსახურების ნიმუშები და სინჯები;

ბ) გასცენ მიწერილობა შემოწმებული პროდუქციის, მათ შორის, საქართველოში იმპორტირებული საქონლის რეალიზაციის (მიწოდების, გაყიდვის), გამოყენების (ექსპლუატაციის), აგრეთვე მომსახურების გაწევის შეჩერებისა და აკრძალვის შესახებ.

2. უფლებამოსილი თანამდებობის პირები მათთვის დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების, აგრეთვე მატერიალური ზიანის მიყენების, სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოების გამჟღავნებისათვის პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VII
პასუხისმგებლობა საქართველოს სტანდარტიზაციის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 20. პასუხისმგებლობა საქართველოს სტანდარტიზაციის კანონმდებლობის დარღვევისათვის

პასუხისმგებლობა სტანდარტიზაციის კანონმდებლობის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VIII
სახელმწიფო სტანდარტიზაციის, კონტროლისა და ზედამხედველობის სამუშაოების დაფინანსება. საქართველოს სტანდარტების გამოყენების სტიმულირება

მუხლი 21. სახელმწიფო სტანდარტიზაციის, კონტროლისა და ზედამხედველობის სამუშაოების დაფინანსება

1. სავალდებულო სახელმწიფო დაფინანსებას ექვემდებარება:

ა) კონკრეტულ პროდუქციაზე საქართველოს საკანონმდებლო აქტების, ფუძემდებლური და საერთო-ტექნიკური სტანდარტების კომპლექსების, ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების შემუშავების, მიღებისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ბ) სტანდარტიზაციის სამეცნიერო-კვლევითი და სხვა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოების განხორციელება;

გ) საქართველოს სავალდებულო სტანდარტების დაცვის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

დ) საქართველოს სტანდარტების ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორების, საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების, სტანდარტიზაციის წესებისა და რეკომენდაციების, უცხო ქვეყნების ეროვნული სტანდარტების სახელმწიფო ფონდის შექმნა და ამ ფონდში არსებული მონაცემების კორექტირება, აგრეთვე საქართველოს სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშნით ნიშანდებული პროდუქციის სახელმწიფო რეესტრის წარმოება;

ე) „საქსტანდარტის“ მმართველობითი საქმიანობა;

ვ) სახელმწიფო სტანდარტიზაციის სხვა სამუშაოები, რომლებსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა;

ზ) საქართველოს საწევრო შენატანები სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში.

2. სახელმწიფო პროგრამებში, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე თავდაცვისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების შექმნისა და განვითარების პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ნორმატიული უზრუნველყოფა.

მუხლი 22. საქართველოს სტანდარტების გამოყენების სტიმულირება

1. სახელმწიფო აძლევს ეკონომიკური მხარდაჭერისა და სტიმულირების გარანტიებს იმ მეწარმე სუბიექტებს, რომლებიც აწარმოებენ საქართველოს სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშნით ნიშანდებულ პროდუქციას ან ეწევიან ამ სტანდარტების (მათ შორის, ისეთი სტანდარტების, რომლებიც შეიცავს პერსპექტიულ მოთხოვნებს, ტრადიციული ტექნოლოგიების წინმსწრებ შესაძლებლობებს) შესაბამის მომსახურებას.

2. იმ მეწარმე სუბიექტების ეკონომიკური მხარდაჭერისა და სტიმულირების ღონისძიებები, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას ან ეწევიან მომსახურებას საქართველოს სტანდარტების შესაბამისად, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

თავი IX
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 23. საქართველოს სავალდებულო სტანდარტების მოქმედება

1. ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სტანდარტები ინარჩუნებს სავალდებულო ძალას „საქსტანდარტის“ მიერ მათ შეცვლამდე ან გაუქმებამდე.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე „საქსტანდარტმა“, დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, გამოაქვეყნოს იმ სტანდარტების ნუსხა, რომლებიც კარგავს სავალდებულო ძალას.

3. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა დაამტკიცონ და გამოაქვეყნონ ის ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც ითვალისწინებს პროდუქციის, პროცესებისა და მომსახურების ხარისხის უსაფრთხოების, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონებისა და გარემოს დაცვის უზრუნველმყოფი სტანდარტების სავალდებულო ძალის შენარჩუნებას.

4. საქართველოს სავალდებულო სტანდარტები საქართველოს მსო-ში გაწევრიანების დღიდან 3 წლის განმავლობაში გადაკეთდება ნებაყოფლობით სტანდარტებად.

თავი X
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 24. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ამოქმედდეს 1999 წლის 1 სექტემბრიდან.

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს 1996 წლის 6 სექტემბრის კანონი „სტანდარტიზაციის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №22-23, 17 ოქტომბერი, 1996).

**საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი,
1999 წლის 25 ივნისი.**

პოლემიკა

გადასახადი უნდა გადავიხადოთ არა საკუთარი საზომით, არამედ კანონით დადგენილი ნორმებით

ბიუჯეტი ქვეყნის ცხოვრების სარკეა. ჩაიხედავ და დაინახავ უტყუარ სურათს, რომელიც ქვეყანამ და ხალხმა, ერმა და ბერმა თავიანთი გარჯილობითა და ოფლით მოცემულ ეტაპზე შექმნეს. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი ამ დღეებში, როცა სასაუბროდ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შემოსავლების განყოფილების უფროსს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს დავით ჩხარტიშვილს შევხვდი.

– ბატონო დავით, უკან ჩამოვიტოვეთ წლის პირველი ნახევარი, როგორ ფიქრობთ, ნაყოფიერი იყო ეს პერიოდი ქვეყნის ბიუჯეტისათვის?

– ალბათ, უპრიანი იქნება, ჯერ ვნახოთ, რა შემოსავლები მიიღო ბიუჯეტმა და, აქედან გამომდინარე, მერე დავასკვნათ ნაყოფიერი იყო, თუ უნაყოფო.

– ყაბულსა ვარ.

– მაშინ ციფრებით დავიწყოთ. წლევანდელი ბიუჯეტის შემოსავლების ექვსი თვის გეგმა იყო 348,8 მილიონი ლარი (წლიური გეგმის – 922,5 მილიონი ლარის 37,8 პროცენტი). ფაქტობრივად, ბიუჯეტმა მიიღო 327,1 მილიონი ლარი. ეს ექვსი თვის გეგმის 93,8 პროცენტია, ხოლო წლიური გეგმის 35,5 პროცენტი.

– ამ მაჩვენებელს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან თუ შევადარებთ, მატებას მივიღებთ თუ კლებას?

– ვერაფრით გაგახარებთ: ამერიკულ დოლარებში გაანგარიშებით, 1998 წლის პირველი ნახევრის საბიუჯეტო შემოსავლები 230,1 მილიონი დოლარის ტოლი იყო, წლევანდელი პირველი ნახევრისა კი 153,6 მილიონი დოლარია.

– გამოდის, რომ წლის მეორე ნახევარში ძალიან გაგვიჭირდება?

– ძალიან. ამ პერიოდში ბიუჯეტში უნდა შემოვიდეს 595,4 მილიონი ლარი, ანუ თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე პირველ ექვს თვეში. ყოველ თვეში აუცილებელია საშუალოდ 99,2 მილიონი ლარის მობილიზება. ეს მაშინ, როცა წლის პირველ ნახევარში ბიუჯეტი თვეში საშუალოდ მხოლოდ 54,5 მილიონ ლარს თუ იღებდა.

– როგორ შეაფასებდით შექმნილ მდგომარეობას?

– მეტად საეჭვოა, რომ დარჩენილ პერიოდში დავძლიოთ უზარმაზარი ჩამორჩენა (პირველი ექვსი თვის შედარებით უკეთესი შედეგები დაგეგმვის ძალზე დაბალმა დონემ განაპირობა). ეს კი გამოიწვევს ან ისედაც მწირი ხარჯების მნიშვნელოვნად შეკვეცას, ან დავალიანების კიდევ უფრო ზრდასა და მისი დაფარვის სამომავლოდ გადატანას, რაც სერიოზულ სიძნელეებს წარმოქმნის.

იმ შემთხვევაში, თუ წლის მეორე ნახევარში ყოველთვიურად ბიუჯეტი მიიღებს 60 მილიონ ლარს მაინც, აგრეთვე, მთლიანად მიიღებს წლიური გეგმით გათვალისწინებულ უცხოურ გრანტებს (86,4 მილიონი ლარის ოდენობით), მაშინ წლიური შემოსავლები სავარაუდოდ მიაღწევს 752,1 მილიონ ლარს (წლიური პროგნოზის დაახლოებით 81,5 პროცენტს).

ასეთ ვითარებაში ბიუჯეტის შემოსავლების გეგმას დააკლდება დაახლოებით 170 მილიონი ლარი. ამ ოდენობით ხარჯების დაფინანსების შემცირება (სეკვესტრი) შეუძლებელი იქნება, რადგან ასიგნებათა უდიდესი ნაწილი მოდის დაცულ მუხლებზე და სასიცოცხლოდ აუცილებელ ხარჯებზე.

– ამ უსიამოვნებას, ალბათ, თავს დავაღწევდით, ბევრი მეწარმე სახელმწიფოს შემოსავლებს რომ არ უმალავდეს, ბევრს კი მძიმე საგადასახადო პოლიტიკა და გაუთავებელი კონტრაბანდა მუშაობის ხალისს არ უკარგავდეს.

– მართალი ხართ, დამალული შემოსავლების და ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებით, ძალიან მძიმე ვითარება შეიქმნა. მიმაჩნია, რომ საგადასახადო და საბაჟო სამსახურებმა ამ მიმართებით მუშაობა უნდა გააძლიერონ, კონკრეტულმა მეწარმეებმა კი, რომლებიც შემოსავალს მალავენ ან საერთოდ არ იხდიან გადასახადს, კონკრეტულად უნდა აგონ პასუხი.

– ბატონო დავით, რახან სიტყვა დამალულ შემოსავლებზე ჩამოვარდა, არ შემიძლია არაფერი გკითხოთ ბატონ გოგი თოფაძის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით. მე, მაგალითად, არ მჯერა, რომ ქართული ბიზნესის ეს აღიარებული ლიდერი, რომელმაც უცხოურ ლუდს ჩვენს ბაზარზე სულ კუდით ქვა ასროლინა, სახელმწიფოს შემოსავალს უმალავს.

– ბევრ სხვასაც არ სჯერა (მათ შორის თვით ბატონ გოგი თოფაძესაც), მაგრამ კანონსა და ფაქტებს სად გავექცევით?

– ვითომ კანონი დაარღვია? ან რა ფაქტებზეა ლაპარაკი?

– ახლავე მოგახსენებთ. საქართველოში 1995 წლის 15 ივნისამდე ადგილობრივი წარმოების ლუდზე სააქციზო განაკვეთი შეადგენდა 10 პროცენტს (ანალოგიური გადასახადი სომხეთში იყო 50 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში 75 პროცენტი). 15 ივნისს პარლამენტმა კანონში ცვლილებები შეიტანა – არაყზე, შამპანურზე, კონიაკზე და ლუდზე დაწესდა 100-პროცენტიანი აქციზი. ეს განაკვეთი მოქმედებდა წელიწადნახევრის განმავლობაში – 1996 წლის 27 დეკემბრამდე. შემდეგ კვლავ შეიცვალა აქციზის ოდენობა და გახდა 15 პროცენტი.

– გინდათ თქვათ, რომ გოგი თოფაძემ აქციზის თანხა არ გადაიხადა?

– გადაიხადა, მაგრამ იმდენი არა, რამდენიც უნდა გადაეხადა. მან 100-პროცენტიანი აქციზი მიიჩნია უკანონოდ და წელიწადისა და ხუთი თვის განმავლობაში იხდიდა მხოლოდ 10 პროცენტს (ძველი ნიხრით). ამის გამო სანქცია-საურავების ჩათვლით მას ბიუჯეტის წინაშე 6 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა.

– როგორც ვიცი, საგადასახადო ინსპექცია უფრო მეტსაც ედავება.

– სწორადაც ედავება. საქმე ის არის, რომ ლუდის ქარხანა „ყაზბეგი“ სარგებლობდა უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონით გათვალისწინებული შეღავათებით. ფაქტობრივად კი, მასში არავითარი უცხოური ინვესტორები არ დაბანდებულა და არც ერთობლივ საწარმოს არ წარმოადგენს (ნუ ავურევთ ერთმანეთში საწარმოებს „ყაზბეგს“ და „ყაზბეგი-კასტელს“). თუ ამ კანონის დარღვევის გამო გამოყენილ თანხასაც (7 მილიონი ლარი) დავამატებთ, გამოდის, რომ გოგი თოფაძეს სახელმწიფოსი 13 მილიონი ლარი მართებს.

– ზოგი ამ „გაუგებრობას“ საგადასახადო სამსახურის შეფყოფილის ბატონ დავით სალარიძის ლმობიერებით ხსნის – იგი ვალდებული იყო კანონით გათვალისწინებული გადასახადები ზუსტად გადაეხდევინებინაო.

– როცა ამას ამბობენ, მხედველობაში აქვთ გოგი თოფაძის განცხადება, რომელსაც სალარიძის განმარტებით, პრეზიდენტმა რეზოლუცია დაადო. რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე? ის, რომ პრეზიდენტის რეზოლუცია არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს (ნორმატიული აქტი მისი განკარგულება ან ბრძანებულებაა). თუმცა, პრეზიდენტის განკარგულებაც რომ ყოფილიყო, იგი ვერ შეცვლიდა კანონს. პრეზიდენტის რეზოლუცია იყო მითითება ფინანსთა მინისტრისადმი, კიდევ ერთხელ შესწავლილიყო საკითხი და მეტი არაფერი.

ლუდის რესტორანი მტკვრის სანაპიროზე.

– ამის მიუხედავად, ბატონ გოგი თოფაძეს მიაჩნია, რომ უკანონოდ ედავებიან. მარტო წელს, განაცხადა მან ტელევიზიით გამოსვლისას, ჩემი საწარმო 9-10 მილიონ ლარს მისცემს ბიუჯეტს. აბა, მაჩვენეთ მეორე საწარმო საქართველოში, რომელიც ამდენ შემოსავალს იძლევაო.

– ზემოთაც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ბატონ გოგი თოფაძეს ედავებიან არა იმას, რომ გადასახადებს არ იხდის, არამედ იმას, რომ კანონის დარღვევით იხდის. კანონის დარღვევის უფლება კი არავის აქვს. აბა, წარმოიდგინეთ, ყველამ რომ თავის შეხედულების მიხედვით გადაიხადოს ბეგარა, რას მივიღებთ? მხოლოდ ანარქიას!

– აქციზური მარკების დაკვრაზე რომ უარს აცხადებს, ესეც კანონის დარღვევაა?

– რა თქმა უნდა. ეს კანონით არის დადგენილი და მისი უარყოფის უფლება არავის აქვს. მით უფრო, რომ აქციზური მარკების შემოღების შემდეგ შემოსავლებმა მნიშვნელოვნად იმატა – ბიუჯეტში 35 მილიონი ლარი შემოვიდა (შარშან მხოლოდ 17 მილიონი ლარი იყო შემოსული სიგარეტიდან).

ერთსაც დავამატებ. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კონტრაქტორი ორგანიზაციის „ბარენც ჯგუფის“ გათვლით, ლუდის ბიზნესში 80-90 პროცენტი შემოსავალი იმალება. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ერთადერთი გამოსავალია საქონლის მარკირება, რომლის შეუსრულებლობა პირდაპირ კავშირშია ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობასთან. თუ კანონს, როგორც იმპერატიულ ნორმას, ყველა გადამხდელი დაემორჩილება, ქვეყნის ეკონომიკა გაცილებით მოკლე დროში მოსულიერდება.

აი, თურმე რატომ არის ჩვენი ბიუჯეტი ინფარქტის მდგომარეობაში, გავიფიქრე ჩემთვის, როცა პარლამენტის შენობიდან გამოვედი. ბოლოსდაბოლოს დადგა დრო, როცა გადასახადის გადახდას კანონის მთელი სიმკაცრით სთხოვენ. მაგრამ ყველას ამ პრინციპით უდგებიან? არა მგონია. დარწმუნებული ვარ, ყველას რომ თანაბრად მოჰკითხონ და „კრიშებს“ თავშეფარებულნი სამზეოზე გამოიყვანონ, ალბათ, გოგი თოფაძეზე მეტი ვალები სხვებს აღმოაჩნდებათ.

ასე რომ, მზად მაქვს მორიგი კითხვა მორიგი რესპონდენტისადმი – რამდენი მართებთ სხვებს?

ოთარ ხუციშვილი.

ეკლიანი გზით — წლის საუკეთესო ბიზნესმენობამდე

გუშინწინ, 12 ივლისს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა თბილისში – ქართველ მეწარმეთა ელიტამ, მასთან ერთად მაღალკომპეტენტური ავტორიტეტებისაგან შექმნილმა ჟიურიმ მრავალთვიანი პერიპეტიების, განსჯისა და კამათის შემდეგ „საქართველოს პირველ ბიზნესმენად“ კვლავ სახელმოხვეჭილი ფირმის „ყაზბეგი-კასტელის“ პრეზიდენტი გოგი თოფაძე გამოაცხადა.

საგულისხმო ის არის, რომ ეს საპატიო ტიტული მან მოიპოვა ჩინოვნიკთა მიერ ატეხილი იმ აჟიოტაჟის ფონზე, რომელიც წინ უსწრებდა ამ ფაქტს.

– მოდით, ამიერიდან ასე გავაკეთოთ, პირველობა იმას მივანიჭოთ, ვინც ყველაზე დიდ თანხას შესძენს საქართველოს ბიუჯეტს, აგრეთვე, ვინც მეტ ქველმოქმედებას გაუწევს ეროვნულ მწერლობას, კულტურას, მეცნიერებას, სპორტს, – ასე განაცხადა გამარჯვებულის პრიზის მიღების შემდეგ ფირმა „ყაზბეგი-კასტელის“ პრეზიდენტმა, ახალი პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერმა გოგი თოფაძემ.

როგორც ხედავთ, პირველ ბიზნესმენს იმედი აქვს, რომ მომავალშიც არავის დაუთმობს პირველობას.

* * *

ვიდრე ცნობილი პარტიული ლიდერები არ იშურებენ კრიტიკას ახალი პოლიტიკური მოძრაობისადმი, ამასობაში „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აქტიურად იკვლევს გზას ელექტორატისაკენ, რაც თვალნათლივ ჩანს კიდეც ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ახალი მოძრაობის რეგიონული თუ რაიონული ორგანიზაციების დამფუძნებელ კრებებზე, განსაკუთრებით კი, ცენტრალურ შტაბ-ბინაში, სადაც ყოველდღიურად ასობით ადამიანი მოდის „თოფაძის მოძრაობაში“ გაწევრიანების თხოვნით.

ამაზე უკვე ბევრს ლაპარაკობენ, ბევრს წერენ... ჩემი კოლეგები არ იშურებენ მყვირალა სათაურებს, რომელთა ქვეშ ბოლო არ უჩანს სენსაციურ განცხადებებს, მოსაზრებებს, ვარაუდებს... მოძრაობის ლიდერის გოგი თოფაძის მიმართ ამ ბოლო დროს განხორციელებულ მაკონტროლებელთა „დამსჯელი ოპერაციების“ შეფასებებს, რომელთა მიზანი სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ჩვენი საზოგადოებისათვის.

ქართული პოლიტიკური ავანსცენის აგრესიული დებიუტანტის – პოლიტიკური მოძრაობა – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ესოდენ მოულოდნელი და მზარდი პოპულარობა მოსახლეობაში რომ „პოლიტკონკურენტებში“ უკვე სერიოზულ შემფოთებას იწვევს, დღეს ამაზე არავინ დაობს.

თუმცა, ტელეეკრანზეც და პრესაშიც უკვე მომრავლდნენ „ბრალმდებლები“, რომლებიც თავისდაუნებურად კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს იმ განუკითხაობას, რომელიც ჩვენმა ჩინოვნიკურმა აპარატმა თავადვე დაამკვიდრა ჩვენს ეკონომიკასა თუ სოციალურ სფეროში. ერთი ფაქტი მახსენდება გოგი თოფაძის ამასწინანდელი სატელევიზიო პაექრობიდან საგადასახადო ინსპექციის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან. ალბათ, თქვენც გაიხსენებთ: თურმე ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში 57.000 ფირმა ყოფილა რეგისტრირებული, რომელთაგან რეალურად მხოლოდ ერთი პროცენტი იხდის საბიუჯეტო გადასახადს. „საგადასახდოელები“ თავადვე არ მალავენ, რომ ამ ერთ პროცენტში ისინი იგივე გოგი თოფაძესა და კიდევ რამდენიმე სხვა ცნობილ მეწარმეს მოიაზრებენ, მაგრამ დანარჩენ ნამდვილ არგადამხდელებზე რატომღაც კრინტსაც არ ძრავენ. რაკი თავად არ ამბობენ, მაშინ მე ვიტყვი:

ჯერ თავიდან, წესითა და კანონით დავიწყოთ... წესით საგადასახადო ინსპექცია სწორედ იქ უნდა „იჯდეს“, საიდანაც გადასახადი აქვს „ამოსაღები“ და არა იქ, ყოველწლიურად თითქმის 10 მილიონამდე გადასახადი რომ შედის ბიუჯეტში.

მაგრამ ვინ დაგიდევს წესსაც და პრეზიდენტის განკარგულებასაც, რომელიც სასტიკად უკრძალავს მაკონტროლებელ ორგანოებს გაუთავებელ პარპაშს ერთსა და იმავე ობიექტზე, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს წესი, თოფაძის საწარმოებზე არ ვრცელდება, რადგან აქ არავინ „უვსებს ჯიბეებს“ საგადასახადოს ინსპექტორებს.

ამ დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე გოგი თოფაძემ ინსპექციის სათანადო აქტები და სხვა დოკუმენტებიც გააცნო ჟურნალისტებს.

ჩვენც და ჩემმა კოლეგებმაც უკვე გამოაქვეყნეს ეს მასალები, რომლებიც ცხადად გვიდასტურებენ იმას, რომ საქართველოს საგადასახადო ინსპექციას განვლილი 7-8 თვის მანძილზე თურმე იქით ჰქონია თოფაძის ვალი...

მაშ რატომ ატყდა ეს აჟიოტაჟი? – ცხადია, იმისათვის, რომ საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღება ჩამოაცილონ იმ არგადამხდელებს, რომლებიც ინსპექციის „წაყრუებით“ გათამამებულ-წაქეზებულნი როგორც უნდათ, ისე „ბაირამობენ“.

– აი, რაზე უნდა გაგვეცენ პასუხი სახელმწიფო ინსპექციამ და მათაც, ვინც აკონტროლებს მის საქმიანობას... მაგრამ გაგვეცემენ?

პირიქით, „ინსპექტორები“ კიდევ უფრო გრძელვადიანი „იერიშებით“ ემუქრებიან თოფაძეს, რომელმაც დღეისათვის თითქმის 4 ათასამდე ადამიანს მისცა სამუშაო და ერთ-ერთ საუკეთესო პროდუქციას უშვებს მთელს ევროპაში. განა ეს პარადოქსი არ არის?

რატომ ხდება ეს? იმისათვის, რომ ჩვენმა საზოგადოებრიობამ თავადვე გასცეს პასუხი ამ კითხვას და შექმნილი სიტუაციიდან გამოიტანოს დასკვნა – სამაგალითოდ მოვიტან რამდენიმე ფრაგმენტს გოგი თოფაძის ინტერვიუდან, რომელიც ამ ორი-სამი კვირის წინათ გამოვაქვეყნეთ ჩვენს გაზეთში.

– „ჩვენი ჩინოვნიკობა, რომ დღეს საოცრად კორუმპირებულია, – აცხადებს გოგი თოფაძე, – ეს კარგად ვიცით და არც ვმალავთ... აი, სწორედ ეს ჩინოვნიკობა უნდა ჩამოვაცილოთ საქმესაც და პრეზიდენტსაც. მათ ადგილზე უნდა მოვიდნენ ნამდვილი პატრიოტი პროფესიონალები, რომლებსაც შევუქმნით სათანადო პირობებს“.

...„თუ ჩვენი მოვიწიეთ და ჩვენივე ვაწარმოეთ, მაშინ ამ გაწუწკებულ ხალხს ხომ პირიდან იმ ლუკმას გამოვაცლით, წლების მანძილზე სხვადასხვა გზებით რომ შემოაქვთ უცხოეთიდან. აბა, მითხარით, – უბრძოლველად ამას ვინ დაგანებებს? – ამბობს გოგი თოფაძე და მართალიც არის.

არც ანებებენ... უნდა ნახოთ, რა ხრიკებითა და ოინებით ცდილობს ჩვენი ჩინოვნიკობა ანგარიში გაუსწოროს მრეწველთა ახალი პოლიტიკური მოძრაობის ლიდერს. უკვე ჩაირთო დეზინფორმაციის ძველი, ნაცადი მანქანა... გავარვარდა ეკრანი, გადაყვითლდა პრესა თოფაძისა და მისი მოძრაობის „მაკომპრომენტირებელი“ მასალებით... ბოლო არ უჩანს დაშინებებს, მუქარებს. ერთი სიტყვით, აირია „მონასტერი“ ,ჩინოვნიკობა თავს იცავს, მაგრამ როდემდე?

ამას წინათ ჩვენი საბაჟო დეპარტამენტის ერთი დოკუმენტი ჩამივარდა ხელში. აქ არის საბაჟოებზე შემოსული ტვირთების ჩამონათვალი, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთიდან შემოტანილი ლუდის მაჩვენებელი.

თუ ჩვენი მებაჟეების „არითმეტიკით“ ვიანგარიშებთ, დავინახავთ, რომ განვლილი 5 თვის მანძილზე საქართველოს საბაჟო გადმოუკვეთავს სულ რაღაც რვაასამდე ბოთლ ორლიტრიანი ტევადობის „ოჩაკოვსკოეს“... ეს არის და ეს.

ახლა, გადით და თქვენს ახლო-მახლო მდებარე ჯიხურებს გადაავლეთ თვალი... ამ რაოდენობის „ოჩაკოვსკოეს“, რომელსაც თურმე, აქვე, ჩვენთან ახლოს ვლადიკავკაზში „შინაური წესით“ ასხამენ, სულ რაღაც ორ-სამ ობიექტში დაითვლით. სინამდვილეში ქვეყანა გადაჭედილია ამ სუროგატით, რომლის საქართველოში შემოტანის ყოველდღიური მაჩვენებელი თურმე 300 ათას ბოთლს აჭარბებს.

იგი დემპინგურ ფასებში იყიდება... მიზანი, ყველასათვის ნათელია – ჩინოვნიკობა, რომელიც დგას ამ ე. წ. „ბიზნესის“ მიღმა, ცდილობს რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ჩაძიროს თოფაძის საწარმო, რომელმაც „ოჩაკოვსკოეს“ კი არა, ბევრ სახელგანთქმულ ლუდებს მოუგო ბრძოლა.

ადრე – საგადასახადოზე მოგახსენეთ, შემდეგ – საბაჟოზე... განა ყოველივე ის, რაც აღვნიშნე, არ არის ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ ასრულებს ჩვენი ჩინოვნიკობა პრეზიდენტის მითითებას – შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ „საქართველოს კეთილდღეობა, ბიზნესის კეთილდღეობაზე გადიოდეს?

ეს პრობლემა მარტო პრეზიდენტს არ აღელვებს... ამ პროცესს მხარს უჭერს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

ამ რამდენიმე დღის წინათ პოლიტიკური მოძრაობის – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – შტაბ-ბინაში სწორედ ამიტომ შეიკრიბნენ ჩვენი ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები, მწერლები: თამაზ ჭილაძე, დავით წერედიანი, ემზარ კვიტაიშვილი, სახელოვანი მსახიობები: ედიშერ მაღალაშვილი, გივი ბერიკაშვილი, თემურ გუგუშვილი, რეჟისორები: რეზო ესაძე, მერაბ კოკოჩაშვილი, გიზო გაბესკირია, სხვა სახელოვანი მოღვაწეები, მეცნიერები, პედაგოგები, ახალგაზრდობის წარმომადგენლები. იმ დღეს ბევრი რამ ითქვა მოძრაობის დღევანდელ და მომავალ ამოცანებზე, ამ მოძრაობაში ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალის აქტიური მონაწილეობის ფორმებზე, მაგრამ – ამაზე შემდგომ მოგითხრობთ.

დღეს კი ამ წერილს დავამთავრებ ერთი ფრაგმენტით გოგი თოფაძის გამოსვლიდან:

– „მიმაჩნია, რომ ჩემი, როგორც მეწარმისა და ბიზნესმენის ვალია, საკუთარ თავზე ავიღო პასუხისმგებლობა და ჩვენს მოძრაობაში გაერთიანებული ბიზნესმენებთან, მეწარმეებთან, ჩვენი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან, ერთად ხელი მოვკიდოთ ქვეყნის აღორძინების საქმეს. ჩვენ არა გვაქვს უფლება განზე გავდგეთ და საერთო-სახალხო-საქვეყნო სამსახურში არ დავხარჯოთ ჩვენი ძალა, ენერგია და უნარი. ასე რომ, ჩემი და ჩემი თანამებრძოლების უმთავრესი ორიენტირი დღეს ეროვნული ეკონომიკის, მისი მთავარი ხერხემლის – მრეწველობის აღორძინებაა, რაც, უპირატესად, ჩვენი ქვეყნის თითოეული ოჯახის კეთილდღეობის აღორძინებასაც ნიშნავს“.

გია ჭელიძე.

(პირველი გვერდიდან)

14 ივლისი საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული – ბასტილიის აღების დღეა

„მე ყოველთვის ვიქნები ქართული კულტურის ელჩი მსოფლიოში...“

ამბობს საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ქალბატონი მირეი მუსო

— ბუნებრივი პროცესი, რომელიც საუკუნეები გაჭიანურდა. როგორც იცით, ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი სულხან-საბა ორბელიანი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მიავლინეს ლუი XIV კარზე, რათა საფრანგეთს, ევროპას თავისი ფრთის ქვეშ შეეფარებინათ საქართველო...

— არა მგონია, რომ ეს დიდად გაჭიანურებული პროცესი იყო, რადგან საერთოდ, როგორც წესი, ეს ხანგრძლივი პროცესია ყველა ქვეყნისათვის. რაც შეეხება ისტორიას: ლუი XIV გარდაიცვალა რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც დიდი მწერალი სულხან-საბა ორბელიანი ჩავიდა საფრანგეთში და ტახტზე მისი ადგილი დაიჭირა 5 წლის ბიჭმა, ისე, რომ ბევრი რამ, რა თქმა უნდა, უარესობისაკენ შეიცვალა.

რაც შეეხება თვით შედეგებს საქართველოს ევროსაბჭოში შესვლისა, იგი ხელშესახები გახდება გარკვეული დროის შემდეგ, არა ერთბაშად. მე მესმის, რომ ეს ძნელია აუხსნა მოსახლეობას, რომელიც ათასი პრობლემითაა გატანჯული და დღესვე მოელის რაღაცის გაუმჯობესებას. ჯერ საჭიროა მრავალი სტრუქტურის წესრიგში მოყვანა, როგორც საკანონმდებლო თუ სამართალდამცავ, ასევე სხვა სფეროებში. ისე რომ, სანამ დადებით, ხელშესახებ შედეგებს მიიღებთ, კიდევ ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი. შეიძლება დროში ეს ყველაფერი ცოტა მართლაც გაიწელა, მაგრამ პროცესი უკვე დაჩქარდა. კერძოდ, 1 ივლისს საქართველო, ისე როგორც სამხრეთ კავკასიის კიდევ ორი ქვეყანა და უზბეკეთი, უკვე შევიდა ევროკავშირთან ხელმოწერილი განსაკუთრებული დოკუმენტით თანამშრომლობის სპექტრში. ეს, ცხადია, არ არის ევროპის გაერთიანებაში შესვლა, მაგრამ იმის ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ ვისწავლოთ ერთად ცხოვრება და მუშაობა, მოხდეს იმ ფუნქციების გაცნობა და შემდეგ საკუთარ თავზე აღება, რომლებიც აუცილებელია ქვეყნისათვის, თუ იგი ევროპის კავშირში შესვლას აპირებს. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება მარტივი, არც — ორი-სამი დღის ამბავი. მეორეს მხრივ, ჯერ არც ევროპას აქვს მაინცდამაინც კარგად მომზადებული ყველაფერი ახალი ქვეყნების მისაღებად. თავიდან ხომ ყველაფერი ექვს ქვეყანაში იყო გათვლილი. ახლა უკვე 15 ვართ და გარკვეულ სიძნელეებს ვაწყდებით. ამიტომ, საჭირო ხდება გარკვეული რეფორმების განხორციელება, რასაც დრო სჭირდება. ევროკავშირში ივლისამდე იყო გერმანიის თავმჯდომარეობის პერიოდი, 1 ივლისიდან დაიწყო საფრანგეთის თავმჯდომარეობის პერიოდი, რადგანაც საფრანგეთს მე წარმოვადგენ თქვენს ქვეყანაში, ამდენად ევროკავშირსაც, ჩვენი თავმჯდომარეობის პერიოდში, მე წარმოვადგენ საქართველოში. ამას დაემატება ფინეთის ევროკავშირში თავმჯდომარეობის პერიოდი. რადგანაც ფინეთი ჯერჯერობით არ არის დიპლომატიურად წარმოდგენილი საქართველოში და მათი თხოვნით ეს მისია საფრანგეთს აქვს თავისთავზე აღებული, ამრიგად მე დამეკისრება საპატიო მისია, ორჯერ, ანუ ორი ვადით ვიყო საქართველოში ევროგაერთიანების წარმომადგენელი — საფრანგეთისა და ფინეთის ევროპის კავშირში თავმჯდომარეობის პერიოდებში. ადრე, როდესაც ექვსნი ვიყავით ევროკავშირში, უფრო ხშირად გეწევდა პრეზიდენტობა, ახლა, როცა 15 ვართ, ეს უფრო იშვიათად ხდება. ამდენად, ჩემთვის ეს მოვალეობა გაცილებით მეტ სასიამოვნო და საპატიო ღირებულებას წარმოადგენს.

— ჩვენთვისაც ძალიან სასიამოვნოა ეს ცნობა თქვენი პიროვნებიდან გამომდინარე. ის ამბავი, რომ საფრანგეთი და პირადად თქვენ იქნებით ევროკავშირთან საქართველოს პარტნიორობის უპირველესი წარმომადგენელი, მიგვაჩნია ამ პარტნიორობის წარმატების საფუძვლად.

— შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ყოველთვის საქართველოს გვერდით ვიქნები. იქიდან გამომდინარე, რომ მე ვარ საფრანგეთის ელჩი საქართველოში, საქართველოს შესახებ ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ჩემგან მიდის ჩვენს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. მინდა ვთქვა, რომ საქართველოს დადებითად წარმოჩენა საფრანგეთში და ევროპაში ძნელი არ არის. მაგრამ ძალიან მოუთმენელი ვარ (იცინის) და მინდა საქართველო რაც შეიძლება მალე და მთლიანად ჩაეწეროს და ჩაერთოს საერთო ევროპულ სახლში და სტრუქტურებში.

— თქვენ იცით, რომ მსოფლიო არაერთგვაროვნად შეხვდა ნატოს ოპერაციებს იუგოსლავიაში. ქართველებს განსაკუთრებული და თავისებური შეხედულება გვაქვს ამ პროცესების მიმართ, იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენს ზურგზე გამოვცადეთ რა არის ეთნოწმენდა. ჩვენ გვაინტერესებს თქვენი პოზიცია ამ თვალსაზრისით.

— რა თქმა უნდა, ძალზე მტკივნეულია ის პროცესი, რაც იუგოსლავიაში ხდებოდა. საქმე გვაქვს ადამიანური გრძნობის ისეთ უსაშინლეს გამოვლინებასთან, როგორიც სიძულვილია. თანაც ეს სიძულვილი ხშირად უსაფუძვლო და გაუგებარია, იგი უფრო რაღაც შუასაუკუნეობრივ აზროვნებას ჰგავს. რა თქმა უნდა, ნატოს ქვეყნებს ხალისით არ დაუწყიათ ის, რაც მოხდა. ჩვენ ძალიან კარგად გვესმის სირთულეები და ნეგატიური მოვლენები, რაც ამ ოპერაციებს თან სდევდა, თუნდაც მშვიდობიანი სერბი მოსახლეობისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს დღევანდელი ამბავი არ იყო, რომ ეს პრობლემა წლების განმავლობაში არსებობდა და ჩვენ დიდი ხანი ვითმენდით ამას. ევროპა დადგა მძიმე არჩევანის წინაშე: ითმინონ თუ არა XXI საუკუნის ცივილიზებულმა ქვეყნებმა ევროპის შუაგულში ეთნიკური წმენდა ერთის მხრიდან, ან სეპარატიზმი, მეორეს მხრიდან. თანაც ეს არ იყო რაღაც ერთჯერადი აფეთქება, იგი უკვე მრავალი თვე გრძელდებოდა. საქართველოს მოსახლეობა ტელევიზიის საშუალებით კარგად იყო ინფორმირებული თუ რა დღეში იყო კოსოვოს მოსახლეობა. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგივე ინფორმაციას ვერ იღებდა სერბი მოსახლეობა, თორემ თვითონაც აღიარებდა, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება, რომ ასეთ მოვლენებს ევროპის შუაგულში ევროპის ქვეყნები ვერ მოითმენდნენ. ამასთან, ცხადია, კოსოვო არის და დარჩება იუგოსლავიის სახელმწიფოს შემადგენლობაში. უნდა ვისწავლოთ ერთად ცხოვრება, ერთმანეთის სულიერად და კულტურულად გამდიდრება და არა რაღაც ნაჭუჭში ჩაკეტვა. სეპარატიზმი არის უარის თქმა შენს მეზობელთან, შენგან განსხვავებულთან ერთად იცხოვრო, ელაპარაკო მას. ამას კი შედეგად მოსდევს ომი და სიძულვილი. თვით ის ფაქტი, რომ შენი მეზობელი სხვა ენაზე ლაპარაკობს და აქვს შენგან განსხვავებული კულტურა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი შენი მტერია. პირიქით უნდა იყოს, მასთან ცხოვრება უფრო საინტერესო უნდა იყოს.

— ამას გვინდა დავუკავშიროთ ჩვენი პრობლემაც, აფხაზეთის საკითხი. თქვენ, დარწმუნებული ვართ, ჩახედული ხართ ჩვენს ისტორიაში და იცით, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველი და აფხაზი მეგობრულად ცხოვრობდნენ ერთ სახელმწიფოში — ქართულ სახელმწიფოში. საბჭოთა ხელისუფლების დროს მათ საქართველოს რესპუბლიკაში ჰქონდათ ფართო პოლიტიკური და კულტურული ავტონომია, ჰქონდათ აფხაზურ ენაზე რადიო, ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები, სკოლები, უნივერსიტეტი, თეატრი. მიუხედავად ამისა, მოხდა ისე, რომ ძირძველი ქართველი მოსახლეობა გამოდევნეს სახლკარიდან, მოხდა ეთნიკური წმენდა. დღესაც, ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ხალხს საშუალება არა აქვს დაუბრუნდეს თავის სახლს, დამწვარსა და განადგურებულს. ჩვენც ყველანაირად ვცდილობთ მშვიდობიანად მოგვარდეს ეს პრობლემა, მაგრამ ამაოდ. თქვენი აზრით, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე, როდემდე შეიძლება გვეყოს მოთმინება მშვიდად ვუყუროთ ყოველივე ამას? ან როდემდე უნდა უყუროს ამას მშვიდად მსოფლიო გაერთიანებამ, ანუ იმან, ვინც თავის თავზე აიღო ვალდებულება, რომ ადამიანებმა მშვიდად იცხოვრონ თავიანთ მიწაზე?

— ის, რაც საქართველოში ხდება, რა თქმა უნდა, განსხვავებულია მსოფლიოს სხვა რეგიონებში მიმდინარე პროცესებისაგან, მაგრამ არის ბევრი მსგავსი მომენტიც. მოგეხსენებათ, რამდენი დაინტერესებული ქვეყანა თუ ორგანიზაცია არის ჩაბმული ამ საკითხთა მოგვარების პროცესში. ბოლო შეხვედრებმა და ძალისხმევამ თითქოს რაღაც გარკვეული წინსვლა მოგვცა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამშვიდებული ვიყოთ, თუ იქ დაბრუნებული ხალხის უსაფრთხოება არ იქნება გარანტირებული. კარგად უნდა გააცნობიეროს ყველამ და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის დღევანდელმა ხელისუფლებამ, რომ არ არსებობს არანაირი სხვა გადაწყვეტა საკითხისა, თუ არა ის, რომ აფხაზეთი უნდა დარჩეს საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში, რა თქმა უნდა, იმის ფონზე, რომ გადაჭრილი იყოს აფხაზთა კულტურული ავტონომიის თუ ლინგვისტური პრობლემები და ა.შ. დღეს პრობლემა ისიც არის, რომ იქ დარჩენილი მოსახლეობაც გარბის ქვეყნიდან, იმიტომ, რომ არ ჩანს არავითარი პერსპექტივა — ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა. ასე რომ, უნდა მოინახოს ცივილური საშუალებანი, რათა საბოლოოდ მოწესრიგდეს ეს საკითხი.

— თქვენ გარკვეული კონტაქტები გაქვთ დამყარებული ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციასთან. თქვენი ნახვა ხშირად შეიძლება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე, სპექტაკლზე, კონცერტზე. გვაინტერესებს თქვენი აზრი საქართველოს სულიერ კულტურაზე.

— ამ მხრივ საქართველო ჩემთვის საოცარი აღმოჩენა იყო. მე, რა თქმა უნდა, მანამდე გარკვეული ინფორმაცია მქონდა, მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამიტომ, მას შემდეგ, რაც აქ ჩამოვედი, უპირველეს ყოვლისა, ის გავაკეთე, რომ ჩვენს კულტურის ატაშესთან, ქალბატონ პასკალ ქიუსტთან ერთად შევძელით საფრანგეთში ერთი წლის განმავლობაში მოგვეწყო საქართველოს კულტურის დღეები. ღონისძიება დააფინანსა საფრანგეთის კულტურის და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა. ეს დღეები სულ ახლახან დამთავრდა. იმედი მაქვს, რომ ამ ღონისძიებებს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, გამოეხმაურებიან ქართული გაზეთები. თვითონ მე საშუალება მქონდა დასკვნით პერიოდში სამ ღონისძიებას დავსწრებოდი საფრანგეთში: ნანტში ფიროსმანის გამოფენის გახსნა (ნანტი მოგეხსენებათ, თბილისის დაძმობილებული ქალაქია), მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში ქართული ფილმის 15 დღე, სადაც წარმოდგენილი იყვნენ ქართული კინოს პრესტიჟული ფიგურები — ოთარ იოსელიანი, ელდარ შენგელაია, თემურ ბაბლუანი; დიდი გამოფენა საფრანგეთის ადამიანის მუზეუმში, რომელიც ერთი წელიწადი გაგრძელდება. ეს არის გამოფენა წინაისტორიული ხანის ადამიანის შესახებ, სადაც წარმოდგენილია დმანისის არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ნიმუშები. პირველი ევროპელი ადამიანი დმანისიდან, — ჰომო ერექტუს. ეს გამოფენა ძალზე საინტერესოა საერთოდ და იქ სამი ლამაზი ვიტრინა აქვს დათმობილი საქართველოს. გამოფენას ძალზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა ფრანგულ პრესაში. კერძოდ, ისეთმა პრესტიჟულმა გაზეთმა, როგორიც „ფიგაროა“, უზარმაზარი სტატია მიუძღვნა ამ გამოფენას. ასე რომ, წლეულს საქართველოს შესახებ ფრანგები ბევრს ნახულობდნენ და ბევრს ისმენდნენ, ეს იყო დამატებითი საშუალება, რათა ფრანგებს კიდევ ერთხელ აღმოეჩინათ და გაეცნოთ საქართველო, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მოცილებული იყო ევროპას. მაგრამ ეს ჯერ ყველაფერი არ არის. მე თვითონაც ჯერ კიდევ ვეცნობი ქართულ კულტურას და საქართველოს. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტად გავიცნო მეც და გავაცნო ევროპას, უპირველეს ყოვლისა, კი ფრანგ ხალხს, რაც საქართველოში საუკუნეების მანძილზე შექმნილა. დღეს, წარსულისაგან განსხვავებით, საქართველოს შეუძლია იმედი ჰქონდეს და დაეყრდნოს თავის ევროპელ მეგობრებს, კერძოდ, საფრანგეთს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, კარგად შევეთვისოთ და გავუგოთ თქვენს ქვეყანას და თქვენს ხალხს, ქართველებმაც ყველაფერი უნდა გააკეთოთ, რათა შეეთვისოთ გარე სამყაროს და იპოვოთ თქვენი ადგილი მსოფლიოში, ეს ახლა უფრო ძნელია, ვიდრე ადრე. საქართველოს ისტორია ევროპის ისტორიაცაა, ისე, რომ ნელნელა ევროპელებიც გაიცნობენ ამ ისტორიას და მოვა დრო, როდესაც საქართველოც ისევე ცნობილი გახდება მსოფლიოში, როგორც ევროპის სხვა ქვეყნები. მეორეს მხრივ, ქართველებს მოვუწოდებ, მეტად შეისწავლონ საფრანგეთი, საფრანგეთი არის არა მარტო მისი ისტორია, კლასიკა, დიუმა, ბალზაკი და ა.შ. რომელსაც ქართველები კარგად იცნობენ, არამედ თანამედროვე საფრანგეთი, რომელიც დღეს ეკონომიკურად მეოთხე ქვეყანას წარმოადგენს მსოფლიოში. მას აქვს არა მარტო უძველესი კულტურული ტრადიციები, არამედ ძალიან თანამედროვე ცოცხალი, ძლიერი ეკონომიკა და პოლიტიკა. ფრანგები ქართველებივით აღმერთებენ პოლიტიკას, ამაში ვგავართ, არა, ერთმანეთს? გარდა ამისა, იმედი მაქვს, საქართველოში კიდევ უფრო გავრცელდება ფრანგული ენა — მე ვიცი, რომ ბევრს უყვარს იგი თქვენში, ანუ ბევრი ფრანკოფილია და სასურველია უფრო მეტი ფრანკოფონიც, ანუ ფრანგულად მოლაპარაკეც იყოს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რამდენიმე უცხოური ენის ცოდნა აუცილებელია ყველასათვის. დღევანდელი ევროპის სიმდიდრე ხომ სწორედ ის არის, რომ იქ წარმოდგენილია მრავალი ენა და მრავალი კულტურა, რომელთა შენახვაც აუცილებელია.

ესაუბრნენ
ილია კევლიშვილი
და
თეიმურაზ რუხაძე.

თეირანში აკრძალეს დემონსტრაციები

ირანის დედაქალაქ თეირანში აკრძალულია ქუჩაში დემონსტრაციების მოწყობა. ამით ხელისუფლებას სურს ჩაახშოს სტუდენტთა გამოსვლები, რომლებიც რამდენიმე დღეა გრძელდება რეფორმების მოთხოვნით. გუშინ პოლიციელები მოხალისეებითურთ შეიჭრნენ თეირანის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, რათა საერთო საცხოვრებლებიდან გამოეყარათ სტუდენტები, რომლებმაც იქ ბარიკადები აღმართეს. შეტაკებები შუაღამემდე გრძელდებოდა. ხელისუფლებამ აღიარა, რომ არეულობას შეეწირა ორი ადამიანი. შეერთებულმა შტატებმა მოუწოდა ირანის მთავრობას, არ დაუშვას რეპრესიები დემონსტრანტთა მიმართ. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი იტყობინება, სტუდენტთა ზოგიერთ ლიდერს ეჭვი ეპარება საპროტესტო აქციების მიზანშეწონილობაში, რადგან ამან შეიძლება ძირი გამოუთხაროს პრეზიდენტ ხათამის რეფორმების პროგრამას.

ორთოდოქსული სამღვდელოების მომხრეები აპირებენ ოთხშაბათს კონტრდემონსტრაციის გამართვას თეირანის უნივერსიტეტის შენობის წინ.

ბრიტანეთის დეპუტატები განიხილავენ გეგმას ოლსტერის შესახებ

ბრიტანეთის მთავრობა შეეცდება მიაღწიოს, რომ პარლამენტმა მოიწონოს წინადადება ჩრდილოეთ ირლანდიის აღმასრულებელი ორგანოს შექმნის შესახებ, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყვნენ მთელი ძირითადი პოლიტიკური ძალები. დეპუტატები განიხილავენ კანონის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს სამშვიდობო პროცესიდან შინ ფეინის ირლანდიელ ნაციონალისტთა პარტიის გამოთიშვას, თუ მისი სამხედრო ფრთა არ განიარაღდება დადგენილ ვადაში.

მმართველი ლეიბორისტული პარტია, რომელსაც დიდი უმრავლესობა ჰყავს პარლამენტში, ალბათ, შეძლებს, რომ უზრუნველყოს ამ კანონპროექტის შეუსწორებლად მიღება. ამავე დროს, როგორც ბი-ბი-სის პოლიტიკურმა კორესპონდენტმა თქვა, ჩრდილოირლანდიელი ნაციონალისტები (რომლებიც ემხრობიან პროვინციის შენარჩუნებას გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში) ამ დოკუმენტს მისი ახლანდელი ფორმით არ მიიჩნევენ უშიშროების საკმაო გარანტიად.

„შვიდეული“ განიხილავს კოსოვოს საკითხს

„დიდი შვიდეულის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ბრიუსელში შეხვდებიან ერთმანეთს პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელზეც შეაფასებენ, თუ რა დახმარება ესაჭიროება კოსოვოს ომისშემდგომ აღდგენის საქმეში, მინისტრები განიხილავენ იმ საკითხსაც, შესაძლებელია თუ არა რეგიონის ეკონომიკის აღდგენა, სერბიის გვერდის ავლით. ამერიკელები და ბრიტანელები დაჟინებით მოითხოვენ, რომ სერბებმა დახმარება უნდა მიიღონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი მილოშევიჩი დატოვებს თავის პოსტს. მაგრამ მსოფლიო ბანკის ეკონომისტების აზრით, შეუძლებელია ამ რეგიონის აღორძინება, თუ მის ცენტრში, როგორც ისინი ამბობენ, „შავი ხვრელი“ დარჩება.

კვლავ გაიხსნა პრიშტინის საქალაქო საბჭო

პრიშტინში სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ საქალაქო საბჭოს წევრები — 80 ალბანელი და 60 სერბი. ისინი დაემორჩილებიან მერის ფუნქციების ორ შემსრულებელს — ალბანელსა და სერბს, მაგრამ ყველა გადაწყვეტილებას მიიღებს საერთაშორისო სამშვიდობო ძალის სარდლობა. გაეროს წარმომადგენლებმა თქვეს, რომ საბჭოს თანამშრომლებმა უნდა იმუშაონ ახალი წესის შექმნაზე, რომელიც არ გაიმეორებს კოსოვოს შედარებითი ავტონომიის პერიოდის ცხრა წლის წინანდელ სისტემას და იმ სისტემას, რომელიც მოქმედებდა ნატოს საბრძოლო ოპერაციების დაწყებამდე.

დრაშკოვიჩი მილოშევიჩის გადადგომის მომხრეა

სერბთა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ვუკ დრაშკოვიჩმა განაცხადა, რომ აპირებს შეუერთდეს ქუჩის დემონსტრაციებს, რომლებიც იმართება იუგოსლავიის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის გადადგომის მოთხოვნით. ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში, სერბიის განახლებისათვის მოძრაობის ლიდერმა — დრაშკოვიჩმა თქვა, რომ პირველი დემონსტრაცია, რომელშიც იგი იღებს მონაწილეობას, შაბათს გაიმართება ქალაქ კრაგუევაცში. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით სერბიის განახლებისათვის მოძრაობა ერთადერთი პარტიაა, რომელსაც არსებითად მხარს უჭერს მოსახლეობა, და ბი-ბი-სის კორესპონდენტის აზრით, საპროტესტო დემონსტრაციებში დრაშკოვიჩის მონაწილეობა ახალ იმპულსს მიანიჭებს მილოშევიჩის გადაყენებისათვის მოძრაობას.

ამერიკის სავაჭრო სანქციები ევროპის წინააღმდეგ

შეერთებული შტატები ადგენს ევროპული საქონლის სიას, რომლებზეც გავრცელდება საჯარიმო სანქციების მოქმედება ევროკავშირის იმ გადაწყვეტილების პასუხად, რომ მათ ქვეყნებში აიკრძალოს ამერიკული ძროხის ხორცის იმპორტი, რომელიც წარმოებულია ზრდის ჰორმონების გამოყენებით. ვაშინგტონის მიერ ჯერ კიდევ მარტში მომზადებული პროდუქტების წინასწარი სია შეიცავს, აგრეთვე, ისეთ საქონელს, როგორიც არის ბრიტანული შოკოლადი, დანიური ლორი და ფრანგული მდოგვი. ამ პროდუქტებს ემუქრება შესატანი ტარიფები, რომლებიც ერთიორად აღემატება მათ ფასს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც იცავს ვაჭრობის სამართლიან წესებს, გაუმართლებლად მიიჩნევს ამერიკული ხორცის იმპორტის აკრძალვას. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციამ მოიწონა 100 მილიონ დოლარზე მეტი საერთო მოცულობის ამერიკის სავაჭრო სანქციების შემოღება და, ალბათ, ივლისის დამლევისათვის ეს სანქციები კიდეც ამოქმედდება. მიუხედავად ამისა, ევროპის კავშირი აცხადებს, რომ არ გააუქმებს თერთმეტი წლით დადგენილ აკრძალვას, სანამ მეცნიერები არ დაამტკიცებენ, რომ ამერიკის მეცხოველეობაში გამოყენებული ზრდის ჰორმონები ზიანს არ აყენებენ ადამიანის ჯანმრთელობას.

ხრუშჩოვის ვაჟი შეერთებული შტატების მოქალაქეა

საბჭოთა კავშირის ყოფილი ხელმძღვანელის ნიკიტა ხრუშჩოვის ვაჟმა სერგი ხრუშჩოვმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო. ქალაქ პროვიდენსში გამართულ ცერემონიაზე მან ერთგულება შეჰფიცა ამერიკულ დროშას და დადო აღთქმა, რომ არ უღალატებს შეერთებულ შტატებს როგორც გარეშე, ისე შინაურ მტერთან ბრძოლაში. სერგი ხრუშჩოვი ამერიკაში რვა წლის წინათ ჩავიდა და ახლა საერთაშორისო ურთიერთობის დარგში ლექციებს კითხულობს ნიუ-იორკის ბრაუნის უნივერსიტეტში. სერგი ხრუშჩოვმა, რომლის მამაც 40 წლის წინათ შეერთებულ შტატებს დასამარებით ემუქრებოდა, თქვა, რომ ნიკიტა სერგის ძე გაიგებდა მის გადაწყვეტილებას და არ ჩაუთვლიდა ღალატად.

ბრიუსელში განიხილავენ ევროს დაქვეითებას

ევროპის კავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა ბრიუსელის შეხვედრაზე განიხილეს ევროს კურსის დაცემის საკითხი, რომელიც დოლართან შედარებით რეკორდულად დაბალ დონეზე დაეშვა. ფინეთის ფინანსთა მინისტრმა საული ნიინისტომ თქვა, რომ ევროს სისუსტე გამოხატავს ევროპის ეკონომიკის მდგომარეობას, მისმა ბრიტანელმა კოლეგამ გორდონ ბრაუნმა კი აღნიშნა, რომ საჭიროა ეკონომიკური რეფორმების ინტენსიფიკაცია და დაჩქარება.

შეერთებული შტატების სავაჭრო პალატის ვიზიტი კუბაში

ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლები დღეს ვიზიტად მიემგზავრებიან კუბაში, რათა შეისწავლონ, თუ როგორ შეიძლება სავაჭრო ურთიერთობის დამყარება ჰავანასთან. ეს პირველი ასეთი სახის ვიზიტია მას შემდეგ, რაც 37 წლის წინათ შეერთებულმა შტატებმა ეკონომიკური ემბარგო დაუწესა კუბას. როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯეიმს ფოლიმ თქვა, ეს ვიზიტი შეესაბამება კუბელი ხალხის დახმარებისათვის პრეზიდენტ კლინტონის ღონისძიებებს. როგორც მან აღნიშნა, ეს დახმარება ხელს არ შეუწყობს ფიდელ კასტროს მთავრობის განმტკიცებას. მარტში კლინტონის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ აპირებს სანქციების ნაწილობრივ გაუქმებას, რომლებიც შეეხება, კერძოდ, ვიზების შეზღუდვას და კუბისათვის წამლების მიყიდვის აკრძალვას.

შეერთებული შტატების მთავრობის სარჩელი ტოიოტას წინააღმდეგ

შეერთებული შტატების მთავრობამ სასამართლო სარჩელი აღძრა იაპონიის ტოიოტას ავტომობილსამშენებელი კომპანიის ამერიკის ფილიალის წინააღმდეგ და ბრალად სდებს მას, რომ მისი წარმოების ორ მილიონზე მეტ მანქანაში დაყენებული იყო ტოქსიკური გამონაბოლქვისადმი კონტროლის გაუმართავი სისტემები. იუსტიციის სამინისტრო მოითხოვს ტოიოტას 58 მილიარდი დოლარით დაჯარიმებას. შარშან ჰონდას კომპანიამ გადაიხადა რეკორდული თანხა — 167 მილიონი დოლარი, როცა მის ავტომობილებში ანალოგიური პრობლემა აღმოაჩინეს.



ჯავშანჟილეტი... აბრეშუმისაგან

ტაილანდში, სადაც ეკონომიკური კრიზისი და ნარკობიზნესი მძვინვარებს, დიდი ხანია ეძებენ გზებს, რათა საიმედოდ დაიცვან პოლიციელები და ამავე დროს არ გაკოტრდნენ. შესაძლოა, რაჯპმანგანის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა იპოვეს პრობლემის გადაწყვეტა. უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, 16-შრიანი ნატურალური აბრეშუმი აჩერებს 9-მილიმეტრიანი კალიბრის ტყვიას. აბრეშუმის ჯავშანჟილეტები ეფექტიანია, აგრეთვე, სხვა გავრცელებული, მაგალითად, 22 და 38 მმ კალიბრების იარაღის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, თურმე, აბრეშუმის ჭია „ამზადებს“ მასალას, რომელიც თავისი სიმტკიცით არ ჩამოუვარდება კევლარს, რომლისგანაც მზადდება ჯავშანჟილეტები, და ამავე დროს, გაცილებით უფრო იაფია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტაილანდი უხვად აწარმოებს ნატურალურ აბრეშუმს, ჯავშანჟილეტი ამ მასალისაგან დაუჯდებათ სულ 150 დოლარი — ჩვეულებრივზე სამჯერ უფრო იაფად.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

უძღვებიან
ლია გოგიჩაიშვილი, კახა ძორიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!..

ვილენ მარდალეიშვილი

ერთი ავტორის გვერდი

> ამქვეყნიური არსებობის ერთადერთი ნაყოფი სულის კეთილმიდრეკილება და საქვეყნო საქმის სიყვარულით შთაგონებული მოღვაწეობაა.
>
> მარკუს ავრელიუსი.

1861 წლის 14 ივლისს დაიბადა ვაჟა-ფშაველა

რეტრო — 30 წლის წინანდელი ინტერვიუ

„ჯარისკაცის მამაზე“ მუშაობის დროს კინალამ ტანკმა გამიტანა“

სერგო ზაქარიაძის დაბადების 90 წლისთავი

ადრე რამდენჯერმე შევხვდი, მაგრამ, ამჯერად, მსახიობის დაბადების სამოცი წლისთავზე, შედარებით დიდხანს უნდა გვესაუბრა. რუსთაველის თეატრი ქუთაისში საგასტროლოდ იმყოფებოდა და სერგო ზაქარიაძეც, როგორც თეატრის თავკაცი და მისი უპირველესი მსახიობი, ქუთაისელთა სტუმარი იყო.

თეატრში რომ შევედი, ბატონი სერგო ქალაქში დამხვდა გასული, თუმცა მალე მოვიდა. შორიდან დავინახე, თითქოს ოდნავ ბეჭებში იყო მოხრილი. არა, ეს შეიძლება უცებ მოჩვენებოდა კაცს. ბეჭებში მოხრილი კი არა, ოდნავ წინ იყო გადახრილი მთელი ტანით, საოცრად მყარად ადგამდა ნაბიჯებს და, გეგონებოდათ, რაღაცაზე ან ვიღაცაზე ჯიქურ მიდიოდა. ბოლო დროს სვანურ ქუდს არ იცილებდა. ასე მოსიარულე მინახავს იგი მრავალჯერ. ასე მოდიოდა ახლაც. გამიღიმა, ხელი ჩამომართვა.

— მოხვედი ხომ, დააგვიანე ცოტა, — მითხრა და სავარძელში ჩაეშვა, — ქუთაისშიც მომაგენით ჟურნალისტებმა? ხვალ-ზეგ დავამთავრებდით გასტროლებს და გვესაუბრა მერე თბილისში, დაწყნარებულად.

— „ხვალ-ზეგ“ დაგვიანებული იქნება, ბატონო სერგო... ჟურნალისტიკას ოპერატიულობას თუ ჩამოვაცლით, რაღა დარჩება...

— დავიწყოთ აბა, მეტი რა გზაა...

— ბატონო სერგო, ამ დღეებში, თქვენი დაბადების სამოცი წლისთავზე, რისი და ვისი გახსენება განიჭებთ სიამოვნებას?

— ქუთაისში ყოფნამ საშუალება მომცა ამ ზაფხულზე, მესამოცე ზაფხულზე ჩემი სამშობლო სიმონეთის სიახლოვე მეგრძნო. მისი ყოველი ხე და შარა ჩემს ბავშვობას მახსენებს ხოლმე, მისი ცისა და მზის ღიმილი კი — დედაჩემის ღიმილსა და სათნოებას.

— ახლა რომ ახალგაზრდა იყოთ, რომელ გზას აირჩევდით?

— მე ვერავინ გადამიყვანდა იმ გზიდან, რომელსაც ერთხელ დავადექი დიდის სურვილითა და სიყვარულით.

— ბატონო სერგო, გვიამბეთ ამ გზის, თუნდაც, მისი დასაწყისის შესახებ.

— ეს იყო 1916 წელს ბაქოში. ქართველ სცენისმოყვარეთა ჯგუფმა დადგა ე. ნინოშვილის „ტარიელ მკლავაძე“. პიესაში ბავშვები სჭირდებოდათ. ჩვენ მაშინ იქვე ვცხოვრობდით, და მე, 7 წლისა, სხვებთან ერთად გამიყვანეს სცენაზე. შემდეგ, უკვე მოზრდილმა, ზესტაფონში ვითამაშე რამდენიმე პიესაში. იქ ზაფხულობით ჩამოდიოდნენ: ვასო აბაშიძე, უშანგი ჩხეიძე, ვასო არაბიძე, ცაცა ამირეჯიბი და სხვები. ამ ადამიანებმა საბოლოოდ დამმუხტეს სცენის სიყვარულით.

მოგეხსენებათ, 1928 წელს თბილისში გაიხსნა თეატრი, რომელიც დღეს მარჯანიშვილის სახელს ატარებს. აქ, უკვე პროფესიონალმა მსახიობმა, ერთ-ერთი ეპიზოდი ვითამაშე ტოლერის პიესაში „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. პიესა რამდენიმე ადგილას კინოკადრებით მიდიოდა და პირველად სწორედ მაშინ მომიხდა აპარატის წინ დგომა. ეს იმიტომ აღვნიშნე, რომ ამ პიესაში კინომსახიობადაც მოვინათლე. რახან საუბარი კინოზე ჩამოვარდა, გეტყვით, რომ იმავე წელს კოტე მარჯანიშვილი იღებდა „კომუნარის ჩიბუხს“ და ამ ფილმში მეც მქონდა ეპიზოდური როლი.

ასე შეიძლება მოიხაზოს ჩემი შემოქმედების სათავე. შემდგომი გზა, ასე თუ ისე, ცნობილია, მხოლოდ ერთს დავუმატებ: თეატრის სცენაზე მითამაშია 100-ზე მეტი, ხოლო კინოში — 20-მდე როლი.

— ცნობილია თქვენი და რეჟისორების ურთიერთგაგება. ზოგიერთი დიდი მსახიობისაგან განსხვავებით, თქვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზედმეტს არ ჭირვეულობთ...

— ნამდვილი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ იქ იბადება, სადაც მსახიობისა და რეჟისორის ურთიერთგაგებაა. უამისოდ, არა მგონია, რაიმე გამოვიდეს. ან, თუ გამოვა — შემთხვევით.

— ბატონო სერგო, ისიც ცნობილია, თუ როგორ გულმოდგინებით მუშაობთ თითოეულ როლზე. გვიამბეთ თქვენი მუშაობის სტილზე?

— როლზე მუშაობის კანონი არ არსებობს. მას თვითონ იმუშავებს ინდივიდი. ერთია მხოლოდ: თუ შემოქმედს ესა თუ ის სახე ხიბლავს, აწუხებს, არა მგონია, სხვა რაიმეთი იყოს დაკავებული მისი გონება, რა თქმა უნდა, თუ ის ჭეშმარიტი შემოქმედია. მეც ასე ვმუშაობ...

— რომელია თქვენი საყვარელი ქართველი რეჟისორი თეატრში, კინოში?

— მე სცენაზე კოტე მარჯანიშვილმა ამადგმევინა ფეხი, ჩემი სათაყვანებელი რეჟისორიც ის არის. სიკო დოლიძის ბევრ ფილმში მიმიღია მონაწილეობა. ბოლო წლებში შემოქმედებითად ძალზე დავმეგობრდით მე და რეზო ჩხეიძე. ასე რომ, ვგონებ, გასაგებია...

— თქვენს მიერ შესრულებული როლებიდან რომელს უფრო გამოარჩევთ?

— ამ შეკითხვას ხშირად მაძლევენ, მაგრამ ყოველთვის ასე ვპასუხობ და თქვენც ასევე გეტყვით: მე არა მაქვს განსაკუთრებულად საყვარელი როლი, ყოველი სახისადმი ერთნაირად ვარ განწყობილი. ხომ არის როლები, რომლებიც არ გამოვიდა, მე ისინიც მიყვარს. უფრო მეტიც, იმ როლებმა შემაქმნევინეს უფრო ფასეული და დიდი. ჩემი როლები შვილებად მყავს წარმოდგენილი. დედას ხომ არ შეუძლია რომელიმე მათგანს დააკლოს სითბო და ზრუნვა?.. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე არ მითამაშია როლი, რომელზედაც ღამეები არ მეთენებინოს, და თუ რომელიმე მათგანი უდღეური აღმოჩნდა, ისინი მაინც ღვიძლია, რადგან მათ უდღეურობაში მე უფრო მიმიძღვის წვლილი. ამიტომ მიყვარს ყველა ერთნაირად.

— რა მიგაჩნიათ დღევანდელი ქართული კინემატოგრაფიის წარმატებად და რაში უნდა ვეძიოთ მისი ნაკლი?

— ჩვენი კინემატოგრაფიის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის ენერგიული ახალგაზრდობა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ტალღებივით მოდის. მე მხედველობაში აქ უფრო რეჟისურა და დრამატურგია მაქვს. მართალია, ქართველ დრამატურგთა წარმატებები ცვალებადი და ზიგზაგობრივია, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, რომ ხვალ მსოფლიოს გასაგონად იტყვიან თავიანთ სიტყვას.

— დაგვისახელეთ ერთი საუკეთესო ქართული კინოსურათი.

— „ელისო“.

— რომელია თქვენი საყვარელი ქართველი მწერალი?

— მე არ შემიძლია რომელიმე ერთის დასახელება. საქართველო განებივრებულია დიდი მწერლებითა და პოეტებით, ამიტომ რომელიმე მათგანის გამოყოფა მიძნელდება.

— საყვარელი ქართველი მხატვარი?

— ფიროსმანი — ულაპარაკოდ.

— სად უფრო გსიამოვნებთ მუშაობა — თეატრში თუ კინოში?

— თეატრში. კინოში მუშაობა ტანჯვაა.

— დაგვისახელეთ საზღვარგარეთელი კინორეჟისორი და კინომსახიობი, რომლებსაც სხვებზე მეტად აფასებთ.

— ბერგმანი და ჯულიეტა მაზინა.

— საინტერესოა, სხვა რა საქმიანობა გიტაცებთ?

— თუ დასვენების დროს საქმიანობას გულისხმობთ, 20 წელზე მეტია, ერთი წუთითაც არ დამისვენია. მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ავად გავხდი ამ ცოტა ხნის წინათ და მაშინ „ვისვენებდი“ საწოლზე. ისე კი, წუთმესვენების დროს, შვილიშვილებთან ვერთობი ხოლმე.

— ხომ არ გაიხსენებთ რაიმე კურიოზულ შემთხვევას თქვენი შემოქმედებიდან?

— კურიოზული შემთხვევა ის იყო, რომ რამდენჯერმე გადავრჩი სიკვდილს გადაღების დროს. ერთხელ პალიასტომის ტბაში ვიხრჩობოდი. „ჯარისკაცის მამაზე“ მუშაობის დროს კინალამ ტანკმა გამიტანა და ასე კიდევ რამდენჯერ...

— ბატონო სერგო, თქვენ ერთ დროს ფეხბურთელიც იყავით, თუმცა არა ისე ცნობილი, როგორც მსახიობი. რას იტყოდით ჩვენს ფეხბურთელებზე, ხართ თუ არა მათი გულშემატკივარი?

— ფეხბურთმა გარკვეული როლი ითამაშა ჩემს შემოქმედებაში. გამომიმუშავა ნებისყოფა, გამძლეობა, შემაჩვია შრომას. ზუსტად ეს თვისებები აკლიათ, ჩემის აზრით, ქართველ ფეხბურთელებს.

— როგორია თქვენი აზრი ქუთაისში ოპერის თეატრის გახსნის თაობაზე?

— შეიძლება ითქვას, ეს ამბავი დაგვიანებულიც იყო. ყველა პატრიოტი მამულიშვილი კმაყოფილი უნდა იყოს ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენით.

1969 წ.

მოგვიანებით მინაწერი:

— გეგმებზეც მესაუბრა, დიდ და საინტერესო ჩანაფიქრებზე. ზოგი შეასრულა კიდეც, ბევრი ვერ მოასწრო. რა ვიცოდი, რომ ეს ჩემი ბოლო შეხვედრა იქნებოდა დიდ მსახიობთან. მალე სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. იქ შევიტყვე მისი უეცარი სიკვდილი. იქ ერთხელ კიდევ ვიგრძენი, როგორ უყვარდათ ზაქარიაძე — ჯარისკაცის მამა — უბრალო ჯარისკაცებს. იმ დღეს თითქოს ყველა ჩუმად და უხალისოდ იყო — რუსი და უკრაინელი, უზბეკი და მოლდაველი... ბიჭები მე მისამძიმრებდნენ, როგორც ქართველს და ისეთი თვალებით მიყურებდნენ, თითქოს ამათაც მახლობელი ადამიანი დააკლდათ.

არ მიკვირდა, სერგო ზაქარიაძე ხომ ყველასი იყო.

წიგნიდან: „დიალოგები კინოზე“.

ამ სურათის შემხედვარეს, როგორ არ გაგახსენდეს ხალხური ლექსის სტრიქონები: „მაშინ ხომ კარგი ვიყავი, თმები რომ მხრებზე მეყარა“... ვინ იცის, რამდენი ხნის წინათ არის გადაღებული ეს ფოტო — ახალგაზრდები არიან სერგო ზაქარიაძე და გიორგი შავგულიძე.

უკვდავება

მოგონებები ვაჟაზე

გაზეთი „თემი“ 1913 წელს ქუთაისში გამართულ სალიტერატურო საღამოს შესახებ წერდა: „20 თებერვალს გამართულ სალიტერატურო საღამომ საერთოდ მრთალად ჩაიარა. მისი გამოცოცხლების მიზეზი გახდა მხოლოდ ვაჟა-ფშაველა. მისმა დარბაისლურმა, მკაფიო და ბუნებრივმა საკუთარ ლექსების კითხვამ დიდი აღტაცება და თანაგრძნობა გამოიწვია ჩვენი მგოსნისადმი. მის სცენაზე ნახვას მრავალნი ნატრობდნენ ქუთაისში. განსაკუთრებით აღტაცებით შეხვდა მას ახალგაზრდობა. საზოგადოებამ მრავალჯერ გამოიწვია სიმპატიური პოეტი სცენაზე ლექსების წასაკითხად“ (გაზ. „თემი“, 1913 წ. № 113).

ვაჟამ წაიკითხა საღამოსათვის სპეციალურად დაწერილი ლექსი „იმერეთს“.

იმერეთს

ერთხანად ჩემო მძრახაო,
ლიხს აქათური დედაო!
გხედავ, რომ
შამრიგებიხარ —
მით შენთან სალამს
ვბედავო.
მაერთებულად შენშია
ქართლსა და კახეთს
ვხედაო.
ფარ-ხმალო
საქართველოსავ,
სხვაცა გბაძავდეს, ნეტაო!..
ის მომწონს, თავის
ქვეყნისა
კარებს რო მაგრა
პკეტაო...
ვნება ნუ ასცდეს,
სავნებლად
ვინაც შენ გაგიმეტაო!..

დ. თომაშვილი ვაჟას ქუთაისში ყოფნის შესახებ, თავის მოგონებაში წერს: „თავისი გრძელი ჩოხით, განუყრელი სატევრით და „ჩამოტყაული“ თვალით თეატრში გამოვიდა. თეატრი სავსე იყო, ხალხს ვერ იტევდა. სალიტერატურო საღამო გაიმართა. პოეტებმა თავ-თავისი ლექსები წარმოსთქვეს (მარაქამი მეც ვერიე). ვაჟამ წაიკითხა „როს ვუკვირდები თავის თავს“, „გოგოთურ და აფშინა“ ზეპირად და სხვ. საღამო დასრულდა. ფარდა ჩამოეშვა. ხალხი, განსაკუთრებით ქანდარა, ვაჟას გამოსვლას მოითხოვდა. ფარდა ასწიეს. ვაჟა გამოვიდა სცენაზე. ქუდის მოხდით ხალხს დაემშვიდობა და გავიდა.

იმ ღამეს ვაჟას პატარა სუფრა გავუშალეთ, — სუფრა არა მთის კილოზე, ან ამწვანებულ მდელოზე, არამედ რესტორან „მედვედში“. რამდენადაც მახსოვს, სუფრის გარშემო ისხდნენ ია ეკალაძე, რაჟდენ გვეტაძე, თეოფილე ხუსკივაძე და სხვანი. თამადამ — თეოფილე ხუსკივაძემ — მშვენიერი სიტყვით მიმართა ვაჟას, სიტყვა ასე დაამთავრა: მადლობელი ვართ, ვაჟა, იმ დიდი ღვაწლისათვის, რომლითაც შენ ქართული ლიტერატურა გაამდიდრე და დაამშვენეო.

ვაჟამ მოისმინა, თითქო არ ეამა მისდამი სამართლიანად მიძღვნილი სიტყვა და უპასუხა: მაპატიეთ, იმერლებმა ცოტა გადაჭარბება იცით: — კაცს სწყუროდეს, წყურვილი მოიკლას, ამისათვის რა მადლობის ღირსიაო? მეც არც მეტი, არც ნაკლები: მწყურია და წყურვილს ვიკლავ, მადლობა რად მეკუთვნის? მემღერება და ვმღერიო!.. იმ დღეს პოეტი იქვე რესტორანში დაებინავეთ“.

(დ. თომაშვილის მოგონებიდან, გაზ. „სტალინელი“, 1935 წ. № 248).

* * *

ძალიან ღარიბად უხდებოდა ცხოვრება ვაჟას. აი რა უთქვამს მას ამის შესახებ. ა. მიქაბერიძისათვის: „ქართული ლიტერატურა აბა როგორ უნდა განვითარდეს, როცა მწერლებს ლუკმა-პურის ძებნაში სული ამოსდით! ჩემი დღენია ვწერ და, რამდენადაც ვიცი, ქართულ საზოგადოებას მოსწონს ეს ჩემი ნაწერები, მაგრამ რა გამოვიდა, სული კბილით მიჭირავს. ჩემ ნივთიერ გაჭირვებას და შევიწროებას ბოლო არ უჩანს, ნავთი და მარილი რაა, ოჯახში თავისუფლად და გაბედვით ვერ შემომიტანია, მზის ჩასვლისას ქათამსავით თვალებს ვხუჭავ და ლოგინს თავს ვაფარებ. ცეცხლი არაა, ლობიოსათვის მარილის შოვნაც გაძნელებოდეს! ასეთ პირობებში ვის სცალია ლიტერატურის განვითარებაზედ იფიქროს. ზოგჯერ დიდი სურვილი მაქვს ჩავიმუხლო და რაიმე დავწერო, მასალა ბლომად მომეპოვება, მაგრამ განა შემიძლია გულდამშვიდებით ვწერო, როცა თვალწინ სახრჩობელასავით მეხატება ჩემი ნივთიერად უმწეო მდგომარეობა, ჩემი ცოლშვილის ლუკმა-პურის მოსაპოვებლად ყოველდღიური ტანჯვა და ვაება. განა ვაჟა ასეთ რამეებზედ უნდა ფიქრობდეს, ასეთ წვრილმან საქმეებში უნდა აბანდებდეს თავის თავისუფალ დროსა და მოცალეობას!“

სოლ. ყუბანეიშვილის წიგნიდან: „ვაჟა-ფშაველა“.

სამშობლო

სიკვდილი უდაბნოში

თენგიზ ბერიძის (მამა თეიმურაზის) ნათელ ხსოვნას

არა, ამჯერად ველარაფერი დააკავებდა... ორჯერ გადაათქმევინეს, ორჯერ მოაბრუნეს გზიდან, აზრი ვერ შეაცვლევინეს — სამშობლო ეძახდა, მისი მთაბარის ხილვა სიცოცხლეს ერჩივნა, დღითიდღე გაუსაძლისი ხდებოდა ყოფა უთბილისოდ, უვერისუბნოდ, უნათესავოდ და უმეგობროდ.

აი, თურმე რა ყოფილა მონატრება... ამჯერად, ველარაფერი დააკავებდა.

* * *

ცხოვრობდა თბილისში ერთი გულქართლი კაცი, ღვთის მოშიში და მორწმუნე, ბიბლია უყვარდა, საეკლესიო ლიტერატურას ეწაფებოდა. ფიზკულტურის ინსტიტუტი რომ დაამთავრა, კინოსტუდიაში კასკადიორად დაიწყო მუშაობა, ხანდახან ეპიზოდურ როლებშიც იღებდნენ ხოლმე... სულიერებამ მაინც ეკლესიისკენ გაუწია, მღვდლად ეკურთხა (მამა თეიმურაზი გახდა), დეკანოზობა მიანიჭეს და ნორიოს ღვთისმშობლის ეკლესიაში მოღვაწეობდა. მალე ქვეყანა აირია, ძმამ ძმაზე გაიწია, ირგვლივ უზნეობამ დაისადგურა... ვერა და ვერ შეეგუა ამ სიტუაციას, დიდხანს იფიქრა, დიდხანს იყოყმანა... არა, როგორმე უნდა გასცლოდა ამ უწმინდურობას, უნდა დაეთრგუნა თავი და დროებით მაინც სადმე წასულიყო... დაითანხმა ოჯახი და, ერთ მშვენიერ დღეს „წმინდა მიწაზე“ — ნაცნობ ებრაელს მიადგა ცოლ-შვილით.

ცხოვრობდა ვითომ, უფრო მშვიდად, უფრო წყნარად, მაგრამ სულ სხვა გარემოში, უცხო მიწაზე. მალე ეს სიმშვიდეც დაირღვა — საშინელი ნოსტალგია მოეძალა და დღედაღამ სამშობლოში წამოსვლაზე ფიქრობდა. სცადა კიდეც, რამდენჯერმე წამოსვლა, მაგრამ — ამაოდ. აბა, უფულოდ როგორ წამოვიდოდა... აწყნარებდა ცოლ-შვილი, ემუდარებოდა, აკავებდა, პირდებოდა — შევაგროვებთ, რაღაცნაირად, სამგზავრო ფულს და გაგიშვებთ საქართველოშიო...

ველარ მოითმინა, ველარ გაძლო და, ერთ დღესაც, ცოლ-შვილი რომ ქალაქში დაიგულა, აბგაში პური და წყლით სავსე მომცრო ჭურჭელი ჩაიდო, პირჯვარი გადაიწერა და ფეხით დაადგა გზას შინისაკენ.

ისრაელიდან თბილისამდე — ფეხით... თითქოს წარმოუდგენელია კაციშვილისათვის.

ასე სცოდნია სამშობლოს მონატრებას...

* * *

სად არ ეძებეს, ვის არ მიაკითხეს... ვერსად გაიგეს მისი ასავალ-დასავალი.

ორი თვის შემდეგ მისი ცხედარი უდაბნოში იპოვეს შემთხვევით. წაჭრილი საჩვენებელი თითით იცნეს. გულაღმა ესვენა, მარჯვენა ხელის მტევანს ჯვარი ჩაებღუჯა, ჯვარი — მისი სიწმინდის, ფიქრისა და ოცნების ნიშანი.

სიცოცხლის ჟინი

ვინც იაკობაშვილს დაუჯერა, არავინ წააგო

საინტერესო პიროვნებაა ალექსი იაკობაშვილი — „ქუთაისელი ებრაელი“, საქართველოსა და ქართველების სიყვარულში ჩამწვარი კაცი. ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული — იგი, კარგა ხანს, თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი იყო და დიდადაც ამაყობდა, რომ სტუდენტობის დროს მალხაზის პარტია იმღერა ოპერა „დაისში“, რომელიც 1953 წელს თეიმურაზ კობახიძემ და იური კაკულიამ ქუთაისში დადგეს.

მოგვიანებით, ზურაბ ანჯაფარიძე, რომელიც მიწვეული იყო პრემიერაზე, აღნიშნავს: „მალხაზის პარტია ვოკალური თვალსაზრისით საკმაოდ რთული დასაძლევია. გულწრფელად გეტყვით: ეს სირთულე გადალახა ალექსი იაკობაშვილმა და ღირსეულად წარსდგა ქუთათურთა წინაშე.“

მაგრამ, დახეთ უბედურებას: ალექსი იაკობაშვილი ჯანმრთელობის გაუარესების გამო იძულებულია შეეშვას სიმღერას და საყვარელი საოპერო თეატრის სცენას.

— ყველაფერმა ერთად შემომიტია, — იგონებს იგი, — ეს — იშემიაო, ეს — კენჭი თირკმელშიო, აბა, ტუბდისპანსერიო, ონკოლოგიურიო, კარდიოლოგიურიო (დღესაც ვარ ამ დაწესებულებებში აღრიცხვაზე). ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს, წაიყვანეთ სახლში, დიდხანს ვეღარ გაატანსო...

და აი, ერთ დღეს, მეზობელი შემოვიდა სანახავად, თან ჟურნალი მომიტანა, რომელშიც დაბეჭდილი იყო წერილი იოგას ვარჯიშების დიდ სიკეთეზე. ვიფიქრე, ეს ყოველივე მე რატომ ვერ უნდა გავაკეთო-მეთქი და მტკიცედ გადავწყვიტე ინდური ფილოსოფიური მოძღვრების — იოგათერაპიის შესწავლა.

მოთმინება, ნებისყოფა, ვარჯიშები...ვარჯიშები... ხარკოველი პროფესორის ალბერტ დრაგუნსკის გამოცდილების ათვისება და ერთ წელიწადში უკვე შესანიშნავად ვგრძნობდი თავს.

ცოდნის გასაღრმავებლად იოგას სამშობლოში ინდოეთში ვიმოგზაურე, მოვიარე დელის, ბომბეის, კალკუტის, ლაკპაუს, ვარანასის სკოლები და ინსტიტუტები, ბევრი რჩევა-დარიგება მივიღე გამოცდილი, ხანდაზმული იოგებისაგან და თბილისში პროფესორის დიპლომით დავბრუნდი...

— მახსოვს, თავის დროზე, გაზეთ „ლელოში“ მთელი სერია დაიბეჭდა თქვენი წერილებისა და რეკომენდაციებისა რუბრიკით — „იოგას გაკვეთილები“...

— ძალიან დააინტერესა მკითხველი. იოგა, უწამლოდ მკურნალობა იმხანად მაინც „ახალი ხილი“ იყო და... უამრავი წერილი მივიღე...

— რას ურჩევდით იოგას მესწავლის მსურველთ?

— ასე ძნელია... აქ მთელი სისტემაა და ორი სიტყვით ვერც გადმოსცემ... ალბათ, უნდა ნახონ და წაიკითხონ ჩემი წიგნები (მერვე — ახლახან გამოვიდა) იოგას შესახებ, უბრალო შეკითხვაზე პასუხს კი არავის დავზარდები და შეუძლიათ დამირეკონ: 23-24-25.

* * *

ახლა აქ ძნელია ჩამოთვალო, რამდენ ვინმეს გაუკეთა ჯანმრთელობა ალექსი იაკობაშვილმა. ჩვენი ინტელიგენცია დიდად აფასებს მის კაცობასა და გულისხმიერებას.

„ბატონი ალექსი დიდი რუდუნებით იღვწის ჰათჰა-იოგას გასავრცელებლად მთელ საქართველოში. იგი ამ საქმის ღრმად დაფიქრებული მეცნიერი და მკვლევარია. ის ჯგუფები, რომლებიც ბატონმა ალექსიმ შექმნა კუს ტბის ტერიტორიაზე, ერთ-ერთი საფუძველია ქართველი ერის გაჯანსაღებისა და ფეხზე დადგომისა... ის ფაქტი, რომ მას ინდოეთში საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს, ძალიან ბევრის მთქმელია“.

კოტე მახარაძე.

„რამდენიმე წლის წინათ მძიმედ გავხდი ავად — ფილტვების ანთება ზედიზედ ორჯერ გადავიტანე. ძალიან დავსუსტდი, სიარული თითქმის არ შემეძლო, სუნთქვა მიჭირდა. ამ დროს მხსნელად მომევლინა ბატონი ალექსი. მან შთამაგონა, რომ იოგას ვარჯიშები მომიხდებოდა, მართლაც, ერთად ევარჯიშობდით ტყეში — ჰაერზე... უკვე რამდენიმე დღეში შვება ვიგრძენი. მე განმაცვიფრა მისმა პროფესიონალიზმმა, სიკეთის ქმნის დიდმა უნარმა. და თუ დღეს თავს კარგად ვგრძნობ, ეს ბატონი ალექსის მადლია“.

ანზორ ერქომაიშვილი.

და ასე რამდენმა ცნობილმა პიროვნებამ შეიძლება გვითხრას გულთბილი სიტყვები ალექსი იაკობაშვილზე...

მე მახსოვს, რა ამაგი დასდო მან 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შედეგად მოწამლულებს, როგორ გამართა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო საღამო და მთელი შემოსავალი საქველმოქმედო ფონდში ჩარიცხა.

— მაინც, რა დაავადებებს შველის იოგა-თერაპია, ბატონო ალექსი?

— როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, არსებობს ოცდაათიათასზე მეტი სახის დაავადება, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, ამიტომ გეტყვით, რომელს ვერ შველის იოგა: ეს არის თანდაყოლილი ხინჯი (ვთქვათ: მანკი) და, ავადმყოფობა, რაც ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს:

— ამჟამად თუ ვარჯიშობთ?

— როგორ, კაცო. გუშინ, მაგალითად, ავედი კუს ტბის მესამე წყაროზე (ყველაზე მაღლა), საათნახევარი კარგად ვივარჯიშე და ძუნძულით დავეშვი თავქვე... ასეა ყოველდღე...

* * *

ჰგავს ახლა ეს კაცი სამოცდაათი წლისას? ნამდვილად არ ეტყობა. მით უმეტეს არ ეტყობა, თუ იგი, ერთ დროს, მძიმე ავადმყოფი გახლდათ.

ასე იცის ნებისყოფამ და რწმენამ! დამშვიდობებისას თავის ახლადგამოცემულ წიგნს მჩუქნის ალექსი იაკობაშვილი, თან ღიმილით მეუბნება, ნახე, წაიკითხე, არ გაწყენს იოგას ვარჯიშებიო.

სხვა „წვრილ-წვრილ“ ტიტულებთან ერთად მის შესახებ გარეკანზე ამასაც ვკითხულობ: „ბომბეის იოგა-თერაპიის აკადემიის საპატიო დოქტორი, პროფესორი“, „პოლონეთის ქალაქ ძელეზნოვა-ვოლეს საპატიო მოქალაქე“, „მისი ბიოგრაფია შეტანილია ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიულ ცნობარში, რომელსაც ეწოდება მსოფლიოს, ანუ საერთაშორისო დამსახურებულ ლიდერთა ცნობარი“.

მამ!..

ასეთი წარწერაცაა წიგნის გარეკანზე: „უძველესი ქართველი და ებრაელი ხალხების ოცდაექვსსაუკუნოვან უნიკალურ მეგობრობას“.

კარგია!..

სპორტი

ჩოგბურთი

ამიერიდან — ტრადიციული

ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ დამთავრდა პირველი საჩოგბურთო მემორიალი დიდი მწერლის ხსოვნის აღსანიშნავად. შეჯიბრებაში თბილისის, ბათუმისა და თელავის 40 ჩოგბურთელი მონაწილეობდა. ერთეულთა თანრიგის ყველა ხარისხის მედლები დედაქალაქელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი ნაჭყებია, ანა მურღულია (ორივე – საჩოგბურთო კლუბი „მზიური“), სანდრო მურვანიძე, ლევან ბაზღაძე (ორივე – „დინამო“) და ნინო ლაგვილავა (ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია).

„ყველაზე ნორჩი მონაწილის“ პრიზი 9 წლის სალომე ჯაიანს (საჩოგბურთო კლუბი „მზიური“) გადაეცა. გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვეს მწერლის ქალიშვილმა ქეთევან დუმბაძემ, მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა და ახალგაზრდული ქრისტიანული ასოციაციის თავმჯდომარემ გელა ჩიხრაძემ.

გადაწყდა, ნ. დუმბაძის საჩოგბურთო მემორიალი ამიერიდან ტრადიციული გახდება.

დარეჯან ბუკია.

ცხენოსნობა

იპოდრომმა უმასპინძლა

თბილისში, კაპიტონ ნაჭყებიას სახელობის იპოდრომზე, დამთავრდა საქართველოს ჭაბუკ (1980 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი) და ახალგაზრდა (1978-1979 წლებში დაბადებულნი) ცხენოსანთა პირველობა. ორჭიდში (სამანეჟო სვლა და დაბრკოლებათა გადალახვა) უძლიერესი იყო შინაგანი ჯარების წარმომადგენელი გოჩა გიორგობიანი. გუნდურ წარმატებასაც ამ უწყების სპორტსმენებმა მიაღწიეს.

„გახსნის პრიზი“ მოიგო ლევან ფანცულაიამ (განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო სპორტული სკოლა), დაბრკოლებათა გადალახვისათვის დაწესებული პრიზი „ჭაბუკთა თასი“ წილად ხვდა გიორგი სამხარაძეს (თბილისის იპოდრომის „ჟოკეი-კლუბი“).

საერთო გუნდურ ჩათვლაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ შინაგანი ჯარების წარმომადგენლები, რომლებმაც 193,5 ქულა მოაგროვეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა საცხენოსნო სპორტული სკოლისა (136,16 ქულა) და თბილისის იპოდრომის „ჟოკეი-კლუბის“ (80, 83 ქულა) ცხენოსნები.

გარი ამირხანოვი.

წყალჯომარდობა

იმედი ხვალის

კვირას „ლაგუნა-ვერეს“ საცურაო კომპლექსში სინქრონულად მოცურავეთა თბილისის პირველობა გაიმართა. სამ ასაკობრივ ჯგუფში საპრიზო ადგილებისთვის 26 გოგონა ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ისინი სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამით გამოდიოდნენ, მაგრამ გამარჯვებულები მხოლოდ სავალდებულო პროგრამით მოგროვილმა ქულებმა გამოავლინა. სამივე ასაკობრივ ჯგუფში კვარცხლბეკი ასე განაწილდა:

1982-1983 წლებში დაბადებულნი: 1. ნინო კოტოიანი, 2. ნინო გამზარდია, 3. ნინო როპიაკი.

1984-1986 წლებში დაბადებულნი: 1. ნათია ჯინჭარაძე, 2. ნუცა თევზაძე, 3. სალომე ჯინჭარაძე.

1987 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი: 1. ანა თევზაძე, 2. თინიკო ცირეკიძე, 3. ეკატერინე გალსტიანი.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი ცქიტიშვილმა. ასპარეზობის დასასრულს სინქრონულად მოცურავეებმა საჩვენებელი გამოსვლები გამართეს წყვილებსა და ჯგუფურ ვარჯიშში.

— ჩინებული გოგონები გვყავს, მონდომებულებიც არიან, მაგრამ რად გინდა, უსახსრობის გამო საერთაშორისო შეჯიბრებებზე ვერ მივდივართ. — მითხრა საქართველოს სინქრონულად მოცურავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ლუბა ჩხაიძემ.** — უწინ მომეცადინეთა მეტი რაოდენობა გვყავდა, მაგრამ უპერსპექტივობის გამო სპორტის სხვა სახეობაში გადავიდნენ. ვინც გვყავს, მის შესანარჩუნებლად ძალისხმევასა და ყურადღებას არ გვაკლებენ „ლაგუნა-ვერეს“ გენერალური დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოსთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სასპორტო სკოლის დირექტორი გივი ცქიტიშვილი და თავად სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა, რომელიც ყველა ჩვენს შეჯიბრებას ესწრება და გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრებით აჯილდოებს, რაც გოგონებისთვის ერთგვარი სტიმულიც არის.

ყოველდღიურად, გარდა კვირისა, ორ-ორ საათს ვმეცადინეობთ. თითო საათს საერთო ფიზიკურ მომზადებას, ქორეოგრაფიას და აკრობატიკას ვუთმობთ. ვიმეორებ, გოგონები მონდომებით ვარჯიშობენ, მაგრამ, საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის პერსპექტივა თუ არ გაჩნდა, ვინც ახლა გვყავს, ისინიც შეიძლება დავკარგოთ, თუმცა, ხვალინდელი დღე მაინც გვეიმედება.

ვლადიმერ კანკავა: სინქრონული ცურვა სპორტის ულამაზესი სახეობაა. მის განვითარებას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი, მით უმეტეს, რომ ახლო წარსულში ჩინებული ტრადიციები გვქონდა. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ აუზში ხომ ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქრისტინა ფალასანიდი დაოსტატდა. საერთოდაც, საქართველოში საწყლოსნო სახეობებს მეტი ყურადღება სჭირდება — შავი ზღვის, ამდენი ტბისა თუ მდინარის მქონე ქვეყნისთვის წყალჯომარდობა სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს.

ვაჟა დანელია.

ლუბა ჩხაიძე.

სურათებზე: „ლაგუნა-ვერეში“ გამართული თბილისის პირველობის ამსახველი ფრაგმენტები.

ავტორის ფოტო.

კრივი

თეირანს მიემგზავრებიან

სექტემბრის პირველ დეკადაში ამერიკის შეერთებული შტატები მოკრივეთა 1999 წლის მსოფლიოს პირად-გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. იქ მედლების პარალელურად სიდნეის 2000 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გათამაშდება. მანამდე კი 16-23 ივლისს ირანის კრივის ფედერაცია თეირანში აწყობს „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს, რომელიც აიათოლა ჰომეინის დაბადებიდან 100 წლისთავს ეძღვნება. შეჯიბრებაში მასპინძლებმა იტალიის, საფრანგეთის, საქართველოს, სირიის, პაკისტანის, ტაილანდის, აზერბაიჯანის, სომხეთის, დაღესტნის, ყაზახეთისა და სხვა ქვეყნების ტყავის ხელთათმანის უძლიერესი ოსტატები მიიწვიეს. ტურნირში მონაწილეობა ჩვენი ნაკრებისათვის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იქნება. როგორც საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა სერგო ბერძენიშვილმა გვითხრა, თეირანის რინგზე ჩვენი ქვეყნის ნაკრების სპორტულ ღირსებას დაიცავენ თბილისელი დავით ადამაშვილი (51 კგ), ფოთელები – დავით ხურცილავა (54 კგ), დავით მაკარიძე (60 კგ) პაატა გვასალია (63,5 კგ), ქუთაისელი ავთანდილ კაშია (57 კგ), თბილისელი რევაზ ბოჭორიშვილი (67 კგ), ბათუმელი გოჩა აბაშიძე (67 კგ), ზუგდიდელი ლევან ჯანჯღავა (71 კგ), ზესტაფონელი მანუჩარ მოდებაძე (75 კგ), ფოთელი კახაბერ ბებურია (81 კგ) და თბილისელი მძიმეწონოსანი ლევან მექვაბიშვილი. ნაკრების მთავარი მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლევან ანთია.

შალვა ჩიხლაძე.

მემორიალი

35-ე სკოლა—პირველი ლაურეატი

შესანიშნავ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი: საფეხბურთო კლუბ „ჯეორჯია-ავაზას“ სტადიონი ორ კვირას მასპინძლობდა ტყავის ბურთის დიდოსტატის, შარმან გარდაცვლილი **ალიოშა კოტრიკაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილ 1984 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველ ტურნირს. მემორიალის დებულებით რვა გუნდმა ჯერ წრიული სისტემით ითამაშა, შემდეგ კი გარდამავალი თასის და საპრიზო ადგილების მფლობელები დასკვნით შეხვედრებში გაირკვა.

პირველ ეტაპზე ჩინებულად იასპარეზეს სახელოვანი 35-ე საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელებმა (სკოლის დირექტორი ანდრო თურქია, უფროსი მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე). ექვსი გამარჯვება, ერთი ფრე, ბურთების შეფარდებით — 30:7, 19 ქულა და პირველი ადგილი — ასეთია მათი მონაგარი. 14 ქულით მეორე ადგილი და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „ჯეორჯია-ავაზას“ ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ქანი ლეჟავა).

მესამე და მეოთხე ადგილებზე, შესაბამისად, 12 და 11 ქულით „დინამო-1“ და „ფიორენტინა-1“ გავიდნენ. მესამე ადგილისთვის მათი ორთაბრძოლა დინამოელთა ამჯარა უპირატესობით წარიმართა და 6:2 მოუგეს მეტოქეს.

ოქროს მედლების ბედი 35-ე სკოლის გუნდის სასარგებლოდ კოტე დარსანიას და კობა გორდელაძის ზუსტმა დარტყმებმა გადაწყვიტა – 2:0. გამარჯვებულებს ალიოშა კოტრიკაძის თასი მისმა სიძემ, თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მეკარემ დავით გოგიამ გადასცა. სპეციალური პრიზებით აღინიშნა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელთა ოსტატობა. ჯილდოები დაიმსახურეს პაატა მორჩილაძემ, თენგიზ ცხადაიამ, გოჩა წილოსანმა, კობა გორდელაძემ, როინ მჟავანაძემ, გიორგი ჩიქოვანმა (ყველა – 35-ე სკოლა), გიორგი გლოველმა, ლევან ნადირაძემ (ორივე – „ჯეორჯია-ავაზა“) და გიორგი ნერსესოვმა („ფიორენტინა-1“). მემორიალის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს გიორგი ბუშელეიშვილი („ჯეორჯია-ავაზა“), საუკეთესო მწვრთნელებად კი – გამარჯვებულთა და ბრინჯაოს პრიზიორთა დამრიგებლები ვახტანგ ბაქანიძე და დემნა აბაიშვილი.

მადლიერების სიტყვებით გვსურს მოვიხსენიოთ ტურნირის სპონსორი – სააქციო საზოგადოება „საქნავთობის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მერაბ სამადაშვილი. აქვე ვითვალისწინებთ პირველი ლაურეატის თავკაცის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებლის, აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელის ვახტანგ ბაქანიძის თხოვნას და ბიზნესმენებს მოვმართავთ: დახმარების ხელი გაუწოდეთ ნიჭიერ ჭაბუკებს! დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ – თქვენი მეცენატობა სასურველ შედეგს აუცილებლად მოგვიტანს XXI საუკუნეში. ბატონ ვახტანგთან დაკავშირება შეგიძლიათ ტელეფონით: 25-29-19.

გია პლატონიშვილი.

სურათზე: ალიოშა კოტრიკაძის პირველი მემორიალის გამარჯვებული 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

ფეხბურთი

ბრძოლაში გრანდები ებმებიან

UEFA
INTERTOTO
CUP

ინტერტოტოს თასის გათამაშების მესამე ეტაპიდან ბრძოლაში ევროპის ელიტარული საკლუბო გუნდებიც ჩაებმებიან. მათ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რომ განვლილ სეზონში ხელი მოეცარათ და ნაკლებპერსპექტიულ ევროტურნირში მოუწევთ ასპარეზობა. სამაგალითოდ ტურინის „იუვენტუსის“ დასახელებაც კმარა.

რაც შეეხება მეორე წრეს, ჩვენ განსაკუთრებით ფოთის „კოლხეთის“ მძლეველის მაკედონიის „ცემენტარნიცას“ გამოსვლა გვაინტერესებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბალკანელებმა ვერ დაძლიეს საშუალო დონის რუსული კლუბის – „როსტსელმაშის“ წინაღობა და გათამაშებას გამოეთიშნენ.

გაუწყებთ მეორე წრის საპასუხო რაუნდისა და მესამე ეტაპის კენჭისყრის სრულ შედეგებს:

II წრე. საპასუხო მატჩები

„ბობი“ – **„ბაზელი“** 2:4 (0:0),
„გომელი“ – **„ჰამარბიუ“** 2:2 (0:4),
„მეცი“ – „ჟილინა“ – 3:0 (1:2),
„პობედა“ – **„პერუჯა“** 0:0 (0:1),
„აკრანესი“ – **„ლოკერენი“** 1:3 (1:3),
„ქოჯაელისფორი“ – „ვენტსპილსი“ 2:0 (1:1),
„როსტსელმაში“ – „ცემენტარნიცა“ 2:1 (1:1),
„ფლორიანა“ – **„იოკერიტი“** 1:1 (1:2),
„სენტ-ტრუიდენი“ – „არარატი“ 3:1 (2:0),
„პოლონია“ – „კოპენჰაგენი“ – 1:1 (3:0),
„მონპელიე“ – „ყარაბაღი“ 6:0 (3:0),
„ნიური თაუნი“ – **„დუისბურგი“** 1:0 (0:2),
„ედინსტვო“ – **„ჩაპლაული“** 1:3 (1:2),
„ლუმტენაუ“ – „რუდარი“ 2:1 (2:1),
„ვამაში“ – „ქსამაქსი“ 1:0 (2:0),
„ვარტექსი“ – „ბრანი“ 3:0 (0:3) პენალტებით 5:4.

III წრე
17 და 24 ივლისი

„ესპანიოლი“ – „მონპელიე“,
„ჩაპლაული“ – „იუვენტუსი“,
„ტრაბზონსფორი“ – „პერუჯა“,
„ჰერენვენი“ – „ჰამარბიუ“,
„ვესტ ჰემი“ – „იოკერიტი“,
„ლუმტენაუ“ – „რენი“,
„ჰამბურგი“ – „ბაზელი“,
„სენტ-ტრუიდენი“ – „ავსტრია“,
„ვარტექსი“ – „როსტსელმაში“,
„ქოჯაელისფორი“ – „დუისბურგი“,
„ლოკერენი“ – „მეცი“,
„პოლონია“ – „ვამაში“.

ჭადრაკი

ლიდერობს გიორგაძე



გერმანიაში მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად. შეჯიბრებაში საქართველოდან დიდოსტატი გია გიორგაძე და საერთაშორისო ოსტატი ვალერი გაფრინდაშვილი მონაწილეობენ. 6 ტურის შემდეგ 5,5 ქულით გიორგაძე ლიდერობს, გაფრინდაშვილს 5 ქულა აქვს.

ფიდე მოლმობიერდა

ჭადრაკის გულშემატკივრებმა იციან, რომ უნგრელმა დიდოსტატმა ჟუჟა პოლგარმა უარი განაცხადა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვაზე, ამიტომ გვირგვინისთვის ერთმანეთს შეხვდებიან ჩინელი სიე ჯუნი და რუსეთელი ალისა გალიამოვა. მატჩი ჩინეთში უნდა გამართულიყო, მაგრამ ალისამ და მისმა ბანაკმა იმდენი მოახერხეს, რომ **ფიდეს** უწინდელი გადაწყვეტილება შეაცვლევინეს. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ცნობით, ახლა ორთაბრძოლის პირველი ნახევარი (8 პარტია) ყაზანში გაიმართება 27 ივლისიდან. მატჩ-ტურნირის მეორე ნახევარს შენიანი (ჩინეთი) უმასპინძლებს.

როგორ თამაშობს მაიას მეტოქე?

ვაჟთა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის პირველ წრეში, რომელიც ნევადის შტატის ქ. ლას-ვეგასში 29 ივლისს იწყება, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის წინააღმდეგ ითამაშებს ცნობილი სომეხი დიდოსტატი ვლადიმირ აკოფიანი (ელოს კოეფიციენტი 2640).

აკოფიანი 27 წლისაა და ამჟამად სომხეთის №1 მოჭადრაკედ ითვლება. იგი ბევრს თამაშობს საერთაშორისო ტურნირებში და საკმაოდ წარმატებითაც.

„სომეხ რუბინშტეინად“ წოდებულმა აკოფიანმა უკანასკნელად ითამაშა დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საემიროები), სადაც დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა (შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად) 54 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით. აკოფიანმა 7 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყო მოსკოველ ალექსეი კუზმინთან, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტით მთავარ პრიზს დაეუფლა.

ყოველი მხრიდან

გახოკიძითაც დაინტერესდნენ

ესპანური გაზეთი „მარკა“ წერს, რომ ქართველი ფეხბურთელით, გიორგი გახოკიძით კლუბი „ოვიედო“ დაინტერესდა. გიორგი ბოლო სეზონში ჰოლანდიის პსვ „ეინდჰოვენში“ თამაშობდა.

ესპანურ კლუბში ახალი მთავარი მწვრთნელის ლეგენდარული ლუის არაგონესის მოსვლის შემდეგ, დაიწყო ახალი შევსების ძებნა.

გახოკიძემ ბოლო სეზონი ჰოლანდიურ კლუბში ძალზე არასახარბიელოდ გაატარა ტრავმებისა და ავადმყოფობის გამო. ის მხოლოდ შეიძჯერ გამოვიდა მოედანზე. ჩემპიონატის ბოლო მატჩში – „უტრეხტის“ წინააღმდეგ ქართველმა ნახევარმცველმა ანგარიში გაათანაბრა. გამოცოცხლებულმა პსვ-ემ ბოლო წუთებზე გამარჯვებასაც კი მიაღწია და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებაც მოიპოვა.

ახლა „აზოტზეა“ დამოკიდებული

გამოქვეყნდა კალათბურთში ევროპული თასების – კორაჩის თასისა და რონკეტის თასის კენჭისყრის შედეგები.

კორაჩის თასზე საქართველოს ვიცე-ჩემპიონი – რუსთავის „აზოტი“ შესარჩევ მატჩში უნდა შეხვდეს უკრაინის „კიევს“ და გამარჯვების შემთხვევაში ქართველი კალათბურთელები მოხვდებიან ტურნირის „F“ ჯგუფში, სადაც მათი მეტოქეები იქნებიან მინერალნიე ვოდის „ლოკომოტივი“, ლიტვის „ალიტა-სავი“, ფინეთის „ნამიკასა“ და პოლონეთის „ტარნოვოს“ მატჩში გამარჯვებული.

მეთექვსმეტედფინალში თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი გუნდი გამოდის.

სამწუხაროდ, რონკეტის თასზე ჩვენი ქვეყნის კალათბურთელ ქალთა გუნდი არ მონაწილეობს.

ჩემპიონთა ანუ ევროლიგის კენჭისყრა ჯერ არ გამართულა, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ თბილისის „ვიტა“ უსახსრობის გამო ამჯერად ვერ იასპარეზებს.



ბილეთები დაიტაცეს

ბასაოცარი აქტიურობა გამოიჩინეს ჰოკეის ლიგის კლუბ „მინესოტ უაილდის“ გულშემატკივრებმა. ის მხოლოდ 2000-2001 წლის სეზონში უნდა ჩაება ამერიკის ჰოკეის ეროვნული ლიგის გათამაშებაში, როგორც წესი, ამ დროისათვის, უფრო სწორად, გაისად, 31 მარტისთვის გაყიდულ-განაწილებული უნდა იყოს სულ ცოტა 12 ათასი სეზონური ბილეთი. როგორც კლუბის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ამ რაოდენობის ბილეთები უკვე გაყიდულია. ეს, ალბათ, იმანაც გამოიწვია, რომ 100 დოლარით შეამცირეს აბონემენტის ფასი. ერთი მატჩის ბილეთი „ბალკონზე“ – 15 დოლარი ღირება, ხოლო ყველაზე საპატიო ადგილი გულშემატკივრებს 100 დოლარი დაუჯდებათ.

სპორტულ ორბიტაზე

● ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში 110 მეტრზე თარჯრბენში შესანიშნავი შედეგი აჩვენა ამერიკელმა მარკ კრირმა – 12, 98. ის მსოფლიოში მეექვსე სპორტსმენია, რომელმაც შეძლო ეს მანძილი „ეშმაკის“ დუქინზე“ – 13 წამზე სწრაფად გაერბინა.

* * *

● შვეიცარიის ქალაქ ლიუცერნში მაყურებლები მოხიბლა მსოფლიო მძლეოსნური სპორტის „პრიმადონამ“ 39 წლის ათლეტმა კუნძულ იამაიკიდან მერლინ ოტიმ. ასეთ ასაკში მან 100 მეტრი 10,96 წამში დაფარა (!), რაც მსოფლიო მძლეოსნური სეზონის მესამე შედეგია: მეორე ადგილი დაიკავა უკრაინელმა ჟანა პინტუსევიჩმა – 11,02 წამი.

* * *

● ამერიკელმა სი ჯეი სანტერმა, ვისზედაც მაყურებლებიდან ძალზე „შეტკიოდა გული“ მის მეუღლეს მერიონ ჯონსს, ბირთვი სტყორცნა ყველაზე შორს – 21 მეტრსა და 36 სანტიმეტრზე, რითაც ბევრით გაასწრო თავის სახელოვან მეტოქეს – მსოფლიო ჩემპიონსა და ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან ჯონ გუდინს (21 მ. 16 სმ).

* * *

● „კოპა ამერიკაზე“ გამარჯვებული სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციიდან პრემიის სახით 600 ათას დოლარს მიიღებს, ხოლო ამ ტურნირში მონაწილეობისათვის თითოეული გუნდი მიიღებს 200 ათას დოლარს, 70 ათასი დოლარი დაწესებულია მეოთხედფინალში გასვლისათვის, ვერცხლის პრიზიორი 300.000 დოლარს „გამოიმუშავებს“, ბრინჯაოსი – 200 ათასს, მეოთხე ადგილზე გასულ გუნდს კი 140 ათასი დოლარით „დაამშვიდებენ“.

ტაისონის მორიგი დაბრუნება

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი კრივში, თავისი აყალ-მაყალითაც ცნობილი მაიკ ტაისონი წლეულს ორ ბრძოლას გამართავს – 2 ოქტომბერსა და 11 დეკემბერს, ორივე შეხვედრა ლას-ვეგასში გაიმართება.

პირველ ბრძოლაში 32 წლის „რკინის“ მაიკის მეტოქე იქნება ან ხორვატი ჟელკო მავრონიჩი, ან გერმანელი აქსელ შულცი. მომდევნო ორთაბრძოლაში კი ის შეხვდება ან პოლონელ ანჯეი გულოტოს, ან თავის თანამემამულეს შენონ ბრიგსს.

ბოლო ბრძოლა ტაისონმა წლეულს, 17 იანვარს გამართა, როცა მეხუთე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოტა. შემდეგ იგი 12 თვით ციხეში მოხვდა. „სამაგალითო“ ქცევისათვის ტაისონი ოთხი თვით ადრე გაათავისუფლეს.

ვერის ბაღის სპორტის ქომაგთა კლუბ „ქართლოსის“ წევრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი ფეხბურთელი და სპორტის დიდი გულშემატკივარი

სულიკო სტეფანიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სპორტის რედაქცია.

პრობლემა

ფალსიფიცირებული წამალი უკვე საწამლავია!..

დაუშვებელია ნებისმიერი პროდუქტის, განსაკუთრებით ფარმაკოლოგიური საშუალებების ფალსიფიკაცია. ეს სერიოზული და მეტად მძიმე დანაშაულია, რადგან საქმე ადამიანის ჯანმრთელობას ეხება.

საერთაშორისო დონეზე ეს პრობლემა, პირველად, 1985 წელს ქალაქ ნაირობში გამართულ წამალთა რაციონალური გამოყენების ექსპერტთა კონფერენციაზე განიხილეს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას, ასევე სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ შეექმნათ ფალსიფიცირებულ წამალთა მესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების გარკვეული ქსელი, რათა შემდეგ ეს ინფორმაცია შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციებისა და სტრუქტურებისათვის მიეწოდებინათ.

სამკურნალწამლო საშუალებების ფალსიფიკაცია მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. განსაკუთრებით მასშტაბური ის ამ ბოლო წლებში გახდა. წამლების ფალსიფიკაციას ეწევიან როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, 1982 წლიდან 1998 წლამდე ფალსიფიცირებულ წამალთა არსებობა 28 ქვეყანაში აღინიშნა. აღწერილ შემთხვევათა საერთო რაოდენობა 751 შეადგენს, მათ შორის 25 პროცენტი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, ხოლო უმრავლესობა – 65 პროცენტი განვითარებად ქვეყნებზე.

წამალი ფალსიფიცირებულად მაშინ ითვლება, თუ იგი სრულად არ შეიცავს ან არასრული რაოდენობით შეიცავს აქტიურ ინგრედიენტებს, ასევე სხვა ნივთიერებებსაც. წამალი ფალსიფიცირებულია მაშინაც, თუ იგი არასწორად არის დაფასოებული ან შეფუთული. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის 1998 წლის მონაცემებით, ყალბი წამლებით ვაჭრობა მეტად სარფიანი ბიზნესია და იგი მილიარდობით დოლარის მოგებას იძლევა.

სამკურნალწამლო საშუალებათა თითქმის ყველა ჯგუფის პრეპარატების ფალსიფიკაცია გვხვდება. განვითარებულ ქვეყნებში უფრო ჰორმონალური საშუალებების გაყალბებაა გავრცელებული, განვითარებადს ქვეყნებში კი უპირატესობა ყალბი ანტიბიოტიკების გასაღებას ენიჭება. ზოგიერთ გაყალბებულ პრეპარატში ტოქსიკური ნივთიერებებია აღმოჩენილი. თუმცა, მძიმე და გამოუსწორებელი შედეგების მისაღებად აუცილებელი არ არის პრეპარატი ასეთ ნივთიერებებს შეიცავდეს. მაგალითად, როდესაც ავადმყოფი რაიმე ინფექციის სამკურნალოდ ყალბ ანტიბიოტიკს იღებს, პრაქტიკულად იგი არ მკურნალობს, ამდენად, მისთვის ეს ინფექცია შესაძლებელია საბედისწერო აღმოჩნდეს, გადაედოს სხვა პირს, ან ჩამოყალიბდეს მიკროორგანიზმის ახალი წამლისადმი რეზისტენტული შტამი. სამივე შემთხვევაში სერიოზული პრობლემა ექმნებათ როგორც ცალკეულ ადამიანს, ისე ჯანდაცვის მთელ სისტემას. მაგალითად, კუნძულ ჰაიტზე გაყალბებული სიცხის დამწევი პრეპარატების გამოყენების შედეგად 30 ბავშვი დაიღუპა. ეს ყალბი პრეპარატი ტოქსიკურ ნივთიერებას – დიეთილენ გლიკოლს შეიცავდა, რომელიც ანტიფრიზის წარმოებაში გამოიყენება. ნიგერიაში 109 ბავშვი შეიწირა პარაცეტამოლის სიროფმა, რომელიც ასევე დიეთილენ გლიკოლს შეიცავდა. ბირმაში რამდენიმე კონკრეტული გაყალბებული შემთხვევა იყო ანტიარითმიული პრეპარატის გამოყენების შედეგად. მექსიკაში პაციენტებს, რომლებიც ფალსიფიცირებული დამწერობის საწინააღმდეგო ლოსიონებით მკურნალობდნენ, კანის მძიმე დაავადება განუვითარდათ, რადგან აღნიშნული ლოსიონი სხვა ტოქსიკურ ნივთიერებებს შეიცავდა.

ფალსიფიცირებული წამლების პრობლემა კონკრეტულად დგას მსოფლიოს ბევრ განვითარებულ და განვითარებადს ქვეყანაში. უილიამ გროსე განასხვავებს ფალსიფიკაციის ხუთ კატეგორიას. თითოეული მათგანი კი სხვადასხვა საკანონმდებლო ღონისძიებებს მოითხოვს. პირველი თავისი პროდუქციისათვის უნებართვოდ პატენტირებული სავაჭრო დასახელების გამოყენებაა. ასეთი ძირითადად ინდოეთში და ჩინეთში მზადდება და უშუალოდ ფარმაცევტებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით მაშინ მიეყიდებათ ხოლმე, როდესაც პატენტი ძალაშია და პროდუქტი და მისი სახელი დაცულია. მეორე შემთხვევაში, განვითარებადი ქვეყნის სავაჭრო ფირმა ცნობილი ფარმაცევტული ფირმისაგან წამლებს შეღავათიან ფასად ყიდულობს მათი ადგილობრივ ბაზარზე გასაღების მიზნით, მაგრამ შეთანხმების დარღვევით იგივე პროდუქციას განვითარებულ ქვეყანაში აბრუნებს და დიდი მოგებით ყიდის. მსგავსი ოპერაცია (გარიგება) ჩაიშალა საფრანგეთში, როდესაც დაახლოებით 28 მილიონი ფრანგული ფრანკის (5,5 მილიონი ამერიკული დოლარი) ღირებულების არალეგალური მედიკამენტი იქნა ჩამორთმეული 1998 წლის დეკემბერში, მედიკამენტები, რომელიც აფრიკაში იგზავნებოდა, თავიდან გამსაღებლებმა შეფუთეს და შემდეგ საფრანგეთში გაყიდეს, რითაც მათ 40 პროცენტი არალეგალური მოგება ნახეს.

მესამე კატეგორიას მიეკუთვნება ფალსიფიცირებული ეტიკეტირება. ამ შემთხვევაში თავის გენერიკულ პროდუქციაზე აწერენ სავაჭრო დასახელებას, რათა უფრო მაღალი ხაფასური მიიღონ.

უილიამ გროსემ გამოააშკარავა, რომ მარმან, შეერთებულ შტატებში გაყიდული წამლის 8 პროცენტი ფალსიფიცირებული პროდუქცია იყო, რომელიც დაბალფასიანი ქვეყნებიდან შევიდა. ფალსიფიცირებული აქტიური ინგრედიენტები და ასეთი სახით დასრულებული პროდუქტები პოტენციურად ყველაზე უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენენ.

ჯონ ანდერსონს, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ფალსიფიცირების საწინააღმდეგო ცენტრის აღმასრულებელ მდივანს, სჯერა, რომ ეგრეთ წოდებულ „რუხი მარკეტინგის“ პროდუქციის პრობლემა იზრდება. ძირითადად ეს იმ ქარხნებს ეხება, რომლებიც საქონელს კანონიერად უშვებენ, მაგრამ „ექვსი საათის შემდეგ ფალსიფიცირებული საქონლის გამოშვებას იწყებენ“.

– „წამალთა კანონის მიხედვით, ჩვენ ლიცენზირებას ვატარებთ, გვაქვს უფლება განვაახლოთ ან შევწყვიტოთ ლიცენზია“, – ამბობს გორდონ მუნრო, ბრიტანეთის ჯანდაცვის სამინისტროს წამალთა მარეგულირებელი ორგანოს ფარმაცევტული ინსპექციის სამსახურის (MCA) უფროსი. „არსებობს, აგრეთვე, კრიმინალური დარღვევების სპექტრი, რომელიც ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ჩვენი მიზანია, დავრწმუნდეთ, რომ პაციენტი იღებს თანამიმდევრულ და უსაფრთხო პროდუქტს“. – თქვა მან.

მწარმოებლები კონტროლირდებიან მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ მაინც და საბითუმო ვაჭრობის ბაზები კი – ყოველ 4 წელიწადში. განსაკუთრებით ხშირია ისეთი პროდუქტების გაყალბება, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა. ასეთებს განეკუთვნება, მაგალითად, ვიაგრა.

არავინ იცის პრობლემის მასშტაბი, მონაცემები ძირითადად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან მიიღება, რომლის შეფასებითაც სავაჭრო ქსელში არსებული წამლების დაახლოებით 10 პროცენტი ფალსიფიცირებულია, ზოგიერთ განვითარებადს ქვეყანაში კი 50-70 პროცენტს აღწევს. „რუხი ბაზრის“ გამო წელიწადში ფარმაცევტული ფირმების დაკარგული კანონიერი შემოსავალი 19 მილიარდ ამერიკულ დოლარად არის შეფასებული.

შვედური ფარმაცევტული ფირმის „ACIPA“-ს წარმომადგენელი არდერს ეორლანი ამბობს, რომ „ღონისძიება, რომელსაც ვახორციელებთ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ქვეყანაში აღინიშნება ფალსიფიცირება. აზიაში უამრავი წამლის ფალსიფიცირების აღსაკვეთად ფარმაცევტული დაცვის ინსტიტუტი (PSI) დაარსდა. ფილიპინებში ზოგიერთი ფარმაცევტული კომპანია გაერთიანდა კიდეც და დაიწყო კვლევა: დაახლოებით 1360 ერთეული წამალი შეისყიდეს 473 აფთიაქისგან. აღმოჩნდა, რომ აფთიაქების 11 პროცენტი ფალსიფიცირების წყაროებთან არის დაკავშირებული და 18 პროცენტი – არალეგალურ იმპორტთან. მთლიანი შემოწმებული პროდუქციის 8 პროცენტი აღმოჩნდა ფალსიფიცირებული. ეს შედეგები წარუდგინეს შესაბამის სამთავრობო ორგანიზაციებს. ჯანდაცვის სამინისტროში ამ მოვალეობის რამდენიმე შემსრულებელი გადადგა, ერთი პიროვნება დააპატიმრეს კიდეც. გამკაცრდა ფალსიფიცირების საწინააღმდეგო კანონები. მიუხედავად ამისა, PSI-ს რამდენიმე შთამბეჭდავი ბრძოლა მოიგო, მან შეერთებული შტატების საბაჟოების წარმომადგენლებთან ერთად 1997 წელს რეიდების სერია ჩაატარა, რომელმაც აშშ-ს უცხოური სავაჭრო ზონებიდან ექსპორტირებული 60 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების ფალსიფიცირებული წამალი აღმოაჩინა. ნაწილი განკუთვნილი იყო მექსიკის სასაზღვრო ქალაქ ტიუნასში ჩასული ამერიკელი ტურისტებისათვის. ხშირია პრაქტიკა, როდესაც გამყიდველი ისეთი ქვეყნებიდან იმპორტირებულ სამკურნალწამლო პრეპარატებს ყიდულობს დიდი რაოდენობით, როგორიც არის ინდოეთი, სადაც მათი შოვნა იაფად არის შესაძლებელი. შემაშფოთებელია ყალბი მედიკამენტების მაღალი პროპორცია ბრაზილიის 10 მილიარდი დოლარის ოდენობის ფარმაცევტულ ბაზარზე. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ისინი აღწევენ ვაჭრობის 10 პროცენტს, თუმცა, შეფასებები სხვადასხვაგვარია.

ბონდო ძოწულია,
მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, წამალთა გვერდითი მოვლენების შესწავლის ცენტრის (კავშირის) თავმჯდომარე, პროფესორი;

გიორგი კუჭუხიძე,
წამალთა გვერდითი მოვლენების შესწავლის ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;

ზაზა ჩაფიძე,
ამავე ცენტრის სპეციალისტი.

(დასასრული იქნება).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თბილისის საფინანსო-ეკონომიკური კოლეჯი

აცხადებს მიღებას 1999-2000 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

დღის განყოფილება

სახელმწიფო დაკვეთით
9 კლასისა და
საშუალო განათლებით

უფასო სწავლება

1. საგადასახადო სამსახური
2. საბაჟო საქმე
3. საბანკო საქმე
4. ბუღალტრული აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი.

დაუსწრებელი განყოფილება

ფასიანი სწავლება

ქართული და რუსული სექტორი

1. საგადასახადო სამსახური
2. საბაჟო საქმე
3. საბანკო საქმე
4. ბუღალტრული აღრიცხვა, კონტროლი და აუდიტი.

თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ კოლეჯში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით. კოლეჯში შემსვლელები აბარებენ მისაღებ გამოცდებს ორ საგანში:

ქართული სექტორი: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)
2. მათემატიკა (ზეპირი)
რუსული სექტორი: 1. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) 2. მათემატიკა (ზეპირი) სწავლების დღის ფორმაზე განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე 10 აგვისტომდე. აბიტურიენტებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ უნდა დაურთონ შემდეგი საბუთები:

1. არასრული ან სრული საშუალო განათლების ატესტატი (დედანი) დანართთან ერთად.
2. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4)

პასპორტის ან დაბადების მოწმობის და სამხედრო ბილეთის ან მიწერის დოკუმენტის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისას, ხოლო გამოცდებზე გასვლის დროს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და საგამოცდო ფურცლის.

მისაღები გამოცდები ინარმოებს დღის განყოფილებაზე 1 აგვისტოდან, დაუსწრებელ განყოფილებაზე 11 აგვისტოდან. კოლეჯში ჩარიცხვა მოხდება მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა მიხედვით. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

მისამართი: თბილისი,
საბურთალოს რაიონი,
მიცკევიჩის ქ. 19
მეტრო „სამედიცინო
ინსტიტუტთან“.

ტელეფონი: 38-16-67;
38-30-55; 38-27-00.

საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს:

საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი და ინსტიტუტთან არსებული საბაზო ლიცეუმი, რომელთა რექტორია აკადემიკოსი **ალექსანდრე კუჭუხიძე**, აგრძელებს აბიტურიენტთა საბუთების **მიღებას:**

1. სახალხო მეურნეობის დარგთა ინჟინერ-ეკონომისტის,
2. საფინანსო-საბანკო,
3. საგარეოეკონომიკური ურთიერთობისა და საბაჟო საქმის,
4. იურისტისა და იურისტ-ეკონომისტის,
5. ჟურნალისტისა და ჟურნალისტ-ეკონომისტის

განხრით.

* * *

აგრეთვე, **ლიცეუმის VIII, IX, X** და **XI** კლასებში.

მისამართი: ალექსანდრე ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) 45.

ტელეფონები: 95-23-77, 53-70-50, 53-69-50

რექტორატი

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს

განცხადება

აგრარიკოს მეცნიერთა და ფერმერთა საყურადღებოდ!

შავი ზღვის სანაპიროს ბუნებრივი კომპლექსის დაცვის პრობლემები საქართველოსთვის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა და მათ გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მიერ შავი ზღვის გარემოს გაბინძურებისაგან დაცვის პროგრამით (BSEP) დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, აგრეთვე, მსოფლიოს კლიმატის ცვლილებების პრობლემების გადაჭრა. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობას, რომელიც ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია – სოფლის მეურნეობაში ისეთი ხერხების გამოყენებისათვის ხელშეწყობა, რომლებიც შეამცირებენ გარემოზე მავნე ზემოქმედებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ მსოფლიო ბანკის დახმარებით შემუშავებულ იქნა ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელობს საკონკურსო გრანტების საბჭო.

საკონკურსო გრანტების სისტემა კონკურსის საფუძველზე გაუწევს ფინანსურ დახმარებას უშუალოდ იმ სამეცნიერო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა კვლევის შედეგების დანერგვაც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში არსებულ ბუნების დაცვის პრობლემების გადაწყვეტას. კერძოდ, შავი ზღვის აუზისა და მისი მდინარეების მავნე სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებისაგან დაცვას (შხამ-ქიმიკატები, მინერალური სასუქები, ნაკელი, წუნწუხი, ცხოველთა ლეში და ა. შ.).

საკონკურსო გრანტების სისტემის ადაპტაციის მიზნით საკონკურსო გრანტების საბჭო აცხადებს კონკურსს გრანტის მოსაპოვებლად პროექტზე:

დასავლეთ საქართველოში, თერჯოლის რაიონის სოფლების: ალისუბანი და ღვანკითი ფერმერულ მეურნეობებში, გარემოს დაბინძურების შემცირების მეთოდების დანერგვა-გავრცელება

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს;
- კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, გაერთიანებებს, ფერმერულ ასოციაციებს, კოოპერატივებსა და ორგანიზაციებს.

საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები:

- მიღწეულ იქნას ფერმერულ მეურნეობებში ნაკელის შენახვის ეფექტური მეთოდების დანერგვა-გავრცელება;
- მიღწეულ იქნას ნარჩენი ორგანული ბიომასის (ნაკელი, წუნწუხი) გაუვნებლობა-უტილიზაციის რვა ეფექტური ტექნოლოგიური დანადგარის (ბიოგაზის დანადგარი) შექმნა, დამონტაჟება და ამოქმედება (ბიოდანადგარები უნდა იყოს რვა, ოთხი სხვადასხვა კონსტრუქციის ორ-ორი ეგზემპლარი, ანუ თითო სოფელში 4-4 სხვადასხვა კონსტრუქცია-დანადგარი, მათი მოცულობები გათვლილი უნდა იყოს 3-10 სული მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე);
- უნდა მოხდეს ბიოგაზის დანადგარების გამოცდა და ექსპერტული შეფასება;
- შერჩეულ ფერმერულ მეურნეობებში ნიადაგის ეროზიისა და წყლის გაბინძურების შემცირების მიზნით მიღწეულ იქნას მინიმალური ხვნის, თესლბრუნვის, ნაკელის გამოყენების ეფექტური მეთოდების დანერგვა-გავრცელება;
- შერჩეულ ფერმერულ მეურნეობებში უზრუნველყოფილი იქნას ნიადაგისა და წყლის (მიწისქვეშა და ზედაპირული) ხარისხის მონიტორინგი;
- უზრუნველყოფილი იქნას პროექტით მოცემული ფერმერთა სწავლება-კონსულტირება. შერჩეული ბიოდანადგარისა და გამოყენებული მეთოდების ფართო პროპაგანდა;
- გრანტი პროექტის საერთო ღირებულების არაუმეტეს 90 პროცენტია და არ აღემატება 55 000 დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარებში, ხოლო დანარჩენი არანაკლებ 10 პროცენტისა დაფარულ უნდა იქნეს გრანტის მომპოვებლის მიერ. გრანტის მომპოვებლის ეს წილი ფულად სახსრებთან ერთად შეიძლება გამოიხატოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო წარმოების საშუალებებით;
- გრანტის სახსრების გამოყენება შეიძლება ტექნიკის, ლაბორატორიული ხელსაწყოების, საკანცელარიო წვრილმანების, სატრანსპორტო საშუალებების, ბიბლიოგრაფიული მასალების, სემინარების მოწყობის, წარმოების საშუალებებისა და სამივლინებო ხარჯების დასაფარავად. გრანტი არ ითვალისწინებს პროექტის შემსრულებლისათვის ხელფასის გაცემას;
- საკონკურსო განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 1999 წლის 13 აგვისტო;
- პროექტის ხანგრძლივობაა ნახევარი წლიდან ერთ წლამდე;

გამოცხადებული ვადების გასვლის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადები არ განიხილება.

კონკურსის შედეგები პროექტის ხელმძღვანელებს გაეცნობათ წერილობით. წარუმატებელი პროექტის დოკუმენტაცია დაუბრუნდება განმცხადებელს.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

სოფლის მეურნეობისა და
სურსათის სამინისტრო,
ქ. თბილისი, 380020,
კოსტავას ქ. № 41,
VI სართული, ოთახი № 632.
ტ: 92-20-45, 92-20-41.

საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნო.

ხსოვნა

თამარ კოლოტაური

ქართულ პოლიგრაფისტთა ოჯახს უდროოდ გამოაკლდა კიდევ ერთი ღირსეული სპეციალისტი **თამარ კოლოტაური.**

დაიბადა 1939 წელს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო ამჟამინდელ ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში“ ლინოტიპისტად, პარალელურად სწავლობდა მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტში. სწავლის დამთავრების შემდეგ მას ნიშნავენ ამავე გამომცემლობის საბეჭდი საამქროს უფროსად, სადაც პირველად საქართველოში დაინერგა ღრმა ბეჭდვის ტექნოლოგია.

თ. კოლოტაური წლების მანძილზე მუშაობდა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში მთავარ ინჟინრად, შემდეგ დირექტორად. ენერგიული და კეთილსინდისიერი მუშაკი მალე პოლიგრაფიული სამმართველოს უფროსად დაინიშნა. იგი პოლიგრაფიის სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარედაც აირჩიეს. მისი თაოსნობით გაიმართა მრავალი სამეცნიერო სემინარი თუ კონფერენცია, მოეწყო ლინოტიპისტთა საქალაქო და რესპუბლიკური კონკურსები.

ბოლო წლებში თ. კოლოტაური შრიფტის ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი იყო. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ქარხნის რეკონსტრუქცია, გამოდიოდა პოლიგრაფმრეწველობისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი პროდუქცია, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

თამარ კოლოტაური შესანიშნავი მეგობარი, პატიოსანი, გულისხმიერი ადამიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ახლობლებსა თუ კოლეგებს შორის. მარადიული იქნება ამ მშვენიერი ქალბატონის ხსოვნა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა, ნათელში იყოს მისი ლამაზი სული.

პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სამსახური,
გამომცემლობა „სამშობლო“.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ჭოზულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ზურაბ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.